ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru

№293 (352) 18-25 ნოემბერი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

“სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა” — აკაკი შანიძე

რა საფრთხეების შესახებ აფრთხილებდა ალექსანდრე ჯაჯია ყოფილ და მოქმედ ხელისუფლებას?

წარსულის გახსენება წარსულში ჩარჩენას არ ნიშნავს

(დაიბეჭდა 2005 წელს)

კიდევ ბევრი ფაქტორის ჩამოთვლა შეიძლება, რამაც ამ ომის დანაშაულებრივი, ანტიადამიანური ხასიათი განაპირობა და რომელიც კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ჩემი ღრმა რწმენით, საქართველო ამ ომში არ უნდა მონაწილეობდეს.

– როგორ ფიქრობთ, ამერიკელები ირანის წინააღმდეგ ომს დაიწყებენ?

– რთულია რაიმეს პროგნოზირება, როცა ისეთ კურიოზულ ფენომენს ვეხებით, როგორიცაა ბუში და მისი გარემოცვა. ახლახან შეერთებულ შტატებში სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარეს, რათა გაერკვიათ, ვის მიიჩნევს ამერიკის მოსახლეობა ყველაზე სულელად. პირველ ადგილზე მომღერალი მაიკლ ჯეკსონი გავიდა, მეორეზე – ვიცეპრეზიდენტი ჩეინი, მესამეზე – თავდაცვის მინისტრი რამსფელდი, მეოთხეზე – პრეზიდენტი ბუში. ამერიკელ ჟურნალისტებს გაუკვირდათ, თუ რატომ არ აღმოჩნდა ბუში პირველ ადგილზე. ამიტომ რთული განსასჯელია, რამდენად ჭკუის სასწავლებელი აღმოჩნდა ერაყული გამოცდილება ამგვარი გონებრივი შესაძლებლობის ადამიანებისთვის. თუმცა ვფიქრობ, რომ ამერიკის საზოგადოება არ მისცემს მათ საშუალებას, ჩაითრიონ ქვეყანა კიდევ ერთ სამხედრო ავანტიურაში. ამერიკელებს ხომ არაფერი გამოსდით ერაყში. ამერიკელი ჯარისკაცები ყოველდღე იღუპებიან, ერაყელებს სძულთ ისინი, ნავთობის გატანა მეტად გართულებულია, ქვეყანას შინაგანი წინააღმდეგობანი ანგრევს, ბოლოს და ბოლოს იგი სამ ფსევდოსახელმწიფოდ დაიშლება და სამივე მტრული იქნება როგორც ამერიკის, ისე მთელი ქრისტიანული სამყაროს მიმართ. ანალოგიური ვითარებაა ავღანეთშიც. ამერიკელები მხოლოდ ქაბულს აკონტროლებენ, დანარჩენი ტერიტორია თალიბების ხელშია; და თუ ამერიკელების შეჭრამდე ავღანეთიდან ყოველწლიურად 20 ტონა ნარკოტიკები გაიზიდებოდა, ახლა ეს მაჩვენებელი 300 ტონამდე ავიდა. ორი ომიდან არც ერთმა არ მოიტანა ის შედეგი, რასაც ბუში ელოდა. ხელისუფლების უკან მდგომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებსაც, მათ შორის ნავთობკომპანიებსაც, ალბათ, ესმით, რომ ამ მეთოდით პრობლემებს ვერ მოაგვარებ, დაკარგვით კი ბევრს დაკარგავ, თუ ყველაფერს არა. მაგალითად, ცნობილია, რომ ირანის დაბომბვის შემთხვევაში ნავთობის მსოფლიო ფასი 3-5-ჯერ გაიზრდება. თუმცა ომის დეტალური გეგმა, რომელიც 70 ირანული ობიექტის დაბომბვას ითვალისწინებს, უკვე შემუშავებულია. ღმერთმა ნუ ქნას, რომ საომარი მოქმედებების მსვლელობისას თუნდაც ერთი ირანული რაკეტა ჩამოვარდეს საქართველოში ან ისლამურმა სამყარომ საქართველო ამ ომში ამერიკის მოკავშირედ მიიჩნიოს.

– რა დამოკიდებულება გაქვთ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო ობიექტების უცხოელ მესაკუთრეებზე გაყიდვის მიმართ?

– რადიკალური ლიბერალური ეკონომიკის მომხრე არა ვარ, ფრიდმანისა და საქსის თაყვანისმცემელი არ გახლავართ, მათ ეკონომიკურ მეცნიერებათა ავანტიურისტებად მივიჩნევ, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შემსრულებელ მათ მომხრეებს – საკუთარი ქვეყნების დამღუპველებად. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მომხრე ვარ, სახელმწიფო რეგულირების დიდი წილით. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ სახელმწიფო უნდა ფლობდეს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტებს, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას განსაზღვრავს, ამიტომ ვარ საქართველოს სახალხო მეურნეობის მთლიანი პრივატიზაციის წინააღმდეგი. მესმის, რომ ხელისუფლებას ბიუჯეტის შევსება სჭირდება, ხოლო მკვდარი ეკონომიკის პირობებში ერთადერთი საშუალება ეროვნული სიმდიდრის გაყიდვაა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს რეზერვი ძალიან მალე ამოიწურება, გასაყიდი აღარაფერი დარჩება. მერე რაღა ვქნათ? ამიტომ 90-იანი წლების შუახნიდან ვთავაზობდი ეკონომიკური განვითარების მოდერნიზაციულ მოდელს, ანუ ეროვნული ეკონომიკის მოდელს, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში უნდა განვითარდეს. მაშინ ჯერ კიდევ გვქონდა სერიოზული პოტენციალი, მაგრამ შევარდნაძემ მისი საფუძვლამდე დანგრევა მოახერხა. რაც დარჩა, დღევანდელმა ხელისუფლებამ გაყიდა. ამიტომ შემდგომ ხელისუფლებას, თუ იგი ეროვნულად ორიენტირებული იქნება, უკვე ეკონომიკის სამობილიზაციო მოდელის რეალიზება მოუწევს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ იმ დროისთვის საქართველო საბოლოოდ არ გადაიქცევა კოლონიად, რომელსაც საკუთარი ეკონომიკა არ სჭირდება.

– მაგრამ ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ქვეყანაში არნახული ეკონომიკური ზრდაა და მალე საქართველო ტურისტულ სამოთხედ იქცევა...

– ტურიზმი და ტრანზიტი საქართველოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნად ვერ აქცევს. ეს ედუარდ ბაბუს ზღაპრებია. გარდა ამისა, ეს სფეროები არ ეთანხმება ქართველი ხალხის ეროვნულ თავისებურებებს და ისტორიულ მისწრაფებებს; საჭირო გახდება ერის სულიერ-ზნეობრივი საფუძვლების ნგრევა, ამას კი ერის დეგრადაცია, მისი გადაგვარება მოჰყვება.

რა თქმა უნდა, ტურიზმისა და ტრანზიტის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ეს ეროვნული ეკონომიკის მხოლოდ ნაწილი უნდა იყოს. საქართველოში არასოდეს იქნება იმდენი ტურისტი, რამდენიც დღეს ესპანეთში ჩადის, მაგრამ იქაც ტურიზმის შემოსავლები ესპანეთის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს, თანაც ესპანეთი სულაც არ არის მდიდარი ქვეყანა. ეროვნული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომელსაც კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება შეუძლია. ეს თანამედროვე მსოფლიოს აქსიომაა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ გავუწევთ კონკურენციას დიდ ქვეყნებს ბევრ საწარმოო დარგში: ამისთვის შესაბამისი ბუნებრივი, ადამიანური და ფინანსური რესურსები არ გაგვაჩნია, მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთი რამ: საბჭოთა დროიდან დარჩენილი სამეცნიერო და შემოქმედებითი პოტენციალი. ჯერ კიდევ გვყავს უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, ფუნდამენტური მეცნიერების დიდი ტრადიციები და საკადრო ბაზა. ეს პოტენციალი საკმარისია იმისთვის, რომ შეიქმნას თანამედროვე, კონკურენტუნარიანი სამრეწველო წარმოების ორი-სამი მეცნიერებატევადი, მაღალტექნოლოგიური დარგი. ამ ამოცანის გადაჭრისთვის 10-15 წლის წინ რომ მოეკიდებიათ ხელი, დღეს საქართველო ღირსეული სახელმწიფო იქნებოდა, თუმცა ჯერაც არ არის გვიან.

ყურადღება მიაქციეთ: ჩვეულებრივ, ახლადწარმოქმნილი ქვეყნები, რომლებიც სახელმწიფოებრივ მშენებლობას იწყებენ, პირველ ეტაპზე ტურიზმსა და ტრანზიტს ავითარებენ, სასარგებლო წიაღისეულს ყიდიან, რათა თანხები დააგროვონ და ჩადონ მეცნიერებასა და განათლებაში, ჩამოაყალიბონ ეროვნული სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, ხოლო შემდეგ საკუთარი სამრეწველო პოტენციალი შექმნან. ვისაც ეს გამოსდის, იგი დამოუკიდებელი, ეკონომიკურად განვითარებადი სახელმწიფო ხდება. ვინც ვერ ახერხებს, იგი სამარადისოდ ჩამორჩენილ კოლონიად იქცევა. ჩვენ რას ვაკეთებთ? საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის საქართველო განვითარებული აგრარულ-ინდუსტრიული სახელმწიფო იყო მძლავრი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ბაზით და სამეცნიერო, საინჟინრო-ტექნიკური კადრების კოლოსალური კორპუსით. დამოუკიდებელი (!) სახელმწიფოს ხელისუფლებამ, შევარდნაძის ხელმძღვანელობით, ჯერ გააჩერა სამრეწველო წარმოება, გაყიდა ქარხნებისა და ფაბრიკების აღჭურვილობა, ქუჩაში გაყარა სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, შემდეგ გადაკეტა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ბაზარი და ამ სფეროს დაფინანსება შეწყვიტა, გააკოტრა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებები და ამით ეკონომიკის აგრარული სექტორი მოსპო. შემდეგ, პარალიზებული ეკონომიკის პირობებში და სპეციალისტებზე მოთხოვნის არარსებობის პირობებში კომერციული უმაღლესი სასწავლებლების სისტემა შემოიღო, რითაც უმაღლესი განათლება გააუფასურა და პარალელურად ტრადიციული უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების დაქსაქსვა გამოიწვია, რითაც კოლექტიური სამეცნიერო შრომა მოკლა. უმაღლესი სკოლისა და აკადემიური ინსტიტუტების დაფინანსების შეწყვეტასთან ერთად, ეს ქართული მეცნიერების სიკვდილს ნიშნავდა. ახალმა ხელისუფლებამ მხოლოდ ლოგიკური დასასრულისკენ წაიყვანა ეს პროცესი, როცა მისი უკანასკნელი სტადიის რეალიზაციას მიჰყო ხელი: კვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების საბოლო განდევნა, უმაღლესი განათლების ბაკალავრიატად ქცევა, უმაღლესი სასწავლებლებისა და აკადემიური მეცნიერების, როგორც ასეთის, განადგურება. ქვეყნის დეინდუსტრიალიზაციის, დეზინტეგრაციის და დეგრადაციის პოლიტიკა ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება. პარალელურად მცირდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა, მცირდება მასწავლებელთა კორპუსი. მიგიქცევიათ ყურადღება ექიმების დისკრედიტაციის მიზანმიმართული პროპაგანდისტული კამპანიისთვის? თურმე **«უმაღლესი ინსტანციიდან»** შეხსენება მოვიდა, რომ საქართველომ ექიმების რაოდენობა 30 პროცენტით უნდა შეამციროს. განვითარებად ქვეყანას, რომელთა კატეგორიაში შევარდნაძემ შეგვიყვანა, სტატუსით არ ეკუთვნის ბევრი სკოლა, სრულყოფილი უმაღლესი სასწავლებლები და ამდენი ექიმი. საქართველომ საკუთარ თავზე აიღო ფუნქცია – ტრანზიტისა და ტურისტების მომსახურება. მომსახურე პერსონალს კი რაში სჭირდება მეცნიერება და განათლება?

უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესები მხოლოდ დღევანდელი საქართველოსთვის როდია დამახასიათებელი. მართალია, ამდენად არა, მაგრამ ეს ყველა იმ პოსტსოციალისტურ ქვეყანას ახასიათებს, რომელთა ხელმძღვანელობა ე. წ. რეფორმებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებით და ამერიკელი მრჩეველების ხელმძღვანელობით ახორციელებდა. აკადემიური მეცნიერება, ფაქტობრივად, განადგურებულია პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, ჩეხეთსა და სხვა აღმოსავლეთევროპულ ქვეყნებში. ელცინის პერიოდში ანალოგიური საფრთხის წინაშე დადგა მეცნიერება რუსეთშიც. ეს გასაგებიცაა, რადგან თანამედროვე მსოფლიოში კონკურენციის უნარი მხოლოდ ისეთ ქვეყნებს აქვთ, რომელთაც სამეცნიერო კვლევების მაღალი დონე და მეცნიერებატევადი მაღალტექნოლოგიური წარმოება გააჩნიათ. მომავალი ამ ქვეყნებისაა. რაც უფრო ნაკლები იქნება ასეთი ქვეყანა, მით უფრო ძლიერი იქნება ის სახელმწიფოები, რომლებიც თავისთან მოუყრიან თავს მძლავრ სამეცნიერო პოტენციალს. ცნობილია, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მეცნიერების ნგრევის შემდეგ მსხვილ მეცნიერთა უმრავლესობა შეერთებულ შტატებში წავიდა. ასეთივე ტენდენციაა მაღალტექნოლოგიური წარმოებების მხრივაც. ჩეხეთი სოციალისტურ პერიოდში 1 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების მხოლოდ შეიარაღების ექსპორტს ახორციელებდა, დღეს კი მისი ექსპორტი 50 მილიონ ევროს არ აღემატება, ვინაიდან ამერიკელებს იარაღის ბაზარზე კონკურენტი არ ესაჭიროება. **«ნარინჯისფერი რევოლუციის»** შემდეგ უკრაინამ **«რეკომენდაცია»** მიიღო, შეამციროს ავიამშენებელი, აეროკოსმოსური მრეწველობა და გააფართოოს მეტალურგიული და ქვანახშირის წარმოება.

– მახსოვს თქვენი სტატია “გეწყინთ? გეწყინოთ!”, რომელშიც მეტად მწვავედ წერდით ინტელიგენციის პასიურობაზე თანამედროვე საქართველოში. აზრი ხომ არ შეგეცვალათ? როგორი დამოკიდებულება გაქვთ უკანასკნელ მოვლენებზე თბილისის უნივერსიტეტში?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

IV. 3. 3. შხეფის მდებარეობის ვახუშტისეული აღწერა (**„უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ“**) ზუსტია, მაგრამ თვით ტოპონიმი დამახინჯებული ფორმითაა მოცემული. წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ მას **„შხეთი“** კი არა, შხეფი ერქვა და დღესაც ასე ეწოდება. თვით ვახუშტი **„აღწერაში“** სხვა ადგილას ტოპონიმს **„შხეფის“** ფორმითაც მოიხსენიებს: გიორგი გურიელმა **„მოიპარა ძე გიორგი დადიანისა მცირე ლევან, პატიმარ-ჰყო ციხესა შინა შხეფისასა“** (ვახუშტი IV, 1973: 819); სხვაგან აღნიშნავს: **„დადიანმა შეიპყრა მეფე ლევან... წარიყვანა ოდიშს და პატიმარ-ჰყო ციხესა შინა შხეფს“** (იქვე: 821).

არქანჯელო ლამბერტი ოდიშის სამთავროს რუკაზე, ტეხურის მარჯვენა მხარეს, აღნიშნავს სოფელ Tchuagiochor-ს, რაც თ. ბერაძის აზრით, შხეფის ერთი უბანი ქვაშხორია, ხოლო მის ახლოს დატანილი პუნქტი ციხე-სიმაგრის პირობითი ნიშნით, შხეფის ციხე უნდა იყოს (ბერაძე **„მაცნე...“**, 3, 1971: 151). გრიგოლ კათალიკოსის 1733 წლის გუჯარში დასახელებულია შხეფი (კაკაბაძე I, 1921: 143; ბერაძე სიგკ, IV, 1971: 56-57). გიულდენშტედტი ასახელებს სოფელ შეხტის, რაც, სავარაუდოდ, სწორედ შხეფი უნდა იყოს (გიულდენშტედტი I, 1962: 323). XVI საუკუნის ამბების აღწერისას ციხეს **„შხეფის“** სახელწოდებით მოიხსენიებს აგრეთვე ნიკო დადიანი (დადიანი 1962: 158).

შხეფის ციხესთან დაკავშირებულ ტრაგიკულ მომენტს თვით ვახუშტი შემდეგი სახით გადმოგვცემს: **„გურიელი გიორგი კუალად არა დასცხრა შურგებად გიორგი დადიანისად, მოიპარა ძე გიორგი დადიანისა მცირე ლევან, პატიმარ-ჰყო ციხესა შინა შხეფისასა, განზრახვთა მამია დადიანისათა. ხოლო ყრმა იგი უთმინოებითა ტყუეობისათა გარდმოიჭრა ციხიდამ, რეცა განლტოლვად და მოკუდა“; „და შეიპყრა მეფე ლევან... წარიყვანა ოდიშს და პატიმარ-ჰყო ციხესა შინა შხეთს; და მოკუდა შემდგომად მეფე ლევან პატიმრობასა შინა შხეთს ციხესა შინა“** (ვახუშტი IV, 1973: 819, 821).

XIX-XX სს. წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაშიც დასახელებულია სოფელი შხეფი. ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანახმად სუჯუნის მაზრაში შემავალ 30-მდე სოფელს შორის არის შხეფიც (მეუნარგია 1939: 113).

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სხვადასხვა დროის დოკუმენტებით ციხესა და მის გარშემო მდებარე დასახლებას ეწოდებოდა შხეფი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ხელთ არსებული ერთადერთი წყარო, სადაც სოფელი შხეთის ფორმით მოიხსენიება, ვახუშტის თხზულების გარდა, არის კავკასიის მხარის 1886 წლის კომლობრივი აღწერის მასალები, სადაც მითითებულია თეკლათის სასოფლო საზოგადოებაში შემავალი 229-კომლიანი სოფელი შხეთი (მ. შ. 649 კაცია, 564 – ქალი).

შხეფის ციხე ფეოდალიზმის ხანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დიდი მოცულობის ძეგლია, რაც მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში, სენაკი-მარტვილის გზატკეცილის ჩრდილოეთით, უნაგირას მთის სამხრეთ დაბოლოებაზე, გორისწვერზე, გზატკეცილიდან 1,5 კმ დაშორებით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ციხე ეგრისლაზეთის სამეფოს დაარსებისთანვე, კერძოდ, IV ს-ში უნდა წარმოშობილიყო. ამ ეპოქის გალავანი მასში ჩართული კოშკით გამოვლინდა არქეოლოგიური ძიების გზით, რასაც გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულიდან აწარმოებდა ნაქალაქევის მუდმივმოქმედი სამეცნიერო ექსპედიცია პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით. ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით გარნიზონისთვის განკუთვნილი, სწორკუთხა მოხაზულობისა და მცირე ზომის (4,7X3,8 მ) ეკლესია მდგარა, მის მახლობლად კი წყალსაცავი მოუწყვიათ. გალავნის ჩრდილოეთ ხაზზე გვხვდება სხვადასხვა დროის მაღალი და ყრუ კედლები, ხოლო სამხრეთ ნაწილში შემორჩენილია XVI-XVII სს. სათოფეები. ამავე დროით თარიღდება ციხის ზედა, გრძელი ეზოს დასავლეთით მდებარე პატარა ეზოს გარშემოვლებული გალავანი, ცალმაგი, მარტივი სათოფეებით (ზაქარაია, კაპანაძე 1991: 139-150).

შხეფის ციხეს ეგრისის სამეფოს დაშლის შემდეგაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და როგორც აღვნიშნეთ, გვიან შუა საუკუნეებში ქვეყნის თავდაცვის სისტემაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

ნოქალაქევის მუდმივმოქმედი სამეცნიერო ექსპედიციის მიერ განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად შხეფში დადასტურდა სასახლის არსებობა, რაც ზედა ეზოს სამხრეთ-დასავლეთით, ნანგრევების სახით დღემდე შემონახულა (შემორჩენილია ბუხარი და საძირკველი). მეცნიერისა და მოგზაურის – ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მიერ XIX ს. 30-იან წლებში, კოლხეთის ტერიტორიაზე მოგზაურობისას შესრულებული ნახატის მიხედვით, ამ ადგილას საცხოვრებელი სახლი მდგარა, რაც სწორედ ვახუშტისეული დადიანის სასახლე უნდა იყოს. იგივე ნახატიდან ირკვევა, რომ შხეფის ციხეს სამი კოშკი ჰქონია. მათ შორის ერთი, ოთხწახნაგოვანი პირამიდის ფორმის მაღალი კოშკი, ოთხქანობიანი, ასევე პირამიდული მოყვანილობის სახურავით, ციხის გალავნის გარეთ ყოფილა აღმართული. თვით საცხოვრებელი კომპლექსი ამ კოშკის აღმოსავლეთით მდგარა. ნახატზე მკაფიოდაა ასახული ფლიგელის ორქანობიანი სახურავი და ბუხრის საკვამლე მილი, აგრეთვე შხეფის ციხის ცენტრში აღმართული დიდი კოშკი, მომრგვალებული ქვის სახურავით და მეორე, გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან მიშენებული, კონუსური ფორმის სახურავის მქონე ცილინდრული კოშკი (ადამია 51, 1979: 14, 16).

IV. 3. 4. სენაკი. ვახუშტის თქმით, შხეფს ზემოთ, **„კიდევ ტეხურისავ კიდეზედ, არს სენაკს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი, საყოფელი აფხაზთა კათალიკოზისა“** (ვახუშტი IV, 1973: 777).

არქანჯელო ლამბერტის რუკაზე, მდინარეებს – ტეხურსა და ხობისწყალს შორის, Sinaghi-ს ფორმით დატანილი და იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის ბრძანებით 1737 წელს შედგენილ რუკაზე აღნიშნული სენაკები ერთსა და იმავე პუნქტს – დღევანდელ ძველ სენაკს გულისხმობს, რაც სოფელი და თემის ცენტრია და ქ. სენაკის (უწინდელი ახალსენაკის) ჩრდილო-დასავლეთით, 7 კმ-ის დაშორებით, ნახურისა და ტეხურის ხეობებში მდებარეობს. ვახუშტისეულ სენაკშიც სწორედ ახლანდელი ძველი სენაკი იგულისხმება, სადაც დგას აგურით ნაგები გუმბათიანი ტაძარი.

ვახუშტის ზემოთ მოტანილი ცნობის გარდა სენაკში ტაძრისა და საკათალიკოსო რეზიდენციის არსებობა დასტურდება სხვა, უფრო ადრინდელი და მოგვიანო ხანის წერილობითი დოკუმენტებითაც. კერძოდ, 1696-1742 წლებს შორის შედგენილ შეწირულობის წიგნში აღნიშნულია, რომ **„სენაკს გიორგი გურიელი ცოლშვილითა“** ბიჭვინთის ღვთისმშობლისათვის შეუწირავთ (კაკაბაძე I, 1921: 155). ვამეყ II დადიანის (1658-1661 წწ.) შეწირულობის წიგნში, რაც 1658 წლით თარიღდება, კითხულობთ, რომ ოდიშის მთავარს კათალიკოს ზაქარია ქვარიანისთვის უბოძებია **„...სენაკის საყდარი... მისის შეწირულის მამულითა და სასახლეებითა“** (იქვე: 59).

იმავე წლით დათარიღებული სხვა საბუთი გვამცნობს: **„...კადრეთ და შემოგწირეთ შენ ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა აღთის მშობელსა სენაკს საწინამძღრო საყდარი და სასახლე სრულად მისის მამულითა და ორის სასახლითა... როდესაც კზი ოდიშს მობრძანდებოდეს, ჯუარსა და ომფორს იქ საყდარზე დაასვენებდენ...“** (იქვე: 61-62).

საინტერესოა გიულდენშტედტის ცნობა, რომ ოდიშში მდებარე სოფლები – სენაკი და ხობი **„ორივე პატრიარქისაა, უკანასკნელში დიდი ეკლესიაა“** (გიულდენშტედტი 1962: 325). პატრიარქში გერმანელი მეცნიერი და მოგზაური სწორედ აფხაზეთის კათალიკოსს უნდა გულისხმობდეს. სოფელი სენაკი (ახლანდ. ძველი სენაკი) გვხვდება სხვა არაერთ ისტორიულ დოკუმენტში (კეკელია... **„მხარეთმცოდნე II“**, 2011: 61).

IV. 3. 5. ნაქალაქევი-ციხეგოჯი. ვახუშტის აღწერით, **„...აწ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში, არს ნაქალაქევი, ციხეგოჯად წოდებული. ეს აღაშენა ა- მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე, და ამისი საერისთავე იყო სრულიად რიონის დასავლეთი სუანეთით. შემუსრა ყრუმ, არამედ იყო კუალად ქალაქი, და შემდგომად მოოხრდა ქალაქი. აწ არს ციხე კუალად და სასახლე დადიანისა“** (ვახუშტი IV, 1973: 777). ვახუშტის შეხედულება ციხეგოჯის ადგილმდებარეობაზე დადასტურებულია ნაქალაქევში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით. 1971 წელს დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა გვიანელინისტური ხანის ქვევრსამარხი, რაც წარმოადგენდა იმის ერთ-ერთ საფუძველს, რომ ვახუშტის მიერ ნაქალაქევთან გაიგივებული ციხე-გოჯის აგება მართლაც ქუჯი ერისთავის ეპოქას (ძვ. წ. III ს.) დაკავშირებოდა. გარდა ამისა, ნაქალაქევის ტერიტორიაზე 1973 წლიდან წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების გზით კიდევ არაერთი ძეგლი გამოვლინდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ ტერიტორიაზე არამჭიდროდ დასახლებული, თუმცა საკმაოდ მსხვილი, სოფლის ტიპის სამოსახლო ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII ს-დან უნდა არსებულიყო (ზაქარაია, ლომოური... 1984: 69-71; ზაქარაია „ნ. ა.“, III, 1993: 147-157; ზამთარაძე „ნ. ა.“ , III, 1993: 158-175...).

ნაქალაქევი ეწოდება ტეხურის მარცხენა ნაპირსა და მთისკალთაზე განლაგებულ ისტორიულ ციხე-ქალაქს, მარტვილი-სენაკის საავტომობილო გზაზე. ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებათა გვიანდელ, XVII ს-ში გადაწერილი ხელნაწერების არშიაზე გადამწერს მიუწერია: **„ოდიშს ნაქალაქევი“** და **„ციხე-გოჯი ნაქალაქევია“** (ზაქარაია, ლომოური... 1984: 6). ლამბერტის რუკაზე აღნიშნულია პუნქტი აცჰალაცჰენს-ის ფორმით, რაც ახლანდელი ნაქალაქევია (ბერაძე 1967: 74). გიულდენშტედტის ცნობითაც, ნაქალაქევი ეწოდება ოდიშის ძველად განთქმულ, ახლა გაუდაბურებულ ქალაქს (გიულდენშტედტი I, 1962: 325).

პ. ზაქარაიასა და ნ. ლომოურის მსჯელობით **„ნოქალაქევის“** ხმარება გამართლებულია ამ პუნქტის სხვა, ამავე სახელწოდების მატარებელი პუნქტებისაგან გამოსარჩევად. ავტორები აღნიშნავენ, რომ ივ. ჯავახიშვილმა და გ. ჩუბინაშვილმა გერმანულ ენაზე დაწერილ მოხსენებით ბარათში თავი მოუყარეს ყველა ცნობას არქეოპოლისის შესახებ და უპირატესობა მიანიჭეს ზეპირ, ადგილობრივი მეტყველებიდან მომდინარე ფორმას – **„ნოქალაქევი“** (ზაქარაია, ლომოური **„თბილისი“**, 1988).

ციხე-გოჯი თავდაპირველი სახელწოდებაა და თითქოს დაურქმევიათ ციხის დამაარსებელ-ამშენებლის სახელის – ქუჯის მიხედვით (ციხე ქუჯისა–> ციხექუჯი–>ციხეგოჯი). **„არქეოპოლისი“** ბიზანტიელთა მიერაა შერქმეული და **„ძველ ციხეს“** ნიშნავს. ასე იხსენიება ეს ციხე ბიზანტიურ წყაროებში ახ. წ. VI საუკუნიდან. ციხის **„სამზღუდიანობა“** თავდაცვითი სისტემის თავისებურების ამსახველია და მიუთითებს სამ, ერთმანეთის პარალელურად აგებულ კედელ-გალავანზე.

VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბთა ლაშქრობის შედეგად განადგურებულ-დაკნინებული ციხეგოჯი, მოგვიანებით, XVI-XVIII საუკუნეებში, მხოლოდ ოდიშის მთავარ დადიანთა ნათესავების რეზიდენციას წარმოადგენდა. ვახუშტის მიერ მოხსენიებული დადიანების სასახლე, ზოგან თითქმის ორ მეტრამდე სიმაღლის კედლებით, გამოვლინდა ნაქალაქარის ქვედა ტერასის სამხრეთ-დასავლეთის მონაკვეთში, ტაძრის მახლობლად. აგრეთვე შემორჩენილია დადიანებისდროინდელი ღვინის საწური, ქვის საქაჯავითა და კირის დუღაბში ჩასმული ქვევრებით. თვით ორმოცი მოწამის სახელობის ტაძარი აქ დადიანებს საკუთარ სამარხად გაუხდიათ, მისთვის სხვადასხვა დროს მცირე სამლოცველო და აკლდამა მიუშენებიათ, ხოლო XVI-XVII სს. მიჯნაზე ტაძარი მოუხატავთ კიდეც (ზაქარაია, ლომოური... 1984: 24, 27; დევდარიანი, მამაიაშვილი „ნ. ა.“, III, 1993: 287-292).

გვიანი შუა საუკუნეების ნაქალაქევში დადიანთა ცხოვრების შესახებ სხვა წერილობითი წყარო, გარდა ბატონიშვილის ზემოთ მოტანილი ცნობისა, არ მოგვეპოვება, მაგრამ მოგვიანო ხანის დოკუმენტებით დასტურდება, რომ დადიანები მოსახლეობდნენ ნაქალაქევსა და მის მიდამოებში. კ. ბოროზდინი ასახელებს ოდიშის მთავარ ლევან დადიანთან დაახლოებულ პირს, მის მრჩეველსა და მეგობარს, შეძლებულ თავადს – არჩილ დადიანს (ბოროზდინი 1934: 241-242).

ნაქალაქევში დადიანთა მოსახლეობის დამადასტურებელია აგრეთვე ტოპონიმი **„დადიაში ნოხორიი“**, რასაც სოფლის ტოპონიმთა ნუსხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს გ. ელიავა (ელიავა 1989: 112). მკვლევარი არ აღნიშნავს იმას, თუ რომელი დადიანი გახდა ამ ადგილის სახელდების მიზეზი, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვევის თვალსაზრისით თვით ტოპონიმის დადასტურებაც ფრიად საგულისხმო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ.

ნაქალაქევის მახლობლად, მის ჩრდილოეთით, მდებარეობდა აგრეთვე დადიანთა საუფლისწულო მამულები – ბერთემი (ბეთლემი) და უშაფათი.

IV. 3. 6. სალიპარტიანო, უნაგირა. გვიან შუა საუკუნეებში ტეხურის ხეობა ოდიშის მთავართა ჯერ პირველი დინასტიის – ვარდანიძეთა თუ საღირიძეთა, XVIII ს. დასაწყისიდან – მეორე, ჩიქვანთა ახალი დინასტიის უმცროსი შტოს წარმომადგენელთა – ლიპარტიანთა მფლობელობაში იყო და სალიპარტიანოდ იწოდებოდა (სოსელია III, 1990: 85).

ვახუშტი სალიპარტიანოს საზღვრებს ასე გადმოსცემს: **„და არს ჭყონდიდიდამ უნაგირამდე მთის ძირი სალიპარტიანო. არიან ამ ადგილთა შინა მოსახლენი მთავარნი და აზნაურნი, და არს ქუეყანა ესე მგზავსივაკისა და უმეტეს ნაყოფიერი და ტყიანი“ (იქვე: 777). მაშასადამე, ვახუშტისეული დახასიათებით სალიპარტიანოს დასავლეთი საზღვარი უნაგირას მთაა. ასე იწოდებოდა მთა, რაც, ვახუშტის თქმით, „...ტეხურის დასავლის კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს... კავკასამდე, ტყიანი და ნადირიანი“** (იქვე: 777). უნაგირა აბაშისა და ტეხურის წყალგამყოფი ქედის სახელწოდებაა, რაც რამდენიმე მთის – დადიაშ ტახტას (სოფ. ზედა სორტაში), ნაქალაქევის, აბედათისა და კალამონას (სოფ. ნაესუინჩხურში) კრებსითი სახელწოდებაა. ეს მთები ერთმანეთისაგან უნაგირისებური დადაბლებითაა გამოყოფილი.

უნაგირა პოლისემური ტერმინია და როგორც გეოგრაფიული ნომენი, ნიშნავს უნაგირის კეხივით ჩაზნექილ ადგილს სერზე; უღელტეხილს, გზა-გადასასვლელს ორ მთას შუა. სამეგრელოში ამ მნიშვნელობას გამოხატავს აგრეთვე ლექსემა **„გოდირაკილი“** (ჩადრეკილი).

ბიზანტიური წყაროების **„ონოგურისისა“** და **„უნაგირად“** სახელდებული აბაშა-ტეხურის წყალგამყოფი მთათა სისტემის იგივეობის თვალსაზრისს იზიარებდნენ თ. ბერაძე, გ. ელიავა და შ. ჯღარკავა (ბერაძე სიგკ, III, 1967: 163-165; მისივე სიგკ, IV, 1971: 57; ელიავა 1962: 44-45; მისივე 1971, 1971: 9-10).

ნაქალაქევის ციხესთან ტეხური უნაგირას ორ ნაწილად კვეთს. ტეხურის მარჯვენა მხარეს აღმართული, უნაგირას ქვეშ ნაგულისხმევი მთა აღწევს თეკლათამდე, ციის ხეობამდე. ამდენად, ვახუშტი ცდება, როცა წერს, რომ უნაგირას მთა ტეხურის **„დასავლის კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს“**-ო. ეს მთა იწყება თეკლათთან და, ამასთანავე, ყოველთვის როდი მიუყვება ტეხურის მარჯვენა სანაპიროს (მარუაშვილი 1964: 231).

უნაგირა//ონოგურისის საკითხს თავის მოგზაურობის დღიურში შეეხო ნიკო ბერძენიშვილი, რომელიც წერდა: **„მე ონოგურის ციხე ვერა ვძებნე, მაგრამ იმ აზრის არა ვარ, რომ ის სადღაც ღრმად ხევში იმყოფებოდეს... უფრო სადღაც მარტვილის მახლობლად არის საძიებელი... უნაგირის მთა აქ მარტვილში გაუგონიათ, სადღაც შორს, ჩრდილო-დასავლეთით ასახელებენ... ვახუშტის კი ის ცნობა მიაწოდეს, როგორც ჩანს, რომ უნაგირას მთა ისაა, რომელიც მთელ სალიპარტიანოს ჩრდილოეთიდან გასდევს ნოქალაქევამდე... (ბანძაში ხომ არ იყო ის ციხე ონოგურისი – ონოღია???)“** (ბერძენიშვილი 1990: 462). მკვლევარი აგრძელებს მსჯელობას ონოგურისის მდებარეობაზე და დასძენს: ონოღიასთან ბერძნული **„ონოგურისის“** დაკავშირებას თითქოს ხელს უშლის -ურ სუფიქსი, რაც ონოღიაში არ ჩანს, მაგრამ ენობრივი სიძნელის მიუხედავად მატერიალურ-შინაარსობლივი ეთანხმება წყაროების ჩვენებას და მხარს უჭერს ონოგურისის დაგულებას მაინცდამაინც ონოღიაში (იქვე: 465-466). დავით ჭითანავა იმ აზრისაა, რომ ონოგურისის ციხე სეფიეთ-ონოღიის მიდამოებშია საძიებელი (ჭითანავა 2010).

პირველი წერილობითი წყარო, სადაც უნაგირას მთაა მოხსენიებული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი, საიდანაც ამოკრეფილი ცნობების ანალიზი და დასახლებული პუნქტების (შხეფი, სენაკი, ნაქალაქევი, ჭყონდიდი...) ადგილმდებარეობა ცხადყოფს, რომ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობდა ოდიშის აღმოსავლეთ ნაწილში, ტეხურის ხეობაში, რაც დასტურდება ტოპონიმური მასალებითაც. გ. ელიავა **„ნახუნაოს სასოფლო საბჭოს“** ტოპონიმთა ნუსხაში მიუთითებს **„უნაგირას“** და აღნიშნავს, რომ ასე ერქვა თამაკონისა და ნახუნაოს მთას ლებაჩიედან სახარბედიომდე (ელიავა 1977: 122).

იგორ კეკელია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲕᲘᲜ ᲓᲐᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ?!

(ᲔᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ)

ქართველი ხალხი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს, ანუ მას ქრისტეს მეორედ მოსვლა სურს. აი, რა უნდა ქართველხალხს ქვეცნობიერად.

(Მ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ)

თანამედროვე მსოფლიოში და ადრეც, არსებული საინფორმაციო საშუალებები, წიგნები, გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზიები, რადიო, რელიგიური საადმსარებლო ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, აკადემიები და ა.შ. კინო და თეატრი ხალხებს, ღმერთსა (შემოქმედსა) და სამყაროზე (ღმერთის შექმნილზე) უყვებიან და ასწავლიან ერთმანეთის გამომრიცხავ იდეოლოგიებსა და ინფორმაციებს, **ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ**? სად შეიძლება მოვიპოვოთ ჭეშმარიტი ინფორმაცია?!

მოცემულ სამართლიან და გლობალურ შეკითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია. მართალი, ჭეშმარიტი ინფორმაცია ღმერთზე (შემოქმედზე) და მის მიერ შექმნილ ყველაფერსა და ყოველივეზე მოცემულია ძველი და ახალი აღქმის ღვთაებრივ წიგნში, რომელსაც ღმერთი შემოქმედის წმინდა წერილი, მართალი სიტყვა ეწოდება. წმიდა წერილი (ღვთის მართალი სიტყვა) გადმოცემულია მოკლე კოდური ყოვლისმომცველი რიცხობრივ (10) ანბანური (40) **ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ** (ინფორმაციით), რომლის წაკითხვას და სწორად გადმოცემას სჭირდება სპეციალური საღვთისმეტყველო ცოდნა (რომლის შესწავლა შეუძლია ნებისმიერ საშუალო სკოლის პროგრამის მცოდნე ადამიანს). ამრიგად, წმიდა წერილები გადმოცემულია და შედგენილია ორმოცდაათი (50) საღვთისმეტყველო ქართული კოდით, რომელსაც სახარებასა შინა ქრისტეს მეგობარი **ᲚᲐᲖᲐᲠᲔ** ეწოდება.

ამრიგად, ღვთის მართალი **ᲡᲘᲢᲧᲕᲐ** (წმიდა წერილი) რომ გავშიფროთ და წიგნიერი კაცობრიობის გასაგებ ენაზე გადმოგცეთ (გადავთარგმნოთ), მანამდე უნდა გავშიფროთ ათი (10) რიცხობრივი და ორმოცი (40) ასობგერითი კოდური ინფორმაცია, ანუ გასაშიფრია ქრისტეს ქართული დამწერლობითი კოდი – **ᲚᲐᲖᲐᲠᲔ**, რომლითაც შედგენილია დედანი წმინდა წერილები (ღვთის რჯულის წიგნები).

იმის გამო, რომ წმიდა წერილები წარმოადგენს დაფარული ენით (სპეციალური ენით) დაწერილ ინფორმაციას, თანამედროვე წიგნიერი სამღვდელოებისა და მეცნიერების წარმომადგენლები მისი შინაარსის მხოლოდ 25%-ს იგებენ მართებულად, ხოლო 75 %-ს არასწორად, თანაც ისინი ხედავენ, რომ 100%-იანი ჭეშმარიტება ანგრევს და მიწასთან ასწორებს თანამედროვე მსოფლიოში გაბატონებულ ყალბ, ორმაგი სტანდარტებით მოქმედ მსოფლმხედველობებს, ხალხთა მართვის მდაბიო სასულიერო და სახელმწიფო ინსტიტუტებს. ამიტომაც გაურბიან ქრისტეს (ჭეშმარიტებას) სასულიერო, სამეცნიერო და პოლიტიკური ინსტიტუტები, რომელთა მსოფლმხედველობას, საქმიანობასა და მიზანს ეწოდება **ᲐᲜᲢᲘᲥᲠᲘᲡᲢᲔ** (ღმერთთან ბრძოლა). აქედან გამომდინარე, უნდა ვიცოდეთ, რომ თანამედროვე მსოფლიოს ყველა სახის რელიგიური, სამეცნიერო, პოლიტიკური ინსტიტუტები და საინფორმაციო საშუალებები კაცობრიობას აწვდიან 25% მართალ და 75% ყალბ ინფორმაციას. ამის გარდა, სიმართლეს უმალავენ კაცობრიობას და სიცრუეს სიმართლის რანგში ასწავლიან მსოფლიო ხალხებს.

თქვენ დაგებადებათ ბუნებრივი კითხვა, რატომ დაიწერა წმიდა წერილები (ღვთის სიტყვა) დაფარული ინფორმაციით და არა წიგნიერი კაცობრიობის გასაგებ ენაზე? იმის გამო, რომ კაცობრიობა (ღვთის შვილები) წუთისოფლის დასაწყისიდან მასში არსებული ღვთიური ინფორმაციით, არსებობის მინიმუმიდან (თევზის ხიზილალის სიდიდის კვერცხუჯრედიდან ქრისტეს მოსვლამდე) გადის 6X6=36 საფეხურის სულიერ-სხეულებრივ აღდგომა-განვითარებას. მას გამჩენი ღმერთისაგან ეძლევა პური არსობისა მისი განვითარების საფეხურებისდა მიხედვით, ანუ ეძლევა ინფორმაციიის ისეთი უფლება (დოზა), რომელსაც მისი სული და ჭურჭელი დაიტევს. რელიგიებიც (საღვთო სწავლებებიც) ღმერთმა მსოფლიოს ხალხებს (ღვთის შვილებს) მათი სულიერი სიმწიფის შვიდეკლესიური დოზის შესაბამისი დაუდგინა.

რაც შეეხება ძველი და ახალი აღქმის ინფორმაციას, იგი განკუთვნილია მაღალი სულიერი სიმწიფის კაცობრიობისათვის, რომელიც მსოფლიო ხალხებს ცოდნის პურად მიეცემა ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ (2012-2030 წლები) როგორც ძუძუს ბალღისთვის არ შეიძლება მძიმე საკვების მიცემა, ასევე ბალღურად მოაზროვნე კაცობრიობისათვისაც არ შეიძლება მძიმე ინფორმაციის მიცემა. ამიტომაც დაიწერა წმიდა წერილები (ღვთის სიტყვა) დაფარული კოდური შიფრით. ქრისტეს დედამიწაზე მეორედ მოსვლა არის ზუსტად ის მომენტი, როდესაც კაცობრიობა შედის თავისი სულიერი სიმწიფის **ᲬᲘᲚᲘᲡ** მიღების ეპოქაში, ანუ მას უდგება ჟამი ქრისტეს კვართის მიღებისა, ღვთის ანდერძის აღსრულებისა.

იმის გამო, რომ 2012-2015 წლები ძე ღმერთის (იესო ქრისტეს) დედამიწაზე მეორედ მოსვლის წინა აპოკალიფსური პერიოდია, წიგნიური კაცობრიობა აფორიაქებულია და არ იცის, რა ქნას. ამ დროს მის წინამძღოლ სასულიერო და პოლიტიკურ ელიტას სიბრძნე და ცოდნის ძალა არ ყოფნის კაცობრიობას მიაწოდოს შესაბამისი მართალი ინფორმაცია, რათა გაუნელოს მას სულიერი დაბადების ტკივილები. არც იმის უნარი აქვს, უთხრას მას სიმართლე, რომ მოდის **ᲥᲠᲘᲡᲢᲔ** (მესია) და ის გაუჩენს სამართალს ხალხებს და ის გაათავისუფლებს კაცობრიობასდ უმეცრების (სიცრუის ცოდნის) მონობისაგან.

ქრისტეს მკვლელების სულიერი შთამომავლობა ანუ ურია-მასონები (**ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲑᲘ**) განაგებენ და მართავენ თანამედროვე კაცობრიობას, რომლებიც ვერ (არ) იტყვიან, სამართლიანობის გაჩენა ჩვენ არ შეგვიძლიაო, პირიქით, ისინი ქრისტიანული მორალით შეფუთულ სიკეთეს ჰპირდებიან მას, ანუ ცრუ ქრისტეს მისიას თამაშობენ მთელ საქართველოში („**ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲝᲕᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲕᲐᲠᲝ,“ – ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐ).**

აბა, კარგად შეხედეთ თანამედროვე საქართველოს და თვალი გადაავლეთ მის ისტორიას 1989 წლიდან დღემდე, ნათლად ჩანს ურია-მასონებმა როგორ მოკლეს, აწამეს, უმოწყალოდ დევნეს და მიწასთან გაასწორეს ქართული ეროვნული და ქრისტიანული ღირებულებები. ვინც ხელისუფლებაში მოიყვანა შევარდნაძე და მოქკავშირი, სააკაშვილი და ნაცმოძრაობა, 2013 წლისათვის მისი ბოროტი სახე გაშიშვლდა და ხალხმა იხილა ქრისტეს მოძულე ისრაელის სინაგოგას ბოროტი იდეოლოგია, ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპისა (ნატოს) და ნოძალადე იმპერიათა საშინელი ბიუროკრატია და ბოროტი ქრისტიანული მორალით შეფუთული დემოკრატია, რომელმაც გააუქმა ქართული ეროვნული სახელმწიფო (ლაზარე მოკლა) და მის ნაცვლად ჩამოაყალიბა ურიულ-არმენულ-მასონური სახელმწიფო. იბადება ბუნებრივი კითხვა: ვინ აღადგენს ბოროტი მსოფლიოს მმართველებისაგან მოკლულ ლაზარეს (საქართველოს)? **ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** და ქართული ოცნება? – არა, ვინაიდან თანამედროვე მსოფლიოში არსებული განათლების პროგრამა იძლევა ათეისტურ-კოსმოპოლიტურ ცოდნას და მსოფლმხედველობას, რომელიც წარმოშობს მწიგნობართა და ფარისეველთა მსოფლიო ისეთ კასტას (სასულიერო და პოლიტიკურ ელიტას), რომელიც ცნობიერად დასაჭურისებულია სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის მიმართ. აი, ესაა აბსოლუტური რეალობა, რომლის აღქმა ხელეწიფებათ მხოლოდ დიდ რელიგიაში ჩახედულ ერთეულებს. ღვთაებრივი სახარება დაბეჯითებით გვეუბნება: მკვდარი ლაზარეს აღსადგენად **ᲛᲔᲡᲘᲐ** იესო ქრისტე მოდის, ათეულ ათასობით წმიდანთან ერთად...

ძველი და ახალი აღთქმის საიდუმლო კოდური ინფორმაციის გასაღებია ქართული სამება დამწერლობა: **ᲐᲡᲝᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘ, ᲮᲣᲪᲣᲠᲘ, ᲛᲮᲔᲓᲠᲣᲚᲘ** და სამება ენა: სვანური ქართული ენა (ქამი), მეგრული ქართული ენა (სემი) და იბერიული ქართული ენა (იაფეთი). თანამედროვე ქართული სამღვდელოება და მეცნიერები იმის ნაცვლად, რომ ქართული დამწერლობისა და ენის სულიერ მისიას ასწავლიდნენ და ქრისტეს მოსვლას ქადაგებდნენ, ბოროტ პოლიტიკოსებს ეხმარებიან ქართველი ხალხის მოტყუების თაღლითობაში. აი, ასეთია შიშველი სიმართლე, რომელიც ფართოდ და სიღრმისეულად არის გადმოცემული მირიან ქართველის ბოლო წიგნში: **„მკვდარი ლაზარეს (ქართულის) აღდგენა“.** ჩვენი მფარველია სიკვდილისა სიკვდილითა დამორგუნველი და საფლავთა შინა სიცოცხლის მიმნიჭებელი მაცხოვარი იესო. ამინ!

ადამიანი, თუნდაც ათჯერ პროფესორი და აკადემიკოსი, ძველი და ახალი აღთქმის ჭეშმარიტ ინფორმაციას ვერ (არ) მიიღებს, თუ ციდან (მამაღმერთისგან) არა აქვს მიცემული შესაბამისი სულიერი სიმწიფის ხარისხი.

ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲮᲣᲑᲣᲚᲐᲕᲐ

ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡ, ᲕᲐᲨᲐᲫᲔᲡ, ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔᲡ, ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲡ...

უკვე არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ავადსახსენებელი **“ვარდების რევოლუცია”** გახლდათ სახელმწიფო გადატრიალება, რომლის მთავარი ორგანიზატორის როლი თავის თავზე აიღო **“ხელისუფლებამოყირჭებულმა”** ედუარდ შევარდნაძემ, მას შემდეგ, რაც ამერიკელებისაგან ხელშეუხებლობის სრული გარანტია მიიღო. მაგრამ იცოდა რა, რომ სააკაშვილი კურდღელივით მხდალი და მფრთხალი პიროვნება იყო, საკუთარი თავის წინააღმდეგ მოწყობილი რევოლუციის გადასარჩენად შევარდნაძემ სრულად განაიარაღა ძალოვანი სტრუქტურები, სააკაშვილს კი ჯავშანჟილეტი ჩააცვა და შემდეგ უშიშროების მინისტრ ხაბურზანიას დახმარებითა და მკაცრი მეთვალყურეობით შეყარა სააკაშვილი და მას ადევნებული **“ბიჭუშკები”** საქართველოს პარლამენტში. შემდეგ კი სააკაშვილმა მართლაც ირწმუნა რომ ჩე გევარას მსგავსი უდრეკი და უშიშარი რევოლუციონერი იყო და, როგორც ჩანს, გარკვეული მკვეთრი არაპოლიტიკური ნაბიჯები გააკეთა, რითაც ქართველი სამართალდამცავების ყურადღება მიიპყრო.

ქართული მასმედია ხელისუფლებასთან დაახლოებულ კულვარულ წყაროზე დაყრდნობით სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს. საქმე ეხება შს-ს სამინისტროში სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით მიმდინარე გამოძიებას, რაც შეთქმულების ან ამბოხის გზით სახელმწიფო კონსტიტუციური წყობილების, ძალადობრივ დამხობას ან ხელში ჩაგდებას გულისხმობს. გაზეთის წყაროს ინფორმაციით, სამინისტრო გამოძიებას უკვე ამთავრებს, ამ ეტაპზე კონკრეტული პირების დანაშაული გამოიკვეთა და მალე მათ ბრალს წაუყენებენ. აღნიშნული დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8-წლამდე ვადით. გაზეთს წყარომ შემდეგი ადამიანების გვარები მიწოდა:

„ესენი გახლავთ – ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მისი ბიძა თემურ ალასანია, პარლამენტის დეპუტატი გიორგი ვაშაძე, დავით საყვარელიძე, გიორგი ბარამიძე, ზურაბ ჯაფარიძე, ირმა ნადირაშვილი, გივი თარგამაძე, უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი გიგა ბოკერია, აჭარის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, “თავისუფალი ზონის” ხელმძღვანელი კობა ხაბაზი და ამ ორგანიზაციის რამდენიმე ლიდერი,“ – წერს საქართველოს პრესა.

მოკლედ, დროულად გაიქცა ეს არაკაცი საქართველოდან, მაგრამ მის მიერ ჩადენილ დანაშაულებს ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნიათ და. ადრე თუ გვიან, სააკაშვილს აუცილებლად მოუწევს ვირის აბანოშიო ყურყუტი!

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

ᲠᲣᲮᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ �პᲐᲠᲙᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

რუხის კულტურისა და დასვენების პარკი უნიკალურია როგორც მერქნიანი მცენარეების მრავალფეროვანი ასორტიმენტით, ასევე რაოდენობითაც. აქ ხარობს 2.700-მდე ნარგავი: ჰიმალაური კედარი, ზღვისპირა ფიჭვი, ქსიდიები, ურთხელი, გინკო, ნაძვი, პირამიდული კვიპროსი, მარადმწვანე მუხა, კოპტიმერია, ცრუ ქაფურის ხე, სხვადასხვა ჯიშის პალმები, იაპონური ზღმარტლი, კამელია, მტირალა ტირიფი, სულინჯის მაგნოლია და სხვა. ბორდიურების მწკრივზე 20.000-მდე ბუჩქია დარგული: ლუგუსტრუმი, ბზა, ჭანჭყათი... გაზონებზე დათესილია კოინდარი...

პარკის მშვენებას წარმოადგენენ ყვავილები – სხვადასხვა ჯიშის ვარდები: **“მაგარი ბატერფლაი”, “როზა გოფერი”, “გრანტი”, “ნარცისი”...** კლუმბებსა და **“რაგატკებში”** დარგული იყო სილვია, გრომფრენა, პორტულაკი, ცინია, გლადიოლუსი, მიხაკები – და ეს მშვენება ათეული წლების განმავლობაში მივიწყებული და მოუვლელი იყო – ოზონისა და სიჯანსაღის ნაცვლად სიდამპლეს აფრქვევდა, ეკალბარდისა და სარეველების მარწუხებში ღაფავდა სულს. პარკს დაუფლებული იყვნენ მავნე მწერები, ქვეწარმავლები, ხვლიკ-გომბეშოები, უწინდელი წალკოტი ჯოჯოხეთად იყო ქცეული... ჩვენი არაერთგზისი მიმართვის შემდეგ ხელისუფლებამ ხელი გამოიღო და პარკი გაიწმინდა, დასუფთავდა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის ტერიტორია, შინმოუსვლელთა ობელისკის შემოგარენი, დაიდგა ძვირადღირებული დეკორატიული ლამპიონები...

მომავალში გათვალისწინებულია პარკში ბავშვებისათვის კარუსელებისა და სასრიალო ტრამპლინების დადგმა, სხვა გასართობი საშუალებების მონტაჟი და სხვა

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲗᲝᲓᲣᲐ,
“ᲤᲐᲖᲘᲡᲘ”-Ს, “ᲐᲘᲐ”-Ს ᲓᲐ “ᲫᲐᲚᲓᲔᲐ”-Ს ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ,

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲯᲒᲣᲨᲘᲐ,
“ᲤᲐᲖᲘᲡᲘ”-Ს ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ

წიგნი კათალიკოს ამბროსი ხელაიას შესახებ

მკითხველი უკვე იცნობს, მწერალ ბორის დავითაიას ნაშრომს **„წამებული პატრიარქი ამბროსი“,** რომელიც თანმიმდევრულად დიდი ხანი იბეჭდებოდა გაზეთ **„ილორის“** ფურცლებზე. ამჯერად დაინტერესებულ მკითხველს საშუალება მიეცა ეს მასალები წიგნად აკინძული წაიკითხოს.

ბიოგრაფიულ-დოკუმენტური პროზის სახით საზოგადოებისთვის შეთავაზებული ამ ნაშრომზე ავტორმა თითქმის შვიდი წელი იმუშავა. კომუნისტური ყოფისთვის მიუღებელი პატრიარქის არა მხოლოდ საარქივო მასალები იყო ტაბუდადებული, არამედ იდევნებოდნენ წმინდა ამბროსის ნათესავები და ახლობლები. ცნობების სიმწირის გამო გამოქვეყნებულ მასალებში გაიპარა ბევრი უზუსტობა.

ფართე საზოგადოებისთვის თითქმის უცნობი იყო სულიწმინდის მშობლებისა და შთამომავლების ბედი. ერთად თავმოყრილი არ იყო ის გამოკვლევები და შეხედულებები, რომლებიც ცალ-ცალკე საკმაოდ გამოქვეყნდა.

გმირებს არ ივიწყებენ. გმირები არიან ყველა სფეროში. წმინდა ეკლესიის წიაღშიც. ამიტომ იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 ოქტომბერის ბრძანებით აღმსარებელ ამბროსის მიენიჭა საქართველოს გმირის წოდება.

საქართველოს წმინდანთა ცხოვრება სარწმუნოებისა და მამულისადმი ერთგულებითაა გაჯერებული, რაშიც გვარწმუნებს თედორე მღვდლის, გიორგი მთაწმინდელის, პეტრე იბერის, კირიონ-2-ისა და უამრავ სხვათა სიბრძნე და სიმამაცე.

დასახელებულ მღვდელმთავართა შორის უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაიას ცხოვრება და საქმიანობა არის ღირსებისთვის წამებული ადამიანის ხატება. მან იღვაწა არა მხოლოდ სულიერი კანონებით, არამედ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ღირსეულად ატარა პატრიარქის მანტია. იგი არ დარჩა ვალში ქართული კულტურის წინაშე. თამამად გაუსწორა თვალი ავ ბედისწერას. მაშინაც კი, როცა შეეძლო მშვიდად ეცხოვრა, არ იკადრა მიტმასნილთა დამცირებული ხვედრი გაეზიარებინა და უპირველესმა აღმართა პროტესტის ჯვარი. ის სავსებით შეგნებულად შეუდგა გოლგოთის გზას.

ცხადია მისი სულიერი მრწამსი შეუთავსებელი შეიქნა იმჟამინდელი ყოფისთვის, რამაც შვა წინააღმდეგობის ვულკანი. ეს ვულკანი შმაგი ძალით ეკვეთა წითელი ბურჟუაზიის უხეშ ჯებირებს და თუ ვერ გაანგრია, მოარყია ის, შვა შემდგომი ვულკანური ბიძგები. ამით მოგვცა მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ჭეშმარიტი მამულიშვილი.

ამ ქვეყნად ნაკლებად მოიძებნება პიროვნება, რომელიც გულგრილი იყოს საკუთარი სიცოცხლისადმი. ამბროსი ხელაიამ დასძლა ეს შიში და ძრწოლა სამშობლოსადმი ერთგულების გამო.

წინამდებარე წიგნს მწერლური წარმოსახვაც ავსებს. ბ. დავითაიამ მიიჩნია რომ ისტორიულ წყაროებსა და ნათესავთა მოგონებებზე დაყრდნობით შეეგროვებინა მასალები, შემდეგ გაეთბო საკუთარ უბეში და შეეთავაზებინა ძვირფასი მკითხველისათვის. ისტორიულ მასალების სიჭარბე ემსახურება იმას, რომ მკითხველი დარწმუნდეს იმჟამინდელ ყოფაში, თუ როგორ პირობებში და რა მდგომარეობაში უწევდა პატრიარქს ცხოვრება და მოღვაწეობა.

წიგნის შესავალში მწერალი მადლობას მოახსენებს ყველა მკვლევარსა და შემოქმედს, რომელთა ნაშრომებზე დაყრდნობით შესაძლებლობა მიეცა შეედგინა მეტნაკლებად შევსებული და გადამუშავებული ავტობიოგრაფიული წიგნი. აქვე განმარტავს, რომ **„იქნებ მკითხველმა დასვას შეკითხვა, რა საჭიროა ამდენი ნაშრომი, ამდენი გამოკვლევა? მე მათ თავად ამბროსი ხელაიას სიტყვებით ვუპასუხებ: „ხალხს აქვს მოთხოვნა ეძებოს იდეალები თავის წინაპრების ცხოვრებაში. პატრიარქი ამბროსი იდეალია ჩემში“.**

308-გვერდიანი ნაშრომი, რომელსაც ერთვის ილუსტრაციები და გამოყენებული ლიტერატურა, პოლიგრაფიულად კარგად არის შესრულებული და იგი მნიშვნელოვანი შენაძენია წმინდანთა ცხოვრებისა.

აზა გარუჩავა



სამეტყველო ბგერების წარმოშობისა და მეგრულ (იბერიულ) ენაში მათგან მნიშვნელობების მიღების შესახებ

როგორც ზემოთ ვნახეთ, არსებობს **ჩხ**, ძირისეულ ფორმას ბუნებრივად შეზრდილი **რ**, რაც გვაძლევს ძირისეულ ფორმებს **რჩხ**,, (**რ**,ჩხ,< ჩხ,**რ**,) და, პირდაპირ, პირველადი ჩხ,**რ**,, რომლისგანაც გამომდინარეობს სიტყვები **ჩხ**,**რანც**,, ჩხ,**რ**აფა, ჩხ,**რ**აფაფა და ა.შ. და არსებობს **ჩხ**, ძირისეულ ფორმას ხელოვნურად დამატებული **რ**,, რომელთა კომპოზიტისგან ჩამოყალიბდა, მაგ., სიტყვა **ცხელი**. ჩხ,**რ**,ꞟ ჩხ,**რ**ე ჩხერე, ჩხელე, ჩხელი – ცხელი. **ჩხ**, ძირისეული ფორმა შვიდტომეულის ავტორებს განხილულ არა აქვთ.

ცეცხლში გახურებულ ქვას თუ დავასხამთ წყალს, ან გახურებული ფოლადის ღეროს ჩავყოფთ წყალში, გავიგონებთ ბგერათა კომპლექსს **ჩხ**,-**ჩხ**,-**ჩხ**,... ამ რეალობაზე ხმაბაძვით საგნის გახურებულმა მდგომარეობამ იბერიულ ენაში მიიღო სახელდება **ჩხ**,, , ბგერის გახმოვანების შემდეგ **ჩხე** (ცხელი).

„ჭყ, [,] ძირისეული ფორმა, – განხილული აქვთ შვიდტომეულის ავტორებს და აღნიშნავენ, – „ხმაბაძვითია“-ო, მაგრამ არ აკონკრეტებენ რა რეალობაზე ხმაბაძვითაა იგი წარმოშობილი და რატომაა იგი სუსტის (უმწეოს, განწირულის) გამომხატველი ფორმა.

ჭყივიან სუსტი არსებები, მოჭყარჭყარებს მალე გაშრობადი ნაკადული, ჭყ,-ჭყ,-ჭყ,... ბგერათა კომპლექსი გვესმის წყლით გაჟღენთილ ჭენჭყობში გავლისას და მისი არამდგრადობის გამო ხშირად ვეფლობით მასში. ამიტომ გვაქვს სიტყვები, რომლებიც სისუსტეს გამოხატავენ: **ჭყ**, **რ**ჭყინი (ჭიჭყინი), **ჭყივილი** (ჭყიაფი), **ჭყალა** (წყევლა), **ჭყორდ**, (წყდება) ჭენჭყობი და სხვა.

რამდენად სრულყოფილად ჩავწვდი და აღვწერე სამეტყველო ბგერების წარმოშობის საიდუმლოებანი, ენათმეცნიერებით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისა და ამ დარგის სპეციალისტების განსასჯელია, მაგრამ როგორც ვნახეთ, მოკვლეული მაქვს კონკრეტულად ყველა თანხმოვანი ბგერისა და შესაბამისი თანხმოვნით გამოხატული ძირისეული ფორმების წარმოშობის საფუძველი, რომლის ნაწილი 2006 წელს გამოვაქვეყნე პატარა წიგნად (**„მეგრული (იბერიული) ენის ბგერათა წარმოშობისა და მნიშვნელობების ზოგიერთი საკითხი“**). შემდგომ ამან მომცა საფუძველი შემესწავლა ბევრი ეროვნული წარმოშობის უძველესი სიტყვის ეტიმოლოგია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეუფასებელია მამა-შვილის მ. და ც. ძაძამიების ღვაწლი მეცნიერებისა და სამშობლოს წინაშე და ჩემს პუბლიკაციებში ყველგან ვუსვამდი ხაზს მათს დამსახურებას, ჯერ კიდევ, მათი შვიდტომეულის გამოქვეყნებამდე. აი, ერთ-ერთი ჩემი მისდამი შეხედულება: **„ეს პრობლემა (მხედველობაში მქონდა აკად. გ. ახვლედიანის მიერ დასმული ქვემოაღნიშნული ამოცანა) გადაუჭრელი რჩებოდა მანამ, სანამ მსოფლიო ენათმეცნიერების განვითარების დამამუხრუჭებელ დოგმას, ენის ლექსიკის უდიდესი ნაწილის არამოტივირებულობის, შემთხვევითობის და ნებისმიერობის (პიროობითობის), ამასთან, თანამედროვე ენებში თავდაპირველი მეტყველების კვალის არარსებობის შესახებ, დაამსხვრევდნენ მამა-შვილი მ. და ც. ძაძამიები. კვლევის ობიექტად აირჩიეს რა მეგრული ენა, ისინი სიღრმისეულად ჩაწვდნენ მეტყველების, სიტყვისა და თვით სამეტყველო ბგერების ჩასახვის მიზეზს (თუმცა, ზოგადი დებულების გარდა, რომელიმე თანხმოვანი ბგერისა და ჰარმონიული კომპლექსების წარმოშობის საფუძველი მცირე გამონაკლისისა და დანარჩენის წარმომავლობის მშრალი მითითების (ხმაბაძვითია, ბუნებითია) გარდა, მათი გამღები რეალობები და მათგან მნიშვნელობების მიღების საფუძვლები არსად არა აქვთ დაკონკრეტებული. კ.ფ.) და წარმოგვიდინეს ორფეხა ველური ცხოველის გაბმული ზმუილიდან დანაწევრებული ადამიანური მეტყველების ჩამოყალიბების მექანიზმი“** (კუკური ფიფია, მეგრული (იბერიული) ენის ბგერათა წარმოშობისა და მნიშვნელობების ზოგიერთი საკითხი, 2006, გვ. 3).

ხშირად ვეყრდნობი მათ შრომებს და ვეთანხმები მ. ძაძამიას, რომ **„მეცნიერება სხვა არაფერია, თუ არადა ჭეშმარიტების წარმოჩენა. ჭეშმარიტებაა, მაგალითად, ისიც, რომ წვიმს და თოვს, მაგრამ ამის ქაღალდზე აღნიშვნა თუ ზეპირი გაცხადება, მეცნიერება ვერ იქნება. მაგრამ, ახსნა იმისა, თუ რა იწვევს წვიმასა და თოვლს, უკვე მეცნიერებაა, და ამგვარი რამ პირველადაა წარმოჩენილი, მეცნიერულ აღმოჩენად ითვლება“** (გ-თი **„ილორი“** 27 მაისი – 3 ივნისი 2014 წელი, მე-4 სვეტი).

ე. ი. დედამიწის ფლორა და ფაუნა **„დაჯილდოებულია ერთი საერთო თვისებით თუ უნარით – ბგერების გაღებით“,** მაგრამ ბუნების მიერ გაღებული აურაცხელი ბგერის (იხ. მ. ძაძამია, ც. ძაძამია, ენის წარმოშობის საიდუმლოება, 1997, გვ. 30-31) **„ქაღალდზე აღნიშვნა თუ ზეპირი გაცხადება, ვერ იქნება მეცნიერება“**, ხოლო, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, **„ახსნა იმისა, თუ რა იწვევს“**, მაგალითად, ბგერათა კომპლექსს **ჩხ**, **რ**,**რ**,**რ**,-ს, როგორ ჩამოყალიბდა ეს შორისდებული ძირისეულ ფორმად **რჩხ**,, და რის საფუძველზე მიიღო მან **რეცხვას** მნიშვნელობა, **„უკვე მეცნიერებაა“.**

ჰ. ფენრიხმა და ზ. სარჯველაძემ წიგნში **„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“** წარმოადგინეს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორთა მიერ მოძიებული 1500-მდე ძირისეული ფორმა, მაგრამ მათი წარმომავლობა და მათგან მნიშვნელობების მიღების საფუძვლები არ უკვლევიათ.

როგორც აღვნიშნეთ, შვიდტომეულის ავტორებმა დღეისათვის უკვე მოიძიეს 6652 ძირისეული ფორმა და მათი სააფიქსაციო საშუალებები (პრეფიქსები, ინფიქსები, სუფიქსები), ე.ი. შეასრულეს წარმოუდგენლად ტიტანური მეცნიერული სამუშაო, მაგრამ მცირე გამონაკლისისა და თითო სიტყვით (ხმაბაძვითია, ბუნებითია) მითითების გარდა, ვერ ვნახე (იქნებ მე ვერ ვნახე), კონკრეტულად ამა თუ იმ ძირისეული ფორმის წარმომავლობისა და მათ მიერ მნიშვნელობის მიღების მტკიცებები, თუნდაც, იმ დონეზე, როგორც ეს მე შევძელი **რჩხ**,, **რტყ**,, **ტყ**,, **ჩხ**,, **ჭყ**, და სხვა ძირისეული ფორმების მიმართ (თუმცა, ყველაფერს ერთ კაცს ვერ მოსთხოვ). ამასთან, თუ გავიზიარებთ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ფონეტიკოსის აკად. გიორგი ახვლედიანის აზრს, რომ **„სამეტყველო ბგერათა წარმოშობის გადაჭრას შეუძლია გადამწყვეტი სიტყვა თქვას საერთოდ მეტყველების წარმოშობის საკითხში, რადგანაც არაფერი ენობრივი არაა ისეთი საერთო რამ ყველა ენისათვის, როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური ბგერის გამოყენება სამეტყველო მასალად“** (გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1999, გვ. 390) და განვიხილავთ ამ საკითხში ჩემს მიერ შესრულებულ სამუშაოს, დიდ ცოდვად არ უნდა ჩამეთვალოს ჩემი თამამი განაცხადი: **„მამა-შვილის მ. და ც. ძაძამიებისა და ჩემს გარდა, ძირისეული ფორმების კვლევა არავის უწარმოებია“**-მეთქი. მაგრამ ეს იწყინა ბ-ნმა მამანტიმ და ერთ-ერთ სატელეფონო საუბარში მითხრა: **„ძირისეული ფორმების კვლევის შენეული მეთოდი არასწორია და არ შემიძლია გვერდით დაგიდგეო“.**

ძირისეული ფორმების კვლევის ჩემს მიერ შემუშავებული მეთოდი რამდენად სრულყოფილია, ამას მომავალი გაარკვევს და აუცილებელიცაა, მაგრამ, ცხადია, ასეთი მეთოდით კვლევა ჩემამდე არავის უწარმოებია და, რა თქმა უნდა, უცნობია ენათმეცნიერებისათვის, რაც აღნიშნა, კიდეც, ცნობილმა ენათმეცნიერმა ავთანდილ არაბულმა ჩემი ნაშრომის **„რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?“** რეცენზიაში. ამაზე ვაკეთებდი ყოველთვის აქცენტირებას, თორემ, რა თქმა უნდა, დიდი მკრეხელობა იქნებოდა ჩემი მოკრძალებული ნაშრომების ავტორს ფიქრადაც რომ გამევლო გულში 25000 ტომეულის (კომპიუტერული ვერსია) შემქმნელი გენიალური მეცნიერის სიმაღლეზე დადგომა, ან მისი ჩამოქვეითება ჩემს დონემდე. მაგრამ ბუნების შეუვალი კანონი ასეთია: **ურთიერთ საპირისპირო ცნებებისა და რეალობების გარეშე, სამყარო ვერ იარსებებდა.** ვერ იარსებებდა მაღალხარისხოვანი მდარეს გარეშე. მაღალი დაბალის გარეშე, ნათელი ბნელის გარეშე და ა.შ. და ა.შ. და ბოლოს, დიდი (მამანტი ძაძამია) პატარას (კუკური ფიფიას) გარეშე. ამიტომ უნდა ვიარსებოთ ორივემ მშვიდად და ჰარმონიაში.

მე მუდამ მექნება დიდი მამანტი ძაძამიას პატივისცემა და ვერ წარმომიდგენია ძალა, რომელიც მისდამი დამოკიდებულებას შემაცვლევინებს.

მე არასოდეს მითხოვია, დამიდექით გვერდით და გამამაგრებინეთ ჩემი შეხედულებები-მეთქი. პირიქით, რეცენზენტებს ვთხოვდი ყოველთვის და ვთხოვ კიდეც, დაუნდობელი, მაგრამ ობიექტური იყონ ჩემი ნაშრომების მიმართ. ასეა უკეთესი მეცნიერებისა და, საერთოდ, საზოგადოების განვითარებისათვის. მიუხედავად შესრულებული ტიტანური შრომებისა, ვფიქრობთ, მამანტი ძაძამია და, ასევე, ვერცერთი სხვა დიდი მეცნიერი ვერ იტყვის, რომ ჩემი მუშაობის სფეროში ამოვწურე ყველაფერი და სხვათა ჩარევა ზედმეტიაო.

რაც შეეხება წინამდებარე გამოკვლევას, წამოწეული საკითხის სრულყოფილად შესწავლის პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ თავად საკითხი ენათმეცნიერებაში დღემდე შესწავლილ საკითხებზე ნაკლებდირებული არ უნდა იყოს და მრჩება იმედი, რომ მომავალი თაობის ენათმეცნიერები, მათს ხელში არსებული ტექნიკური საშუალებებისა და ენათმეცნიერული მეთოდების გამოყენებით, ჩაუღრმავდებიან საკითხს და მეცნიერულ-აკადემიურად სრულყოფილ ნაშრომს მიაწოდებენ დაინტერესებულ საზოგადოებას.

კუკური ფიფია,
„ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

ღია წერილი ამერიკაში მოღვაწე "პროფესორს" დოდონა კიზირიას

არავითარი სურვილი არ მქონდა პასუხი გამეცა თქვენთვის, რადგან ავადსახსენებელი **"ნაციონალების"** ბრმა მხარდამჭერი (**"ბრმა"** თუ ანგაჟირებული – ეს კიდევ ცალკეა დასაზუსტებელი) ბრძანდებით, ნაციონალები კი პოლიტიკური ლეშები არიან და ამიერიდან აქებენ თუ აგინებენ, ეს დიდს არაფერს შეცვლის მათ რაობაში, ამიტომ, ნაცებსა თუ მათ მხარდამჭერებთან დავას დროის ფუჭად გაფლანგვად მივიჩნევ. ჩემი გულისწყრომა გამოიწვია თქვენმა რამდენიმე პუბლიკაციამ, რომელიც გაჟღენთილია ბრმა სიძულვილით ყოველივე **"არანაციონალურისადმი"** და გუნდრუკის კმევით მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში **"შეურაცხადის"** სახელით შესული სომეხი დაშნაკის სააკაშვილისადმი.

საინტერესოა, რითი მოგხიბლეს ასე საქართველოს დამანგრეველმა ნაციონალებმა და მათმა დორბლიანმა ბელადმა? იმ ფულებით ხომ არა, რომელსაც ეს საქართველოს დამაქცევრები უხვად ურიგებდნენ თავიანთ ევროამერიკელ **"მისიონერებს"**, რათა პიარი გაეჩაღებინათ, შავრაზმელური, მკვლელთა ლეგიონი **"ნაციონალური მოძრაობა"** პროგრესულ პოლიტიკურ ძალად წარმოეჩინათ, მათი მოსულელო, მექალთანე, სისხლისმსმელი, სულიერად და ზნეობრივად მახინჯი, უკულტურო და გაუნათლებელი ბელადი სააკაშვილი კი **"დემოკრატიის შუქურად"** წარედგინათ ქრთამს დახარბებული ევროამერიკელი ჰომოსექსუალებისათვის?

სხვა პასუხი არ მოიძებნება – ჩემი აზრით თქვენც ისეთივე ფულზე სულგაყიდული არსება ბრძანდებით, როგორიც ბევრი სხვა ანგაჟირებული კოსმოპოლიტი, რომელთაც საქართველო მხოლოდ იმ ნაზუქად მიაჩნდათ, რომელიც დინჯად უნდა დაჭრა და მიირთვა. და მართლაც ამოისუნთქა ქართველმა ერმა მაშინ, როცა მტკიცე უარი უთხრა ავადსახსენებელ ნაციონალებს და ნაზუქი ბევრად ნაკლებად სურნელოვანი, მაგრამ მათთვის ღირსეული გადამჭავებული კერძით შეუცვალა. სწორედ ამას ვერ ინელებთ თქვენ და თქვენნაირი სულგაყიდული ვაიქართველები და ახლა მხოლოდ იმის იმედით სულდგმულობთ, რომ ისტორიის ჩარხი უკუღმა დატრიალდეს და ნაციონალებთან ერთად იმ სალაფავიდან გაგრძელოთ თქვლეფა, რასაც სახელმწიფოს ბიუჯეტი ჰქვია!

ვერ მოესწრებით, კოსმოპოლიტო კიზირია, თქვენ და თქვენნაირი ვითომ ქართველები ამ აშკარად მახინჯი ოცნების ახდენას – რაც გინახავთ, ვეღარ ნახავთ!

ნამდვილად არაკოლხური, ამაზრზენი და საძრახისია თქვენი ოპუსი, სადაც ქართველ მსახიობ ქალს ლალი ბადურაშვილს უტვინოს უწოდებთ. მე არ ვიცნობ ქალბატონ ლალის და არც მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე გამაჩნია ამომწურავი თუ ზედაპირული ინფორმაცია, მაგრამ ის, რომ მან ეკრანზე გააცოცხლა დიდი კონსტანტინეს გმირი ქალი – შორენა, უკვე მიუჩენს ქალბატონ ლალის ღირსეულ ადგილს საქართველოს ავტორიტეტულ შვილებს შორის. თქვენ რა კონკრეტული სიკეთე მოჰგვარეთ საქართველოს, თუნდაც ამერიკაში ყოფნისას, გარდა ავადსახსენებელი **"ნაციონალების"** ბრმა მხარდაჭერისა, ეგ კიდევ საკითხავია! და თუ ლალი ბადურაშვილს ნაციონალები და სააკაშვილი არ უყვარს, ეს მისი და იმ მილიონობით ხალხის პირადი აზრია, რომელმაც დიდი ხანია ზურგი შეაქცია ამ პოლიტიკურ არარაობებს!

თქვენ გშურთ ქალბატონი ლალის სილამაზისა, როგორც ჩვეულებრივ ჯოჯოს უვსებს თვალს გედის ხიბლი, მაგრამ ლალი ღმერთმა გააჩინა ასეთი, და თქვენც ღმერთმა გაგაჩინათ ისეთი – როგორიც ხართ – ეს არც თქვენი ბრალია და არც ლალი ბადურაშვილის დამსახურება – ეს წინაპრებისაგან ბოძებული გენეტიკური ხაზია, რაზედაც ქვემოთაც გვექნება საუბარი. აი, როგორი დაბოდმილი და შურიანი არსება ბრძანდებით თქვენ, ქალბატონო კიზირია!

ნუთუ ერთხელ მაინც არ დაფიქრებულხართ იმაზე, თუ რატომ სურდა სააკაშვილს საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანა, რატომ აკაფინებდა კახელ გლეხებს ვენახს, რატომ ხოცავდა ახალგაზრდებს ქუჩებში დღისით-მზისით. რატომ ცლიდა საქართველოს ქართველებისაგან და რატომ უქმნიდა მოსახლეობას აუტანელ სოციალურ და ყოფით პირობებს? ნუთუ არ იცით, რომ ეს და სხვა მრავალი სიავკაცე მრავალსაუკუნოვანი დაშნაკური ოცნება გახლავთ, რაც აღმოსავლეთ საქართველოს გასომხებას გულისხმობს? მაგრამ თქვენთვის მთავარია ის ოცდაათი ვერცხლი, რომელსაც დაშნაკი სააკაშვილი და მისი დამქაშები გიხდიდნენ საქართველოს დაქცევისათვის და არა ქვეყნის საძირკველზე დადებული ოცდაათი აგური!

აი, ასეთი **"კოლხი"** ბრძანდებით თქვენ, ქალბატონო კიზირია!

თქვენდა საბედნიეროდ კარგად ვარ აღზრდილი და ვიცი, თუ რა არ უნდა აკადრო ქალს, თუნდაც იგი ამას იმსახურებდეს, თორემ იმ სიტყვების პატრონს, რასაც თქვენ გულისამრევი ისტერიით იყენებთ იმ ღირსეული ადამიანების მიმართ, რომლებიც რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენით ცდილობენ საქართველოში დღეს არსებული ტერიტორიული პრობლემების გადაჭრას, ნადდად ეკუთვნის თავზე ნაგვით სავსე სათლის წამომხობა!

თქვენ არშემდგარი ადამიანი ხართ, შეუხედავი, საქმეებში არც თუ დიდად წარმატებული და ამიტომაც გძულთ მოხდენილი, საქმიანი და კეთილშობილი ადამიანები!

ვერ დავეთანხმები იმ აზრს, ადამიანზე რომ იტყვიან: რა კარგი პიროვნებაა, როგორი კულტურულიაო! ჩვენი შინაგანი კულტურა არაა ჩვენი დამსახურება – იგი წინაპრების მიერ ჩვენი ხერხემლის ტვინში მემკვიდრეობით გადმოცემული გენეტიკური კოდია, რაც ევოლუციური პროცესი გახლავთ. ჩვენი დამსახურება გახლავთ ჩვენი განათლება – რამდენიმე წლის შრომით მიღებული ცოდნა, რომელიც რევოლუციური პროცესი გახლავთ. როგორც ჩანს, მთლად ტლუ და გაუნათლებელი პიროვნება არ უნდა იყოთ, რადგან საკუთარ პერსონას **"პროფესორად"** მოიხსენიებთ. ასე რომ, თქვენი თვალშისაცემი უკულტურობა, რაც თქვენს უბადრუკ ოპუსებში გამოსჭვივის, თქვენი წინაპრების ბრალია და არა თქვენი – რადგან სწორედ მათგან წამოსულმა გენეტიკურმა სიგნალმა დაგტოვათ მიყრუებული სოფლის ავყია დედაკაცის მენტალურ დონეზე!

იქნებ სიცოცხლის დაისში მაინც გააკეთოთ სწორი არჩევანი, რადგან დრო აშკარად აღარ მუშაობს თქვენი და ისტორიის სანაგვეზე მოსროლილი ნაციონალების სასარგებლოდ!

მაინც კეთილი სურვილებით,

როლანდ ჯალაღანია,
გაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორი

P.S. გთხოვთ ყველას, ერსა და ბერს, დიდსა და პატარას, მიაწოდოთ ეს წერილი ქალბატონ კიზირიას, რადგან მე არ გამაჩნია არც მისი კოორდინატები და არც მასთან ურთიერთობის სურვილი!

რ.ჯ.

პრანკერი ვოვანი 4 თვე ურეკავდა ბომჟ და არალეგალ სააკაშვილს და თავს მინისტრ ავაკოვად ასაღებდა, მიშა კი მას ინტერპოლთან გამოსარჩლებას და ძმის – დავითის გათავისუფლებას სთხოვდა, რის გამოც სენატორ მაკკეინთან საუბარი მოუწყო!

უკრაინელი მსახიობი – პრანკერი, მეტსახელად **„ვოვანი" Life-News**-ის ეთერში მიხეილ სააკაშვილთან თავის ურთიერთობებზე მოჰყვა. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში პრანკერი ვოვანი სააკაშვილს ურეკავდა და თავი უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრ არსენ ავაკოვად წარუდგინა!

სატელეფონო ხულიგნის თქმით, მიხეილ სააკაშვილი ამერიკელ პოლიტიკოსებს აღარ აინტერესებთ. საქართველოში მისი გასამართლება სურთ და მანაც, ეგონა რა, რომ უკრაინის შს მინისტრს ელაპარაკებოდა, სთხოვა ხელი მოეწერა ინტერპოლში გასაგზავნ საპროტექციო წერილზე, რომელიც თავად დაწერა.

„სააკაშვილმა მთხოვა, რომ ხელი მომეწერა წერილისთვის და ინტერპოლში გამეგზავნა. ძალიან ეშინია, რომ საერთაშორისო ძებნაში გამოაცხადებენ და საქართველოში გააგზავნიან. წერილის ნახვისას დიდხანს ვიცინე. იქ საკუთარ თავს ევროპაში თავისუფლებისთვის გამოჩენილ მებრძოლს უწოდებს", – ჰყვება პრანკერი ვოვანი. ამასთან, სატელეფონო ხულიგანმა ივარაუდა, რომ მიხეილ სააკაშვილი აშშ-ში **„ჩიტის უფლებებით"** სარგებლობს (ანუ ის არალეგალი და ბომჟია). როცა ვოვანმა მას სენატორ ჯონ მაკკეინთან დაკავშირება სთხოვა უკრაინაში იარაღის მიწოდების საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ყოფილმა ლიდერმა პრანკერს სურვილი შეუსრულა, თუმცა სენატორს განსაკუთრებული ყურადება არ გამოუჩენია სააკაშვილის თხოვნისადმი.

„თავიდან ვფიქრობდი, რომ სააკაშვილს ამერიკაში სერიოზული გავლენა ჰქონდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის. იგი დიდხანს მპირდებოდა ევროპის საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველთან დაკავშირებას, თუმცა ეს არ მომხდარა. თავად მაკეინთან საუბარი არც ისე ხანგრძლივი გამოდგა, აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი აშშ-ში ჩიტის უფლებებით იმყოფება", – ამბობს პრანკერი ვოვანი.

მორიგი საუბრისას სააკაშვილმა **„ავაკოვს"** პირადი თხოვნით მიმართა – გადაეჭრა მისი ძმის – დავითის პრობლემები, რომელსაც უკრაინის ხელისუფლება ვადაგასული ვიზის გამო კიევიდან დეპორტირებას უპირებდნენ.

„პირადი თხოვნა მაქვს. ჩემი ძმა ახლა ბორსიპოლის აეროპორტშია, ის გააჩერეს. წელს მას 90 დღეზე მეტი აქვს გატარებული უკრაინაში, მისი უკან დეპორტირება უნდათ. საქართველოში ეს პოლიტიკური სკანდალი იქნება. შეგიძლია ჩაერიო?" – სთხოვა დახმარება სააკაშვილმა. **„სინამდვილეში ის უკრაინულ კომპანიებთან მუშაობს, ყველაფერი ლეგალურადაა. უბრალოდ, ამ 90-დღიანმა წესმა ავტომატურად იმუშავა. ამის თავიდან აცილება რომ შეიძებოდეს, უკრაინაში თავის მდგომაროებას უპრობლემოდ დაარეგულირებდა. ახლა იქ ზის, ერთი საათის განმავლობაში შესაძლოა უკან გამოაძევონ და ეს მაშინვე სკანდალს გამოიწვევს",** – საქართველოს ექსპრეზიდენტი.

მიხეილ სააკაშვილის ძმას 2006 წლიდან 2012 წლამდე იუსტიციის უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელის პოსტი ეკავა. პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობის ხანაში იგი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის კადრების ატესტაციის პროცესს ხელმძღვანელობდა. ასევე იტყობინებოდნენ, რომ იგი **„ვისოლის"** ბენზინგასამართი სადგურების – ფაქტობრივი და წყნეთში მდიდრული სახლის მფლობელია. სახელგანთქმული ნათესავის თქმით, დავითი ახლა უკრაინაში ბიზნესითაა დაკავებული.

პრანკერმა გადაწყვიტა ექსპრეზიდენტს დახმარებოდა და აეროპორტსა და სასაზღვრო სამსახურში დარეკა, თუმცა ამჯერად თავი ავაკოვის მრჩევლად – ანტონ გერაშჩენკოდ წარმოადგინა. რამდენიმე ზარის შემდეგ დეპორტაციის საკითხი გადაიჭრა. ამის შესახებ პრანკერს თავად აეროპორტში მყოფმა დავითმა შეატყობინა. მოგვიანებით იმის შესახებ, რომ პრობლემა გადაჭრილია, ხულიგანს აეროპორტის თანამშრომლებმაც აცნობეს.

ქართველებო! და ეს იდიოტი თქვენი პრეზიდენტი იყო 9 წლის განმავლობაში?!

პრანკი (ინგლ. Prank – ოინი, გამოხტომა, ცელქობა, ანცობა) – სატელეფონო ხულიგნობა, სატელეფონო ოინია. ადამიანები, რომლებიც პრანკის პრაქტიკას ეწევიან, პრანკერებად იწოდებიან. პრანკერები ახორციელებენ სატელეფონო ზარებს (ჩვეულებრივ, ანონიმურს) თავისი მსხვერპლისადმი და, პროვოკაციისა და ხუმრობის მეშვეობით, მსხვერპლს დიდ საპასუხო რეაქციას აიძულებენ.

საქინფორმი

პოეზიის კუთხე

ბჟა დო მა

გობარჩხალუ ბჟაქ გვალაშე,
ტანს რგილ ჰავა მუნმოქუნდუ,
გებდირთ, ჩხანას ქუღაჭალე:
- მუშენ მეცილ, ჰამას ბლურდუ.

ჩხანაქ მიწუ – გოხიოლდას,
ჩქიმ ხეშ გინოფუჩონაფა,
ვარა ართ დღას ვაბძირუნქ დო
მუს გოხვარუ შხვაშ „ჩხონაფა"

თიმ ნდღარ უკულ, ირ ოჭმარეს
ეთმობდირთუქ იალონშა,
ხე დო პიჯის ჩხანა მიბონს,
თიშ სიტიბას ფხვამანქ ოშშა!

* * *

მიშუოჯანუქ ნარღიშ შქართუნს...
ვართ თუნს,
მარა გურს მუთ ვართუნს
მართუს დინოლაფირ რინა?!
ნინა აკოკილერ მაფუ,
ეშმალაფუ...
ეშ, მალაფუნს,
მუჭოთ აფუნს ფალირ თხინა!

ეკენიაშ ოჭუმარე

მუჭო მიღორს დამორჩილიშ, ეკენიაშ ოჭუმარე,
ბჟა დაღარას ბარჩხალანს დო ჰამო ჩხორიეფი მარე,

უჩაღალიშ მასქურ ირქენს, გურს ხიოლიშ ჭარა მარე,
შარა ვარე, მადინაფუს, ველუდირთე ვამეხვარე

მარა ვორწყექ, ორაგადეს, მუკი უბადობა გარე -
თეცალ ბორჯის მოკო ებლე, მოკო იბლე, მოკო ბღვარე,

მუთუნ გიშაულარ ვარე, ჩქიჩქუშორო გილენგარე,
ვახვარ გაღას მუთუნ კვაღა, ოკო ხანდა ოკო ჭარე!

ფუნს აფუნი

აფუნს დუშუ გარგალიშა კაბა,
ქუგუქარგაფ ძიცასდუნელ პირეფ.
გასხაპანა, ქომჯგუნანო დაბა -
კარკაცანა მასქვამია ცირეფ.

უხანე დო უხენელი იხი
ქიმკოდინე, მასქურ იქაქალუ,
გონდღულაფე ეკონია ჭიხი,
ფარფალია ფარფალ იფარფალუ.

* * *

სო მანტირედ თე ცოროფა -
გურიშ ტომბას მაკვირენდუ.
ჭვალმეგამილ, ნაჭოროფუ,
სქან სიტიბას ბნაკვერანდი.

ალემგარდი, ოლაფარეს
ალატებულ ცინდალცალო...
უგუფალ დო უცოფარეს –
ძელ დო ძვალი მაცანცალუ.

ვადმაცალუ გოპირუა
აფუნს მოკათაფილ ჩხურუქ...
ნარღიშ დაჩხირს ვოფურუა
დო ნაკვაჩხირს მუწმობღურუქ.

* * *

ქაშამჭოფ დო აკობბორკინ,
ვამიტენქ დო გიცუნქ ჯალო.
შურუბადო, ფური მორკინ,
ვადმათხინუ ძათანძალო.

ადშა ართი გუმორდუნი,
ასე გომრე ვითი გვალო.
მუ დიდაშ ბჟაქ გუმობრდუნი,
შურს გიმოხე ნაბარბალო.

ცანჭიცალო მუგადიარქ
დო სი მიკმოდინუქ ვალო...
გვალო დუდიშია ცოფექ -
გუმათეო ძელ დო ძვალო?!

გიგა ქავთარაძე

„Opus Dei“

იოანე ნათლისმცემელმა იესო ქრისტეს მოვლინებაში მამლის ყივილის (ყიონი) როლი შეასრულა. თუ რატომ მამლის ყივილის როლი, ამაში ახლავე დავრწმუნდებით.

როდესაც მამალი იყივლებს (ყიონი), აუცილებლად გათენდება (თანაფა-გათენება), მაგრამ "თანაფა" მეგრულად აღდგომასაც ნიშნავს, მამალმა იყივლა (ყიონი), ანუ იოანე (ყიონი-იონა) ნათლისმცემელმა იწინასწარმეტყველა იესოს მოვლინება, ისესო ქრისტე მოევლინა ქვეყანას, რასაც მოჰყვა მისი მოწამეობრივი სიცოცხლე და ჯვარცმა, ბოლოს კი მოხდა მისი აღდგომა (თანაფა-გათენება).

ყიონი (ყივილი) განხორციელდა პიროვნების სახით იონაში (იოანეში).

ამ შუალედში, გათენებამდე დროში შემოდის იესოში ქრისტე და ყალიბდება ის როგორც ღმერთი. მამაღმერთის ნებით ის ჯვარს ეცვა, მისი წვეთი სისხლისა ეცემა დედამიწაზე, რომელზეც ის აღტაცებით ამბობს: **"აჰა, აღსრულდა".** ე.ი. მიწიერი, ანუ ადამიანი დაუკავშირდა ციურს, ანუ ღმერთს და ქრისტეს აღდგომასთან ერთად შეწყდა სულის გაფანტვა, ანუ ქვესკნელში დამარხვა, ე.ი. მოხდა კაცობრიობისათვის სულიერი გათენება ანუ თანაფა.

როგორც ცნობილია, კოლხური ტომები განფენილნი იყვნენ, როგორც შავი, ასევე ხმელთაშუა ზღვის აუზებში. მათ შორის პალესტინაში და არაფერი გასაკვირი იმაში არ უნდა იყოს, რომ ეს უპირველესი ქრისტიანული მისტერიაა და ამ მისტერიის ერთ-ერთი მთავარი მონაწილის-იოანეს სახელი პირდაპირ კავშირში იყოს კოლხეთთან.

კოლხეთთანაა დაკავშირებული თვით ტოპონიმი **"გოლგოთა"**; გოლა-გოთე (მთა, გორაკი – ნათელი, მზიანი, უჩრდილო, უტყეო). მართლაც გოლგოთა ასეთი იყო **"ქრისტე"**-ს ეპოქაში. ამის შესახებ ჩვენ ვწერდით ჟურნალ "აია"-ში, სადაც გამოვაქვეყნეთ სტატია: **"კოლხიზმები ქართულსა და სხვა ენებში"** (ჟურნალ **"აია"** 7, 1991 წელი, გვ.37-39).

ასევე ტოპონიმი **"სოდომი",** რომელიც ჩვენი აზრით მომდინარეობს კოლხური **"ცოდამი"**-დან რაც ნიშნავს ცოდვიანს: ამას კი მე მგონი კომენტარიც არ სჭირდება, რადგანაც ყველას გაგონილი აქვს ამ ბიბლიური ქალაქის ცოდვების შესახებ.

ახლა ანთროპონიმ **"მავზოლის"** შესახებ.

კარიის (მხარე მცირე აზიაში) მეფე ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 საუკუნეში. მისი მეფობის დროს კარია განთავისუფლდა სპარსელების ბატონობისგან. მავზოლმა დედაქალაქი გადაიტანა მილოსიდან ჰალიკარნასში და სწორედ ჰალიკარნასში აღიმართა მავზოლეული მის სახელზე, რომელიც შემდგომ გახდა ერთი მსოფლიოს შვიდ საოცრებათა შორის.

როგორც ისტორიიდან არის ცნობილი მავზოლმა (მავზოლი და არა მავსოლი, რომელიც მოდის ბერძნულიდან, რადგანაც ბერძნულში არა გვაქვს ბგერა – **"ზ"** და რაშიც აქვე დავრწმუნდებით) თავისივე სიცოცხლეში ისურვა, რომ მის საფლავზე აღემართათ აკლდამა და ასევე ცობილია, რომ აკლდამის მშენებლობა დაიწყო, როდესაც ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მას მართლაც უსურვებია, რადგან კოლხურად **"მე ვისურვე"** გამოითქმის როგორც **"მა ვიზალი"** საიდანაც საბოლოოდ მივიღეთ მავზოლი.

როგორ უნდა გადაქცეულიყო ეს ფრაზა აკლდამის სახელად? პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი სახელები მეგრულში ძალზედ გავრცელებულია. მაგალითად მოკოდი (მინდოდი), ვამოკოდი (არ მინდოდი), ვაღურია (უკვდავი) და ა.შ. ხოლო რაც შეეხება ევროპაში ძალზედ გავრცელებული სახელის და გვარის **"კორნელი"** (მაგალითად ცნობილი ფრანგი დრამატურგი კორნელი და სხვა), ეს სიტყვა გამოდის კოლხური **"კორინელი"**-დან რაც ნიშნავს-ნდომას, სურვილს, ნანდურს. ასე, რომ შესაძლებელია, რომ მავზოლის მართლაც რქმეოდა ეს სახელი მა-ვიზალი. მეორეს მხრივ და რაც ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია არის ის, რომ თვითონ მავზოლმა ისურვა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ აკლდამას დარქმეოდა მის მიერ წარმოთქმული ეს ფრაზა **"მა ვიზალი"** (მე ვისურვე).

„Opus Dei“

როგორც ცნობილია კარიელები არ იყვნენ ინდოევროპული ტომები და კარიის მეფის მავზოლის ჩვენს მიერ შემოთავაზებული ეტიმოლოგიას თუ გავითვალისწინებთ, ცხადი ხდება, რომ ისინი უეჭველად კოლხურ სამყაროს ეკუთვნოდნენ.

ახლა რაც შეეხება კიდევ ერთ საოცრებას **"პირამიდის"** ეტიმოლოგიას. მეგრულად **"პირ-უა"** ნიშნავს კვირტის სხმას, გაფურჩქვნას, ხოლო **"პირი"** არის კოკორი; ყვავილი. ასე, რომ პირამი (რაც წარმოადგენს სიტყვა პირამიდის ფუძეს) ნიშნავს პირიანს, ანუ კვირტის, კოკორის ფორმიანს. ვინც გაზაფხულზე დაკვირებია ყვავილის კვირტს, კოკრის გამოსხმას, ის დაგვერწმუნება, რომ პირამიდებს მართლაც სწორედ კვირტის, კოკრისფორმა აქვს.

ქართული **"პირველი",** ასევე **"აპრილი",** რომელიც დაკავშირებულია ლათინურ aprilis-თან და შესულია მრავალ ინდოევროპულ ენებში. აპრილში ხდება სწორედ მცენარეთა აყვავილება, რუსული первый- პირველი, ინგლისური first- პირველი, ბერძნული protos–პირველი, pro- წინ, წინდაწინ, წინასწარ, ლათინურ oprae– იგივე მნიშვნელობით, ლათინური prima- პირველი და მრავალი სხვა. ყველა ამ სიტყვის ამოსავალია კოლხური სიტყვა პირ-უა კვირტის სხმა, გაფურჩქვნა, აყვავილება. სწორედ ამ სიტყვის ფუძე **"პირ", "პრ"** უზის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვებს ფუძედ და სწორედ მისგან მომდინარეობს ის სემანტიკური მნიშვნელობები, რომლებიც მათ შემდგომ მიიღეს. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ მეგრულში სიტყვები თ-ხორუა (დამარხვა) და ხორუა (დასახლება) ერთ ფუძეზეა აგებული (ამავე ფუძისაა რუსული хоронить – დამარხვა). რას უნდა ნიშნავდეს ეს? ჩემი აზრით, რადგან ძველების რწმენით მათ უშენებდნენ პირამიდებს, მავზოლეუმებს, აკლდამებს და საერთოდ სამაროვნებს, რომლებშიც ჩაატანდნენ ხოლმე სხვადასხვა ნივთებს, რომელი ნივთებიც მათ თითქოს დასჭირდებოდათ სიკვდილის შემდეგ. ამიტომ ეს ერთი მხრივ იყო თხორუა (დამარხვა), ხოლო მეორე მხრივ ხორუა (დასახლება), რადგანაც პირამიდების, მავზოლეუმების, აკლდამების და სამაროვნების აგება არანაკლებ რთული და საპასუხისმგებლო იყო, ვიდრე იმ ნაგებობების აგება, რომლებიც მათ სჭირდებოდათ სიცოცხლის პერიოდში.

ეს გვაფიქრებინებს, რომ სიტყვების **"პირამიდა"** და **"მავზოლეუმი"** დაკავშირება კოლხურ სამყაროსთან შემთხვევითი არ უნდა იყოს, საიდანაც თავის მხრივ გამოდინარეობს, რომ მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ორის სეტიმოლოგიას კოლხეთთან მივყავართ.

"ნეფელე" ბერძნულ მითოლოგიაში ღრუბელთა ქალღმერთია. ათამანტის პირველი ცოლი, ფრიქსეს და ჰელეს დედა. ასევე ბერძნულად ნიშნავს ღრუბელს. მეგრულად ღრუბელი მუნაფაა, ჩვენი აზრით მეგრულ ფორმას ბოლოში უნდა ჰქონდეს დაკარგული **"ლა"** პოსტფორმანტი ე. ი. უნდა ყოფილიყო მუნაფალა, რაც ნიშნავს **" რა აღმონაცენი."** გადატანითი მნიშვნელობით **"რა ანაორთქლი",** მართლაც ღრუბელი დედამიწის ზედაპირიდან ანაორთქლი წყლით მიიღება. ახლა გასაგებია, რომ ნეფლე მიღებულია ნაფალა-სგან, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პრეფორმანტი მუ(რა) და ეს სიტყვა კოლხური წარმომავლობისაა, რადგანაც აზრობრივად აიხსნება მხოლოდ კოლხურით. ასე, რომ ბერძნული (პელასგური) ნეფელე და კოლხური მუნაფა ერთიდაიგივე ძირისგან გამოდის. ამ სიტყვის ასეთნაირი ეტიმოლოგია კიდევ ერთხელ ადასტურებს პელასგურ-კოლხური სამყაროს ერთგვაროვნებას, იგივეობას და აქედან ჩანს აგრეთვე, თუ როგორ ხდება თანდათანობით, ენათა დაშორიშორება და დიფერენციაცია.

ამით, აქ უნდა შევწყვიტოთ სხვადასხვა ენების სიტყვათა ჩვენეული ეტიმოლოგიის ჩამოთვლა, რადგანაც საგაზეთო მასშტაბები მეტის საშუალებას არ იძლევა. ჩვენ არაერთი სტატია მივუძღვენით ამ საკითხს და წარმოვადგინეთ რამოდენიმე ასეული სიტყვა, რომლებიც თავის მხრივ, როგორც სალექსიკონო მასალა რამოდენიმე ათას ერთეულს მოიცავს.

საბოლოოდ, როგორც დავინახეთ მსოფლიოს ცივილიზებული ერების ენებში მრავლადაა მიმოფანტული კოლხური ენის სიტყვათა ძირები. კიდევ მეტი, ცივილიზებული ერების ენების ნებისმიერი სიტყვა გაშიფვრადია კოლხური ენის მეშვეობით; მხოლოდ ეგაა, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს **"რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების".** ყველაფერ ამაში კი ღმერთის ხელი უერვია, ესღმერთის საქმეა (**„OpusDei"**-ა) და აქედან ისიც კარგად სჩანს თუ ვინ არის ღმერთის მიერ რჩეული ხალხი. ბლომად არიან ჩვენში და არა მარტო ჩვენში პიროვნებები, რომლებსაც არ აწყობთ კოლხური ენის აღორძინება, რადგანაც ისინი ფიქრობენ, რომ თუ ეს გამოაშკარავდა, მათი როლი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში გაფერმკთალდება და სწორედ ამიტომაა, რომ თანამედროვე სამყარო გადმობრუნებულ პირამიდას დაამსგავსეს. ჩვენი ღრმა რწმენით ყველაფერი ეს დროებითია და ყველას მიეზღვევა ის, რასაც იმსახურებს. ამ რწმენის საფუძველს მაძლევს ისიც, რომ ბოლო წლების განმავლობაში გამოჩნდნენ პიროვნებები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რათა მთელმა სამყარომ დაინახოს და გაიგოს თუ რას ემყარება მსოფლიო ცივილიზაცია, რა იყო მის ბალავარში ჩადებული, ვის მიერ იქნა მიტაცებული სხვათა ნამოდვაწარი და ამით საბოლოოდ ცდილობენ ამ გადამობრუნებული პირამიდის ჩვეულ მდგომარეობაში დაბრუნებას.

როგორც წმინდა წერილშია ნათქვამი: ვინც პირველი იყო უკანასკნელ ჟამსაც ის იქნება პირველი.

ჩვენ კი ვცდილობთ ამ დიდ საქმეში მცირედი წვლილის შეტანას და ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის.

ნუგზარ კვაშილავა
"ფაზისი"-ს აკადემიის ნამდვილი წევრი

"ევროპასა და ამერიკას აკლია ფიროსმანი, გუდიაშვილი, გამრეკელი, იშხნელი..." – აღმოაჩინე საქართველო პიტერ სკინერთან ერთად

ამერიკელმა ისტორიკოსმა პიტერ სკინერმა ინგლისურ ენაზე გამოსცა საქართველოს ისტორიის შესახებ წიგნი. სქელტანიანი Georgia land Below The Caucasus უკვე იყიდება ამერიკაში, ინგლისსა და საქართველოში.

პიტერ სკინერი მსოფლიო საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობია წიგნით **"მსოფლიო სავაჭრო ცენტრი",** რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტიდან მოკლე ხანში გამოიცა და რვა ენაზე ითარგმნა.

სკინერი ცოტა ხნის წინ საქართველოში იმყოფებოდა. საქართველოთი მისი დაინტერესება ილია ჭავჭავაძის **"განდეგილით"** დაწყებულა. რამდენიმე წლის წინ მან მარჯორი უორდროპის ნათარგმნი ქართული პოემა წაიკითხა და როგორც ამბობს, მონუსხა ნაწარმოებში აღწერილმა დარიალის მთებმა. ამიტომაც გადაწყვიტა, უფრო მეტი სცოდნოდა იმ ქვეყნის შესახებ, სადაც **"განდეგილი"** დაიწერა. ისტორიკოსი ბიბლიოთეკაში წავიდა და მომსახურე პერსონალთაგან ერთ-ერთს სთხოვა დახმარებოდა სასურველი ინფორმაციის მოძიებაში და რას წარმოიდგენდა, რომ ბიბლიოთეკის უამრავ თანამშრომელს შორის მაინცდამაინც ქართველი შეხვდებოდა.

პიტერ სკინერი: "ჩემ წინ მდგომ ბიჭს პოემა ვაჩვენე და ვუთხარი, რაც მსურდა. გაეღიმა, ამ პოემის ავტორი ქართველია, ილია ჭავჭავაძე, ნაწარმოებში საქართველოა აღწერილი და მეც ქართველი ვარ, ვახტანგი მქვიაო. საქართველოში ვახტანგის ბიძაშვილმა, ბესო კიზირიამ მიმასპინძლა. სამჯერ ჩამოვედი, ბესომ მომატარა საქართველო. სწორედ ამ ჩემი მოგზაურობის ამსახველი რუკები ახლავს წიგნს".

პიტერს ხშირად ეკითხებიან, რა მისცა მას ხუთმა წელიწადმა, როდესაც საქართველოს ისტორიას სწავლობდა? ის ღიმილით პასუხობს, რომ მიიღო უდიდესი სიამოვნება და გაოცდა, რომ ამხელა ისტორიის მქონე ქვეყანას ჯერაც არ იცნობს მსოფლიო: **"ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანი საქართველოს პირველად (და ხშირად უკანასკნელად) საკლასო ოთახში ხვდება, სადაც ეცნობიან მითს იაზონისა და არგონავტების მოგზაურობის შესახებ. ამით მათ ბუნდოვანი წარმოდგენა ექმნებათ კოლხეთსა და კავკასიაზე და საქართველოსთან ურთიერთობა მოსწავლეებისთვის ამითვე მთავრდება. ამით ამოიწურება ჩვენი უმნიშვნელო ცოდნა საქართველოს წარსულზე.**

რატომ არ ვიცით ჩვენ, ვინ იყო დავით აღმაშენებელი, თამარი, თეიმურაზ I, ვახტანგ VI და ერეკლე II... რატომ არის, რომ ასე ძალიან ცოტა რამ ვიცით "ვეფხისტყაოსანზე" და ჩვენთვის უცნობია წერეთლის, ჭავჭავაძის, ვაჟასა ან გალაკტიონის სახელები?

საქართველოს მდიდარი კულტურის ისტორია განუმეორებელია და არა მეზობელი ქვეყნებისგან შეთვისებული. მონასტრები და სამწერლო-საგანმანათლებლო კერები ათონის მთაზე, სინას მთაზე, სირიაში, ასევე იერუსალიმსა და ბულგარეთში ამის დასტურია. ურთიერთობანი ბიზანტიასთან, მონაწილეობა ჯვაროსნულ ომებში, ელჩობა ევროპის სამეფოებში, მეწინავე როლი სპარსეთსა და რუსეთში – ეს ქართული კულტურის უნიკალურობის ნაწილია, რაც ძალიან მცირედ არის ცნობილი.

სამწუხაროდ, ქართული ლიტერატურის ძალიან მცირე ნაწილი არის ნათარგმნი ინგლისურ ენაზე, მაგრამ ისიც, ისევე როგორც ისტორიული მასალები, მიუწვდომელია. ინგლისელები ვამაყობთ უძველესი პოეტით ჯეფრი ჩოსერით, მაგრამ გვახსენდება, რომ მასზე ადრე ცხოვრობდა დანტე. მაგრამ მასზე საუკუნით ადრე რუსთაველი არსებობდა საქართველოში. "ვეფხისტყაოსანი" ბრწყინვალე ლირიკული ნაწარმოებია, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში თარგმნა მარჯორი უორდროპმა, მაგრამ რატომღაც თანამედროვე ევროპამ დაივიწყა... ჩვენ, ფაქტობრივად, არაფერი ვიცით ქართული მხატვრობის, არქიტექტურისა და სამზარეულოს შესახებ... ევროპასა და ამერიკას აკლია ფიროსმანი, გუდიაშვილი, გამრეკელი, იშხნელი... ეს მცირედი ჩამონათვალია.

თბილისში, მართალია, უხვადაა წიგნები ეკლესია-მონასტრებსა და მათ არქიტექტურაზე, მაგრამ თითქმის არ იშოვება ნაშრომები ციხესიმაგრეებსა და ციხედარბაზებზე და თუ რამე იშოვება ინგლისურ ენაზე, მას საქართველოს გარეთ ვერსად ნახავთ, ვერ იყიდით.

ვფიქრობ, ჩემი ნაშრომი მოეწონებათ იმ ქართველებს, ვისაც სურთ მეგობარ უცხოელებს ბევრი რამ უთხრან თავიანთი სამშობლოს შესახებ.

დაგეგმილი მაქვს წინა საუკუნეებში საქართველოში მოგზაური ევროპელი ქალების ჩანაწერების თარგმნა. ზოგიერთი სამეგრელოს მთავრის, ეკატერინე დადიანის ოჯახში წლობით ცხოვრობდა და საქართველოს ეცნობოდა. მათ შესანიშნავი მასალა დატოვეს ფრანგულ და გერმანულ ენებზე. მინდა ეს ყველაფერი ინგლისურად ვთარგმნო და გამოვცე".

პიტერ სკინერის წიგნი უკვე მოითხოვა აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკამ, ოქსფორდის, ჰარვარდის უნივერსიტეტებმა და მრავალმა სხვა ინსტიტუტმა. ავტორი მოხარულია, რომ დასავლეთის ისტორიულ და სამეცნიერო წრეებში უკვე დაიწყო საქართველოს ისტორიის გაცნობა.

ე. ლომიძე

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲐᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲣᲥᲔᲛᲓᲔᲑᲔᲚᲘ

დაიბეჭდა არქიმანდრიტ რაფაელისა (კარელინი) და დეკანოზ ალექსანდრეს (ბოლქვაძე) ლოცვა-კურთხევით

წინამდებარე მონოგრაფია ეძღვნება ადრექრისტიანული ხანის (IV-V სს.) გამოჩენილ ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს, მისი დროის უდიდეს მოაზროვნეს, მეცნიერსა და მწიგნობარს, ეროვნული ქრისტიანული დამწერლობისა (ასომთავრული ანბანის) და ორიგინალური კალენდარული წელთაღრიცხვის ერთ-ერთ შემოქმედს – **"დიდ ბაკურ"**-ს. ნაშრომში ძველ ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე წარმოჩენილია აღნიშნული პიროვნების მრავალმხრივი პორტრეტი, ცხოვრებისა და მოღვაწეობის როგორც ნაცნობი, ისე დღემდე პრაქტიკულად უცნობი ეპიზოდები; გამოკვლეული და მწყობრი სახით არის ჩამოყალიბებული დიდი ბაკურის ღვაწლი ქართული ასომთავრული ანბანისა და ორიგინალური კალენდარული წელთაღრიცხვის შექმნის საქმეში; მოცემულია აღნიშნული მოვლენის შინაარსობრივი მხარის, თანამდევი გარემოებებისა და მსოფლმხედველობრივი ასპექტების ფართო ანალიზი და სხვ. ნაშრომი განკუთვნილია როგორც სპეციალისტთა, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.

პირველი გამოცემის რედაქტორები:
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. იოსებ კვიციანი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ჯემალ სტეფნაძე,
ტექრედაქტორი: გიორგი (მალხაზ) ხურცილავა,
კომპიუტერული უზრუნველყოფა: მამუკა ხანთაძე,
მხატვარი: ძეთევან შალამბერიძე

თავს ვალდებულად ვთვლით გულწრფელი მადლიერების გრძნობით მოვიხსენიოთ ყველა ის ადამიანი, ვისი მხრიდან ჩვენდამი გამოხატული დიდი მორალური, მეცნიერული, ტექნიკური თუ ფინანსური მხარდაჭერის შედეგად შესაძლებელი გახდა წინამდებარე ნაშრომის მკითხველთა ფართო წრის სამსჯავროზე გამოტანა. ვსარგებლობთ შემთხვევით და პირველყოვლისა უღრმეს მადლობას ვუძღვნით არქიმანდრიტ რაფაელსა (კარელინი) და თბილისის ქვემო ბეთლემის ტაძრის მოძღვარს, დეკანოზ ალექსანდრეს (ბოლქვაძე), რომელთა მხრიდან წიგნზე მუშაობის მანძილზე ჩვენ არამარტო მუდმივად ვგრძნობდით დიდ მორალურ თანადგომას – გამოხატულს ლოცვა-კურთხევაში, არამედ სისტემატიურად ვიღებდით პრაქტიკულ, სასარგებლო რჩევა-დარიგებებსაც წარმოდგენილი თემის თეოლოგიურ ასპექტებთან მიმართებაში.

მადლობის სიტყვებით გვსურს მოვიხსენიოთ წინამდებარე წიგნის რედაქტორები: ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი იოსებ კვიციანი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯემალ სტეფნაძე წიგნზე მუშაობის პერიოდში ჩვენდამი გამოჩენილი ყურადღებისათვის და რიგ საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით საქმიანი შენიშვნების მოცემისათვის. დიდ მადლობას მოვახსენებთ აგრეთვე მამუკა ხანთაძეს – წიგნის უანგაროდ სათანადო კომპიუტერული უზრუნველყოფისათვის; ქეთევან შალამბერიძეს – წიგნის გარეკანის მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმებისათვის; მალხაზ ხურცილავას, წიგნის ტექრედაქტორს, რომლის დიდი პრაქტიკული მხარდაჭერის გარეშე წინამდებარე ნაშრომი დღის სინათლეს ალბათ ვერ იხილავდა.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ

"დაე, ისტორია ტყუილს შეუშინდეს, მაგრამ არ შედრკეს არანაირი სიმართლის წინაშე".
ᲙᲘᲙᲔᲠᲝᲜᲘ

ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ

პიროვნებას, რომელსაც ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი, თავის დროზე არაერთი ცნობილი მეცნიერისა და მკვლევარის ყურადღება ხვდა წილად. ეს ინტერესი ბუნებრივად დაჰბადა მის შესახებ უცხოურ წერილობით წყაროებში გაბნეულმა ნაირსახოვანმა ცნობებმა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ თვით ამ ცნობების თვალშისაცემად წინააღმდეგობრივმა ხასიათმა. სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე არ წყდება გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დაწყებული კამათი და ძიებანი **«დიდი ბაკურის»** სახელით ცნობილი ისტორიული პირის ვინაობის შესახებ. თუმცა, ყველა ის მეცნიერი, ვინც კი ოდესმე დაინტერესებულა აღნიშნული პიროვნებით, შინაგანად გრძნობდა იმას, რომ საქმე ჰქონდა უაღრესად საინტერესო და არაორდინარულ ფიგურასთან, რომელსაც თავის დროზე ძველი სამყაროს არაერთი ცნობილი ავტორის ყურადღება ხვდა წილად. ყველა ის წერილობითი წყარო, სადაც ამა თუ იმ კუთხით მოხსენიებულია ჩვენთვის საინტერესო პიროვნება, საზოგადოდ კარგად არის ცნობილი მეცნიერთათვის. მაგრამ ეს ცნობები მათგან ყოველთვის ერთსახოვნად არ არის შეფასებული ან განმარტებული. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მათ კვლავ დავიმოწმებთ, რაც თავის მხრივ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ნაწილობრივ მაინც აღვადგინოთ IV-V სს-თა ზღურბლზე მცხოვრები დიდი მამულიშვილის პიროვნული პორტრეტი, მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი. სათქმელს წინ გავუსწრებთ და აღვნიშნავთ იმას, რომ საკითხთა ფართო წრის გულდასმით შესწავლის შედეგად დიდი ბაკურის პიროვნება ჩვენს თვალში წარმოჩინდა არანაკლები მნიშვნელობისა თუ ფასეულობის მქონე ისტორიულ მოღვაწედ, ვიდრე ქართველი ხალხის თუნდაც ისეთი გამოჩენილი წიგნიერი შვილები, როგორებიც იყვნენ შორეულ თუ მახლობელ წარსულში ვახტანგ გორგასალი, გიორგი მთაწმინდელი, დავით აღმაშენებელი, შოთა რუსთველი, ვახტანგ მეექვსე, სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვა მრავალი. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ დიდი ბაკური არის ის საყრდენი ლიბო, რომელზედაც შემდგომში აღმოცენდა საზოგადოდ ეროვნული მწიგნობრობა, კულტურა და, საერთოდ, ქართული ქრისტიანული ცივილიზაცია. მართლაც პარადოქსულად შეიძლება მოგვეჩვენოს ის ფაქტი, რომ მიუხედავად ჩვენთვის საინტერესო პიროვნების მიმართ სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა (ფილოლოგთა, ისტორიკოსთა, ფილოსოფოსთა და სხვ.) მხრიდან ადრიდანვე გამოჩენილი დიდი ინტერესისა (იხ. 104; 105; 49; 87; 19; 20; 32; 72; 91; 92; 93; 21; 13 და სხვ.), შეიძლება ითქვას, რომ ეს ბუმბერაზი პიროვნება და მისი ფასდაუდებელი ღვაწლი მშობლიური ერისა და ქვეყნის, ქართული ეკლესიის წინაშე ფაქტიურად დღემდე მაინც უცნობი რჩება ჩვენი საზოგადოების ფართო წრისათვის. წინამდებარე ნაშრომს აქვს იმის პრეტენზია, რომ ის ამ ხარვეზისა თუ ისტორიული უსამართლობის გამოსწორების ცდად ჩაითვალოს. მოცემულ საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში არსებული შეხედულებების ნაწილის ჩვენის მხრივ გაზიარების ფონზე წინამდებარე ნაშრომში

მკითხველი იხილავს თვისობრივად განსხვავებულ მოსაზრებებსაც; რიგ შემთხვევაში, ალბათ, პოლემიკურსაც. ამის საჭიროება ლოგიკურად წარმოშვა შესასწავლი საკითხების მიმართ სპეციალისტთა შორის სადღეისოდ არაერთგვაროვანი მოსაზრებების არსებობის ფაქტმა. საერთოდ კი, დიდი ბაკურის პიროვნების მიმართ ჩვენი ინტერესი არახალია.

მაგრამ მისი ცხოვრება-მოღვაწეობის მონოგრაფიულად შესწავლის სურვილი (თავად იდეა, როგორც ასეთი, მოგვაწოდა ბ-ნმა იოსებ კვიციანმა – ბ.ხ.) განსაკუთრებულად გაგვიცხოველდა მას შემდეგ, რაც ღღის სინათლეზე იქნა გამოტანილი ჩვენი ნაშრომი: **«ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ეპოქის, გარემოებებისა და ავტორთა ვინაობის საკითხისათვის»** (2002 წ.). სხვადასხვა მიმართულებით წარმართული კვლევა-ძიებების ნიადაგზე გაკეთებული შედეგობრივი დასკვნების შემდეგ ჩვენ უბრალოდ ვალდებულიც ვიყავით, რომ ამ საპასუხისმგებლო მისიის შესრულება გვეკისრა. წინამდებარე ნაშრომში მკითხველი ბევრ ადგილას იხილავს იმ მასალებს, რომლებიც ზემოდასახელებულ მონოგრაფიაში უკვე გვქონდა დამოწმებული. მაგრამ ამჯერად აღნიშნული მასალები მნიშვნელოვნად შევსებული და მწყობრი სახით არის წიგნის V თავში წარმოდგენილი.

იმედს გამოვთქვამთ, რომ მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა პრაქტიკულად თექვსმეტი საუკუნის მანძილზე დავიწყებას უსამართლოდ მიცემული თვალსაჩინო ერისკაცის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ ჩვენგან შედგენილ წინამდებარე მცირე **«მატიანეს»**. წიგნის ავტორი თავის მხრივ გულისხმიერებით მიიღებს ყველა სასარგებლო შენიშვნასა და მოსაზრებას, გაითვალისწინებს მათ სამომავლოდ.

ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ – ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

დიდი ბაკურის პიროვნების შესახებ ცნობებს ვხვდებით როგორც ქართულ, ისე სომხურ და ბერძნულ-რომაულ წერილობით წყაროებში. ამასთანავე, ცნობების ერთი ნაწილი შეეხება აღნიშნული პირის ცხოვრება-მოღვაწეობის იმ პერიოდს, როდესაც ის, ჯერ კიდევ მეფისწულის რანგში მყოფი, სამშობლოს გარეთ – ბიზანტიის იმპერიაში ეწეოდა სამხედრო სამსახურს; ცნობების მეორე ნაწილი კი ასახავს დიდი ბაკურის ცხოვრება-მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდს, რა დროსაც მას ქართლის (იბერიის) სამეფო ტახტზე აღზევებულს ვხედავთ.

ყველაზე ადრინდელ ცნობას აღნიშნულ პირზე ვხვდებით რომაელ ისტორიკოს ამიანე მარცელინესთან (330-400 წწ.). აქ ის 378 წლის 9 აგვისტოს ქალაქ ადრიანოპოლთან ვესტ-გოთების წინააღმდეგ მებრძოლი ვალენტი კეისრის (364-378 წწ.) ჯარის ერთ-ერთ სარდლად (სკუტარიების, ანუ ფაროსანთა ტრიბუნად) მოიხსენიება (7:144). შემდეგ იგივე ბაკური ნახსენებია ცნობილი ასურელი ნეოპლატონიკოსი სოფისტის – ლიბანიოსის (314-393 წწ.) 392 წლით დათარიღებულ სამ წერილში, როგორც ფრიად მოაზროვნე,

ფილოსოფია-რიტორიკასა და მეცნიერებებში განსწავლული და დახელოვნებული ადამიანი (58:63-66). ბაკურს, როგორც წმ. ნინოს მიერ ქართლის (იბერიის) მოქცევის ისტორიის მათთვის მომთხრობ პირს, ასახელებენ თავიანთ შრომებში ცნობილი საეკლესიო მწერლები: პალესტინის კესარიის ეპისკოპოსი გელასი (+395წ.), აკვილელი ხუცესი ტურანიუს რუფინუსი (345-410 წწ.) და სოკრატე სქოლასტიკოსი (380-440 წწ.); სოკრატე დამატებით კიდევ ბაკურს 388 წლის აგვისტოში მაქსიმე ტირანის წინააღმდეგ იმპერატორ თეოდოსი დიდის (379-395 წწ.) მიერ ილირიკაში წარმოებული ბრძოლის თანამონაწილედაც სახავს (82:194, 207, 234). იმავე ბაკურს 394 წლის 5/6 სექტემბერს ისტრიაში, მდ. ფრიგიდიუსთან (ახლ. ვიპავა სლოვენიაში) ევგენიოს ტირანის წინააღმდეგ იმპერატორ თეოდოსი I დიდის მიერ გამართული ბრძოლის აქტიურ მონაწილედ ასახელებენ ბიზანტიელი მწერლები – ზოსიმე (V-VI სს.) და გიორგი ამარტოლი (IX ს.) (31:269-270; 18:198). რუფინუსის ცნობაზე დაყრდნობით იბერიელთა მეფე ბაკურს, როგორც ქართლის ქრისტიანობაზე მოქცევის ისტორიის მომთხრობ პირს, ახსენებს თავის თხზულებაში ცნობილი ბიზანტიელი ჟამთააღმწერელი თეოფანე აღმსარებელი (760-818 წწ.) (იხ. **«გეორგიკა»**. ტ. IV, ნაკვეთი I, თბ., 1941:75). დიდ ბაკურს, როგორც იბერიის ხელმწიფეს და ქართული ქრისტიანული დამწერლობის შექმნასთან დაკავშირებულ პირს, იცნობენ V ს-ის ცნობილი სომეხი მწერლები – კორიუნი და მოვსეს ხორენაცი (56:100-101; 67:223-224). მის შესახებ არაერთ ძვირფას ცნობას ვნახულობთ პეტრე იბერის არაბი ეროვნების ბიოგრაფ იოანე რუფუსსთან, ანუ ბეით-რუფინთან (V-VI სს.). სწორედ ამ ავტორთან არის ჩვენთვის საინტერესო პიროვნება **«დიდ ბაკურად»** სახელდებული (37:248-251). ქართული წერილობითი წყაროებიდან აღნიშნულ პირს მხოლოდ **«მოქცევაი ქართლისაი»**-ს მატიანე იცნობს. აქ ის ქართლის მეფე ბაკურ თრდატის ძეს შეესაბამება, რომელსაც თავის ზეობის პერიოდში ეკლესია აუგია ბოლნისში და როგორც ჩანს, არმაზის ძველი საფორტიფიკაციო ნაგებობებიც (**«არმაზნი»**) განუახლებია (68:92).

საინტერესოა, რომ ზემოთ აღნიშნულ ავტორთაგან ზოგიერთს (მაგალითად, ლიბანიოსს, გელასი კესარიელს, ტურანიუს რუფინუსს) პირადად სცნობია დიდი ბაკური, ზოგიც სანდო ზეპირ და წერილობით წყაროებს ეყრდნობოდა მასზე საუბრისას. დიდი ბაკურის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ნარატიული მასალები საკმაოდ

მრავალფეროვანია და ინფორმაციულობის თვალსაზრისითაც არცთუ ისე მწირი, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ნაწილობრივ მაინც აღვადგინოთ დასახელებული პიროვნების თვითმყოფადი პორტრეტი, მისი სისხლსავსე, შინაარსიანი ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი ეპიზოდები. გარდა დასახელებული წყაროებისა გარკვეულ დახმარებას გვიწევს აღნიშნული ამოცანის წარმატებით გადაჭრაში დავათის ქვასვეტის იკონოგრაფიასა და **«ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი»**-ს პროზაულ ჰიმნში განთავსებული საგულისხმო, ხანგრძლივი დროის მანძილზე თავსატეხად მიჩნეული და აწ უკვე ჩვენგან ამოცნობილი, ინფორმაციაც (იხ. 102:27-45). უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უძველეს, 433-444 წლებით დათარიღებულ წარწერას პალესტინის ქართული მონასტრიდან, სადაც სხვასთან ერთად ნახსენებია ჩვენთვის საინტერესო პიროვნებაც. ამასთანავე, ფრიად ძვირფას ინფორმაციას გვაწვდის ბაკურის მსოფლმხედველობის რაობისა და განათლებულობის ფონის გამორკვევის თვალსაზრისით ქართული ასომთავრული ანბანის შესწავლის შედეგად გამოვლენილი მრავალფეროვანი მასალაც. ხსენებული პიროვნების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაშიც არამცირედია ნათქვამი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მეცნიერთა დიდი უმრავლესობა ერთმანეთისაგან ანსხვავებს უცხოურ წერილობით წყაროებში ნახსენებ იბერიელ მეფისწულ ბაკურისა და ქართლის მეფე დიდი ბაკურის პიროვნებებს. საკმაოდ სხვაობს მეცნიერთა შეხედულებები დიდი ბაკურის ზეობის წლებისა და რელიგიური მრწამსის განსაზღვრის საკითხებშიც. მოკლედ მიმოვიხილოთ ისინი.

ასე მაგალითად, ს. გორგაძე დიდ ბაკურს **«მოქცევაი ქართლისაის»** ქრონიკისეულ ბაკურ რევის ძესთან აიგივებდა, რომელსაც, მისი აზრით, 361-364 წლებში ეჭირა სამეფო ტახტი და შემდეგ ან თვითონ დათმო ის ან თრდატ რევის ძემ ჩამოაგდო და ამ მიზეზით ბიზანტიაში წავიდა, სადაც 394 წელს ბრძოლაში დაიღუპა (23:36); რაც შეეხება ბაკურ თრდატის ძეს, მისი ზეობის პერიოდს ს.გორგაძე 425-428 წლებით საზღვრავდა (23:58).

თ. ჟორდანია ბერძენ-რომაელი ავტორების ბაკურს მირიან მეფის ძედ თვლიდა, რომელიც, მისი აზრით, წავიდა ბიზანტიაში და გარდაიცვალა 377 ან 394 წელს (78:42 შენ. 84). პლატონ იოსელიანი ტურანიუს რუფინუსის ბაკურს ანსხვავებდა ბაკურ მირიანის ძისაგან (38:19 შენ. 24). აკად. ივ.ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ დიდი ბაკურის გარდა არსებობდა პატარა ბაკურიც და რომ სწორედ ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო გელასი კესარიელის მოამბე ბაკური, რომელსაც არაფერი საერთო არ გააჩნდა იოანე რუფუსსთან ნახსენებ იბერთა **«პირველ ქრისტიან მეფესთან»** – დიდ ბაკურთან, რომელსაც იგივე მეცნიერი ბაკურ მირიანის ძესთან აიგივებდა და მისი მეფობის ფაქტს IV ს-ის 30-იან წლებში ვარაუდობდა (104:262-264, 273). აკად. კ.კეკელიძეს მიაჩნდა, რომ დიდი ბაკური თრდატის ძე იყო, ხოლო იოანე რუფუსის ცნობა მისი პირველქრისტიანობის შესახებ რეალურად ამ მეფის მიერ არიანელობის ნაცვლად მართლმადიდებლობის შემოღების მოწმობად ესახებოდა; იგი არ იზიარებდა აზრს ხსენებული პირის წარმართობის შესახებ, წერდა: წარმართს გელასი ეპისკოპოსი ხოტბით არ შეამკობდაო.

ს. ყაუხჩიშვილს მიაჩნდა, რომ ბერძნულ-რომაულ წყაროებში ქართლის მოქცევასთან დაკავშირებით მოხსენიებული ბაკური მეფე არ უნდა ყოფილიყო (86:67-68 და 16:66 შენ. 1, 199). მისივე აზრით, ბაკურ იბერიელი თავისი რწმენით წარმართი-პოლითეისტი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, არაორთოდოქსალური ქრისტიანობის მიმდევარი მაინც იყო, რის გამოც მოუწია თითქოს მას სამშობლოს დატოვება (87:13-20; 88:94). აკად. შ. ნუცუბიძე

ფიქრობდა, რომ ლიბანიოსის ადრესატი ბაკური IV ს-ის წარმართი-ნეოპლატონიკოსი იყო (72:74-76; 73:107). ს.კაკაბაძემ დიდი ბაკური თრდატის ძედ მიიჩნია, რომელსაც, მისი აზრით, სამეფო ტახტი 382-384 წლებში ეჭირა, შემდეგ გაიქცა ბიზანტიაში და იქედან დაბრუნებულმა 395-400 წლების პერიოდში ხელმეორედ იმეფა ქართლში (40:152-153; 41:151-153). გ.გოზალიშვილმა სარწმუნოდ მიიჩნია ცნობა დიდი ბაკურის იბერიის პირველ ქრისტიან მეფედ ყოფნის შესახებ; მისი ქართლიდან გაქცევის მიზეზად მირიანი დაასახელა. როგორც ის ფიქრობდა, ბაკური იულიანე განდგომილის გავლენით ღრმა ქრისტიანი არ იყო. მანვე დიდი ბაკური ქართული წყაროებში ნახსენებ მეფე ვარაზ-ბაკურთან გააიგივა; დაბადების დროდ 310 წელი, ხოლო გარდაცვალებისად – 394 წელი მიიჩნია (19:20; 20:42, 53, 74, 78).

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პოლემიკა ფრიად აქტუალურ საკითხებზე

ავტორი – როგორც იბერიის სახელი არაა ევროპული (მხედველობაშია იბერიის ნახევარკუნძული ევროპაში და იბერია საქართველოში), ეგრევე არაა კავკასიისა და ბალკანეთის ალბანეთი ევროპული: ხალხთა მიგრაცია კავკასიიდან, მცირე აზიიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ევროპაში ხდებოდა და არა პირუკუ, ამიტომ, სახელის ემიგრაციის საკითხებშიც უპირატესობა კავკასიის მხარეზეა; ანუ კავკასიიდან გავიდა სახელი ალბანეთი, და ეს სრულიად ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ რომ (იხ. გვ.40) მეგრულში სისწორის გამომხატველ ერთ-ერთ სინონიმს ბონი//ბონე ქვია. ალ გახლავთ შებრუნებული მეგრ. ლა პრეფიუსი, რომელიც ობიექტის განფენილობასაც აღნიშნავს. მაგ. ლა-ფარო, ო-ლა-ფარე „მეგრ. ლა-ფარე“; ლა-კადა – ლა-კირდე „კლდე“=კლდეთა არეალი, კლდეთა განფენილობა; ბონ+თი=სწორი ადგილი. მ.ე. ჯამში: ალ-ბანე-თი=ლა-ბონე-თი = სწორი ადგილის (ტერიტორიის) ანუ ვაკის განფენილობა.

ენათმეცნიერი – ალბანელები-მთიანეთში, ხოლო ვაკე კასპიის სტეპებზე კასპიები ცხოვრობდნენ.

ავტორი – ერთნიც და მეორენიც კოლხები გახლავან: კასპიები სანამ კასპიის სანახებს აითვისებდნენ, დღევანდელი მესხეთისა და კასპის რ-ის მიდამოებში ცხოვრობდნენ, და, რათქმაუნდა, კოლხები იყვნენ. ამაზე მეტყველებს ჰიდრონიმი ლე-ხურ-ა რომლის ნაპირებზე ქ. კასპია გაშენებული. რაკი ვიცით, რომ ძველი მოსახლეობა, უპირატესად წყალსატევთა ნაპირებზეა განთავსებული, ძნელი არაა მივხვდეთ: ლე-ხურ-ა მიღებულია მეგრ. ლე-ხორ-ა – გარკვეულ არეალში ოჯახთა (საცხოვრისთა) არსებობის მნიშვნელობის მქონე სიტყვისაგან. სხვათაშორის, მეგრულივე ლე-ხერ-ა (ხეობა) ლე-ხორ-ა-დანაა მიღებული. დასაშვებია, ესპანეთში გვადა-ლა-ხარ-ა – გორდა მეგრ. **«მრუდე“** ფორმის ლე-ხორა **„საცხოვრისთა არსებობა»** ყოფილიყო. თუმცა უფრო რეალურია ამ გვადას დაკავშირება გუდასთან. (გვადა) <გუდა უხშირესია ქართველურ ტოპონიმიკაში: გუდა-უთა, გუდა-ვა, გუდა-მაყარი და ა.შ.). ე. ი. ეტიმ. ამოსავალია გუდას ფორმის სამოსახლო მიდამოს არსებობა. და რაკი ამგვარი წიაღსვლებია, უნდა ვიფიქროთ, ქართ. ხე-ობა წინათ ხერ-ობა თუ იყო, რომელშიც ხერ მეგრ. ხორ-ის ფარდია. თუმცა სრული უფლებამოსილება გააჩნია ხე+ობა მდინარის ნაპირებზე ხეთა სიუხვის ანუ ტყის არსებობის მნიშვნელობით ამოსავლიანობასაც.

ენათმეცნიერი – ენათმეცნიერება ზუსტი მეცნიერებაა. ამგვარ დაშვებებზე და ალბათობებზე დაფუძნებულ ეტიმოლოგიებს არავითარი აკადემიური საფუძველი გააჩნია.

ფიზიოლოგი – ოღონდ ეს დაშვებები არ უნდა იყოს სისტემური და თანაც იმდენად თვალში საცემი, რომ **«ნებისმიერს თვალში მოხვდეს»...**

ავტორი – ლე-ხურ-ას ხურ\\ხორ ძირზე კიდევ გვექნება საუბარი. თავად მეხუთე საუკუნის ციხესიმაგრის სახელი – კასპი კი განპირობებულია იმ ლანდშაპტით, რომელიც მდინარე ლეხურასაგან შუა გაკვეთილ კვერნაქის გორაკის ფერდობებს ახასიათებთ: იქ მცენარეულობა, მიმდებარე სანახებთან მიმართებით გამორჩეულად ქორფაა: აი, ეს გახლავთ მნიშვნელობითი ამოსავალი კას-პი-ს წინაფორმად რესტავრირებული სიტყვისა სუკ-ფა: სუკ-ი **„მეგრ. გორაკი+ფა „მეგრ. მცენარე“=„გორაკის მცენარე“**. კას-პი-ს კას გახლავთ სუკ-ის თანხმოვანთა მეტათეზის და ხმოვნის დელაბიალიზაციის შედეგი, ისევე როგორც ეს ხდება მეგრ. სიტყვებში საკ-ილი//კას-ილი **„გატენილში“** (საკ-ი გახლავთ ტომარა, ამიტომ აქედან საკ-ილი **„გატენილი“** ბუნებრივია, მაგრამ გვაქვს კას-ილ-იც). ე. ი. კას-პი-ს კას ნაწილი მიღებლია სუკ > კას ცვლილებით. რაც შეეხება პი (< ფა) ნაწილს, ფა **„მცენარის“** მონაწილეობა ტოპონიმიკაში უხშირესია: ფა-თი, ცნობილ ქართველოლოგ, ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორ ჰანს ფოგტის მიხედვით, გახლავთ ფოთის კანონიერი წინაფორმა, მაგრამ, მისი აზრით ფოთი იმდენად ძვლი ქალაქია და უძველეს წარსულში მისი სახელდება მოხდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქართ. მეგრ. ბგერათშესატყვისობათა გამომწვევი ენობრივი პროცესები არ იყო დაწყებული, წინაადმდეგ შემთხვევაში სახელად ფოთი კი არა ფათი გვექნებოდაო: რესტავრირებული ფა+თიდა ფო-თი-ს მანამდელ სახელ ფა-სისი-ს ფა\\ფო= **„მცენარე“+თი „ადგილი“;** სისი = ში-ში = ში წყალი + ში მეგრ. კუთვნილების სუფიკსი. ე. ი. ფა-თი და ფო-თი = მცენარეული ადგილი, ხოლო ფა-სი-სი = მცენარე წყლისა. ეგრევეა წარმოებულიფა-ლაზონი (სოფელი კახეთშიდა მიკროტოპონიმი სამეგრელოში)= ფა **„მცენარე“ + ალაზონი„ქორფა“** =ქორფა მცენარეულობა.

ისტორიკოსი – ფოგტის მიხედვით, ქართულში თუ კანონზომიერ ფა-თი-ს წინარედ ფო-თი არსებობდა და დღესაც შენარჩუნებულია, ეს ხომ იმაზე მიუთითებს, რომ ფა მიღებულია ფო-საგან და, რაც მთავარია, ქართ. : მეგრ. ა : ო შესატყვისობაში უნდა ვაჩვენოთ ო >ამიმართულება

ენათმეცნიერი – მეგრულში მცენარის აღმნიშვნელად დაფიქსირებულია მხოლოდ ფა. ეს უკანასკნელი, აგრეთვე ფოთოლსაც ნიშნავს: დანიელ ფიფიას თავის ფილოსოფიურ შედევრში **«როკი»** აქვს ასეთი სიტყვები «ფა დო კ2 ოშხ2დ», რაც ნიშნავს — ფოთოლი და რკო ესხა. ასე რომ, მცენარის თუ ფოთლის აღმნიშვნელი ფო ფორმა ენათმეცნირებაში არაა ცნობილი.

ისტორიკოსი – ი. ყიფშიძე წერდა, რომ ქართები და მეგრელები ერთმანეთს იმით აჯავრებენ, რომ პირველნი მეგრულს დამახინჯებულ ქართულად მიიჩნევენ, მეორენი კი, პირიქით ქართულს მიიჩნევენ დამახინჯებულ მეგრულად-ო. ამ მოვლენას საფუძველი გაჩნია, არა მარტო იმიტომ, რომ ეს ენები მონათესავენი არიან, არამედ იმიტომაც, რომ უხშირესია დიფუზიისა და ურთიერთ სესხების შემთხვევები. მეგრულში, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, ვრცელდება ქართული სიტყვები. ქართულში კი უფრო ძველი მეგრული წარმომავლობის სიტყვებია, რასაც ავტორისეული საანალიზო მასალა, ურყევად ადასტურებს. მაგ. აბა ვინ იფიქრებს, რომ ოცნება შეცვლილი — მეგრ. ოჩე **«დიდი»** + ნება **«სურვილი»**-ა: ოჩე-ნება > ოცნება. ან რომ ქართ. შვილი, მშობელი, საიშობლო და ა. შ. შ-ობა-სთან დაკავშირებული სიტვები მეგრული წარმომავლობის არიან, რადგან თავად შ-ობა მეგრულია და უდრის შ **„წყალი„** + ობა მნიშვნელობით წყლის ღვრა, რითაც მშობიარობა უნებლიედ და ყველასთვის დასანახად იწყება. ამ წყალთან დაკავშირებული მოაზრებების გამო მეგრელებს თვით ახალშობილიც წყლად მიაჩნდათ მამაკაცები ახალშობილს არ დახედავდნენ – **„რას დავხედო ჯერ წყალიაო„...**

მეგრ. ფუ-რცელი ფუ-რჩელი-დანაა. რჩელი ფენილია მეგრულად. ფუ კი ფო და ფა-ს ფარდია. ფო-თოლ-იც მეგრ. სიტყვაა, თოლ-ი მეგრულში შემადგენელ ნაწილსაც აღნიშნავს, მაგ. ჟირ თოლიშ ყუდე = ორი ნაწილისგან, ორი თვალისგან შემდგარ სახლს. ასე რომ ფო-თოლ-ი = ფო მცენარე + თოლი ნაწილი. ისე როგორც ერთიდაიგივე მნიშვნელობის ჩხომი\\ ჩხუმი «თევზი»-ს ო და უ, ასევე ფურცელი და ფოთოლი-ს ო და უ ქმნიან ფო და ფუ დიალექტურ სახესხვაობებს სიტყვებისა მნიშვნელობით – მცენარე. ფურცელი, ფოთოლი. პლიუს ამათ, ზემოთხსენებული, ფა ფორმა, ამგვარად, ფოთი, ფუთი, ფასისი უძველესი მეგრული სახელები არიან.

ე. ი. რაკი მცენარის მნიშვნლობის განმაპირობებელი ფო, ფუ და ფა ფორმები ჭეშმარიტად არსებობენ, წინაპარ სუკ-ფა **„გორაკის მცენარეს“**ცვლილებამ მოგვცა— სუკ>საკ>კას და კას-ფა//კას-პი ცვლილებები (აგრეთვე იხ. «გ. თ.» გვ. ტ. კავკასიის ეტიმოლოგია).

ამგვარად, ეთნონიმი და ჰიდრონიმი კასპიები, კასპიის ზღვა და კასპიანე საქართველოში მეხუთე საუკუნის ციხესიმაგრის სახელ კასპი-დანაა, ხოლო 26 ენაზე მეტყველი ხალხების მთიანეთში განსახლება არ ნიშნავს ქერათმიან და ნაცრისფერთვალება ალბანელთა (მემატიანე იულიუს სოლინუსი) კოლხურობის უარყოფას: დასაბამიდან ისინი მიწათმოქმედებას მდინარისა და ბარის მიდამოებში მისდევდნენ და ამიტომაც ეწოდათ ლა-ბონე-ლები ანუ ბარელები.

ბიოლოგი – მკვლევარნი (იზორია, შონია, კაკულია, ალფენიძე და სხვები) იმაზეც მიუთითებენ, რომ აფშერონი მეგრ. სიტყვა ო-ფეშერ-ონა, გახლავთ, რაც ფეშერ-ის — **„ახალაკაფულზე დაბალი და ხშირი ამონაყარის მსგავს მცენარეულობის განფენილობას”** აღნიშნავს: აფშერონის ლანდშაფტს, სწორედ, ასეთი მცენარეულობა ახასიათებს.

ენათმეცნიერი – მაგრამ კოლხეთიდან აზერბაიჯანამდე ქართლ-კახეთია. ნუთუ ესეც არ იყო ქართულენოვანი არეალი.

არქეოლოგი – არამარტოარქეოლოგიურმონაცემთასაფუძველზეუტყუარადშეიძლებაითქვას, ქართველურ ტომთა განსახლება უდიდეს ტერიტორიებს მოიცავდა. ქართები, იგივე კარდუხ-ები—(ქართუ)(კარდუ)(ქორთუ) ვანის ტბის სანახებში ცხოვრობდნენ. (ო.ლორთქიფანიძე).

ისტორიკოსი — ვანის ტბა ხომ წრის ფორმისაა: წრე კი მეგრულად გახლავთ ქართა(ვლ. ალფენიდზე). შდრ. გეოგრ. კარტა: დედამიწა ხომ წრის ფორმისაა. შესაბამისად პირველ კარტოგრაფს კარტაც წრის ფორმის (ქართა) გამოუვიდოდა. მითუმეტეს რომ ბევრი მეცნიერი კარტოგრაფიის ავტორობას კოლხებს მიაწერს). ხი (იხ. ქვემოთ) რაკი მეგრ. მიწაა, ქარ-თუ-ხი//კარდუ-ხი უდრის წრის ფორმის (ვანის ტბის) ირგვლივ არსებულ საცხოვრისს. ასე რომ კარტა, ქორთუ, კარდუხი, ქართი, საქართველო და ა. შ. მეგრ. ქართა **„წრეს„** დამსახურებაა.

ხუმუშ-ქია ა. გოლაძეს – კარდუხების, მ. ქურდიანს კი კოლხთა ქვეყნად მიაჩნიათ. სასწორი მ. ქურდიანის მხარეს უნდა გადაიხაროს, რადგან **„ვინც მეგრული ენა კარგად იცის“** იმისთვის უცხადესია: ხუმუშ-ქია ანუ ხუმუშ-ქიანა უდრის **„ხმელეთის ქვეყანას“...**

ავტორი – მესხები, კახები, ჰერები დღევანდელ საქართველოს ტერიტორაზე კოლხურად იბერიულად მეტყველებდნენ, რაზეც მიუთითებს შემდეგი:

1. განჯა ამჟამად აზერბაიჯანშია, ეს ტოპ. მეგრ. გონჯა-მა **„გაღებას-თანაა“** დაკავშირებული;

2.კილა-სური აფხაზეთში ზუსტად იგივე საფუძვლიანობითაა სახელდებული, რადგან კილა მეგრულად კლიტეა;

3. კლარ-ჯე-თი = ო+კილარ+ ჯიხა+თი=„დასაკეტი//ჩამკეტი ციხე“;

სამივე ტოპონიმში მუშაობს სახელდების ერთიდაიგივე მოტივაცია: ესაა ქვეყანაში შესასვლელ-გასასვლელის კონტროლის (ჩასაკეტ-გასაღების) ქონება. ხოლო ამგეოგრაფიული ადგილების სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობა რაკი, ერთ დროს, ამ მოტივაციას განაპირობებდა დასახელები (ტოპონიმები) კიკოლხურია, ცხადზე უცხადესია: კოლხეთი, ოდესღაც, ამ ტოპონიმებს შიგნით არსებულ ტერიტორიებს მოიცავდა. მართლაც: კახელები კოლხები რომ იყვნენ ამის სამტკიცია შემდეგი:

1. კოლხი> კოხი> კახი;

2. კახური სიმღერის სახელი — **„შენ ბიჭო ანაგურელო.“** ნა-გუ-რუ სოფელია წალენჯიხაში. გურ-ი მეგრულად გულიცაა და ცენტრიც, შესაბამისად ნა-გურუ **„ნა-ცენტრალია“**. იგივეა ო-ნა-გურ-ელი\ა-ნა-გურ-ელი;

3. გურ-ამი მეგრ. პირსახელია და = **„გულადი“**. საგურ-ამო (ტოპონიმი კახეთში), დასაშვებია, ანთროპონიმთან იყოს კავშირში. თუმცა უფრო სავარაუდოა, ზემოთქმული, ცენტრის მნიშვნელობის ქონებით გამოწვეული განპირობებულობა სახელდებისა, სიტყვისაგან გურ-ი **„გულ-ი“;**

5 ცი-ვ-გო-მ-ბორ-ი იგივე მეგრ. ცვ2-გაბარ-ია, რაც თელიან ქედს აღნიშნავს: ცვ2 **„თელა“**+ გაბარი =თელიანი„ქედი“;

6 ლა-გოდე-ხი = მეგრ. ლა-კოდმე-ხი: ლა **„ტერიტორიის განფენილობის აღმნიშვნელი პრეფიქსია“** + კოდმე,გარკვეული სახეობის ფერდობი“ + ხი **„მიწის და მასთან დაკავშირებულ ტერმინთა ხ ბგერიდან წარმოქმნილი სუფიქსი მეგრულში. (ო.ხუხუა). ჯამში ლა-გოდე-ხი = „ფერდობიანი ადგილს“;**

ხი სუფიქსი, ყოველმიზეზგარეშე, მეგრ. ო-ხორ-ის **„ოჯახი, სამოსახლოს“** ფრაგმენტია შემდეგ სიტყვებში: ტა-ო//<ტა-ო-ხი = თა-ო-ხორ-ი = „სამოსახლო ტერიტორია“;

დია-ო-ხი = დია-ო-ხ-(ორ)-ი =დედა(ან დიდი) სამოსახლო (შდრ. დედა სამშობლო);

კო-ხორ-ა (ტოპ. აფხაზეთში) = კ2+ხორ-ა = კ2 „მაგარი, კარგი“ + „სამოსახლო“; ეს გამჭვირვალე ეტიმოლოგიები გვაფიქრებინებს: იგივე ხორ წარმომავლობის ხომ არაა ეთნონიმთა – კოლ-ხი, მეს-ხი, კარდუ-ხი, უბი-ხის და ა.შ. ხი?)...

ჟინ-ვალ-ი = მეგრ. ჟინ„ზედა“+ვალი//ველი = „ზედა ველი“ და ა.შ.

არქეოლოგი – ნებისმიერი მიხვდება: შა სუფიქსი კნინობითობის აღმნიშვნელია (შდრ. დათუ-ჩა<დათუ-შა//მეგრ. თუნთ-უ-შა **„დათუჩა“**) ამიტომ ვილუშა = პატარა ველი.

ავტორი – ტროას შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი შევჩერდებით ხ ბგერის ალომორფ კოლხ. ოჯახი, სამოსახლო, სახლ-კარის აღმნიშვნელ ხორ ძირიდან წარმოქმნილ ტოპონიმებზე, რომლებიც უკვე საბოლოოდ და, ერთმნიშვნელოვნად, დააზუსტებენ კახთა კოლხურობას.

ესენია:

ხორ-ძენ-ე (შუა საუკუნეებში ტაო და კოლა)=ხორ+რზენ-ე = „სწორი ადგილის, ვაკის ან ჭალის მოსახლე“;

ხორ-ი+თი = ზედმიწ. მეგრ. **„საცხოვრისი“;**

ხარაგაული = ხარა//ხორა+გა„ქედი“+ული = „საცხოვრისი ქედი“;

ამათ გარდა მნიშვნელოვანია შემდეგი ტოპონიმები:

ხორ-ოს მთა (მესხეთი); ხორ-ში (სენაკი); ხორ-ე-თი (ლანჩხუთი); ხორ-ე-ნია (ახალქალაქი); ხორ-ა-ში (მთა ლეჩხუმში); ხორ-ი-სარ-ი (ხევის კავკასიონი); ხორ-ანთა (კახეთი); ხორ-ნა-ბუჯი (ქარელი) და ა.შ.

ეს ტოპონიმები უძველესნი არიან, რაზეც ანტიკური ხორ-ძენ-ე, ხორ-ან-თა და ხორ-ნა-ბუჯ-ი მეტყველებენ. ამ უკანასკნელის ეტიმოლოგია ასეთია: მეგრულში არის სიტყვა – ნა-ხორ-ნა//ნა-ხორ-ინ-ა **„ნა-სახლ-არ-ი“,** რომლის ნა მოცილებული ფრაგმენტია ხორ-ნა, ხოლო ბუჯი>//ბურჯი **„ქვითკირის მაგარი შენობაა“.** მ.ე. ხორ-ნა-ბუჯი, რომელიც წყაროებში რაკი V საუკუნიდან გვხდება, ჯერ კიდევ 1500 წლის წინ „ნასახლარ ციხე სიმაგრეს აღნიშნავდა და, აქედან გამომდინარე, არქეოპოლისი (ნოქალაქევის) მსგავსად, დამტკიცებულად, უხსოვარ ეპოქებს განეკუთვნება.

ედემი იზორია

(წერილის დასასრული)

სიკვდილმისჯილი მატა ჰარი

პირველი მსოფლიო ომის დროს მატა ჰარი (ნამდვილი სახელია **მარგარიტა გერტრუდა ცელე**) გერმანიის დაზვერვის თანამშრომელი გახდა. საფრანგეთის კონტრდაზვერვამ თავისი აგენტის ჰანა ვიტიგის დახმარებით შესძლო მატა ჰარის საქმიანობის გამოაშკარავება და 1917 წლის 13 იანვარს (სხვა მონაცემებით 14 თებერვალს) დააპატიმრა.

“1917 წლის 24 ივნისს მატა ჰარი სრულიად მშვიდად დაჯდა ბრალდებულთა სკამზე პარიზის მესამე სამხედრო სასამართლოში. მას თორმეტი ოფიცერი ასამართლებდა... რა თქმა უნდა, პროცესი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. თავდაპირველად მატა ჰარის სჯეროდა, რომ მართალია საქმე სერიოზული იყო, მაგრამ რაიმენაირად მოახერხებდა თავის გადარჩენას. მაგრამ პროცესის მიმდინარეობასთან ერთად, როდესაც უკვე ის თანხებიც კი გამჟღავნდა, რომელსაც იგი გერმანიის დაზვერვისგან იღებდა, იგი სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ თავის გადარჩენის იმედი არ უნდა ჰქონოდა. მისი მდგომარეობა ყოველ საათს მძიმდებოდა. იგი თავს იმით იმართლებდა, რომ იმ თანხებს იგი გერმანული დაზვერვისგან ჯაშუშური საქმიანობისთვის სულაც არ იღებდა.

– არა! – წამოიყვირა მან, – ამისთვის არა! მათ ჩემი სიყვარულისთვის ვიღებდი...

როდესაც სასამართლომ სრულიად ჭეშმარიტი დამამტკიცებელი საბუთები წარმოადგინა, მან თავისი ბოლო კოზირი გადმოაგდო და განაცხადა:

– დიახ, ბატონო მოსამართლენო, ვაღიარებ, ზოგჯერ ჯაშუშობითაც ვიყავი დაკავებული. და თქვენთვის ეს შემთხვევა, როდესაც მე ასეთ სამარცხვინო საქმეზე წავედი, კარგად უნდა იყოს ცნობილი. გაიხსენეთ შემთხვევა, როდესაც მე თქვენ ორი გერმანული წყალქვეშა ნავის თაობაზე მოგაწოდეთ ინფორმაცია.

ამ სიტყვებზე მისი ადვოკატი გაოგნებული წამოხტა, მან არაფერი იცოდა ამ ისტორიის შესახებ, მაგრამ სასამართლოს თავმჯდომარემ მოხერხებულად მოიგერია განსასჯელის გამოხტომა და აღშფოთებულმა ესროლა:

– ეს სიმართლეა. ეს თქვენ მართლაც გააკეთეთ, მაგრამ ეს სწორედ თქვენ საწინააღმდეგოდ მოწმობს. თქვენ ახლახანს ამტკიცებდით, რომ არასოდეს გისაუბრიათ სამხედრო საკითხებზე არც გერმანელ ჯაშუშებთან, არც გერმანიის არმიის მაღალ ჩინოსნებთან. ნება მიბოძეთ გკითხოთ, მაშინ რა გზით შეიტყვეთ გერმანული წყალქვეშა ნავების ადგილმდებარეობა?

ამ კითხვაზე კუთხეში მიმწყვდეულმა, უბედურმა ქალმა ვერაფერი უპასუხა.

პროცესის ბოლოს მისმა რწმუნებულმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ყველა ბრალდება წაყენებული მისი დასაცავი პირის მიმართ, მხოლოდ აგენტურის მოხსენებებს ეყრდნობა, ხოლო თავად აგენტები სასამართლოს არ დასწრებიან. ყველაზე დიდი, რასაც ბრალდებამ მიაღწია, რამდენიმე პოლიციური ოქმის წარმოდგენა იყო, რომელთა სამართლიანობის შემოწმება სასამართლოზე შეუძლებელი იყო. ადვოკატმა ღია სასამართლო პროცესი მოითხოვა. პროკურორის საპასუხო სიტყვა საკმაოდ მოკლე იყო. იგი სიკვდილით დასჯას მოითხოვდა. სასამართლო განხილვის მეორე დღეს მოსამართლეები სათათბიროდ გავიდნენ, რომელიც დიდხანს არ გაგრძელებულა. როდესაც ისინი სხდომათა დარბაზში დაბრუნდნენ, თავმჯდომარემ ფეხზე წამოდგომა შესთავაზა იქ მყოფთ და სასამართლოს მდივანმა გამოტანილი განაჩენის შემდეგი სტრიქონები წაიკითხა:

– რესპუბლიკისა და ფრანგი ხალხის სახელით სამხედრო სასამართლო, ჰოლანდიის ქვეშევრდომს, რომელიც საკუთარ თავს მატა ჰარიდ მოიხსენიებს, ცნობს დამნაშავედ საფრანგეთის წინააღმდეგ ჯაშუშობაში და ადგენს მისი სიკვდილით დასჯას.

სამარისებურ სიჩუმეში უბედური განსასჯელის ისტერიული კივილი გაისმა:

– მაგრამ ეს შეუძლებელია! ეს შეუძლებელია!

წამის შემდეგ მან დიდი ძალისხმევის ფასად საკუთარი თავი ხელში აიყვანა და მტკიცე ნაბიჯებით გაემართა გასასვლელისკენ. ბადრაგმა იგი უკან ციხეში დააბრუნა. მეორე დღეს დამცველმა აპელაცია შეიტანა, მაგრამ არც კი განუხილავთ. მაშინ მან შეწყალების თხოვნა წარადგინა პრეზიდენტის სახელზე დაწერილი და ისევ უარი მიიღო. დამცველის კვალად შეწყალების თხოვნით პრეზიდენტს მთელმა რიგმა ფრანგმა და ნეიტრალურმა მაღალი თანამდებობის პირებმა მიმართეს, მაგრამ კვლავ წარუმატებლად. პუანკარე შეურყეველი იყო. სასიკვდილო განაჩენი ძალაში დარჩა.

სამი თვის მანძილზე ციხეში ყოფნის დროს მატა ჰარიმ ძლიერი სულისკვეთება და უზარმაზარი თავშეკავებულობა გამოავლინა, რითიც ყველას მხრიდან, ვისაც მასთან იმ დღეებში ჰქონია შეხება ღრმა პატივისცემა დაიმსახურა.

1917 წლის 15 ოქტომბრის დილით იგი მშვიდად და ამაყად ჩაჯდა ავტომობილში, რომელმაც იგი დასახვრეტად გამოყოფილ ადგილამდე მიიყვანა. იგი მაშინვე დადგა ბოძთან, სადაც განაჩენი უნდა აღსრულებულიყო. მისი მიმართულებით ჯარისკაცების მიერ გასროლილი ყველა ტყვიიდან, მას მხოლოდ ერთადერთი ტყვია მოხვდა, რომელმაც მაშინვე მოუსწრაფა სიცოცხლე. ტყვია პირდაპირ გულში მოხვდა. აქედან გამომდინარე, მთელ ათეულში, რომელსაც მატა ჰარის დახვრეტა ჰქონდა დავალებული, მხოლოდ ერთი ჯარისკაცი მოიძებნა ისეთი, რომელმაც მათ თოფი ზუსტად დაუმიზნა. დანარჩენებმა აცილება გადაწყვიტეს, ხოლო ერთი ახალგაზრდა ჯარისკაცი უგონოდ დაეცა და მისი მოსულიერება ექიმ ბიზარს მოუხდა, რომელიც სასჯელის აღსრულებას დასჯილის სიკვდილის დასადასტურებლად ესწრებოდა.

ამ ისტორიას უნდა დავამატოთ, რომ გერმანელი ჰანა ვიტიგი, რომლის წყალობითაც ფრანგებმა მატა ჰარის მხილება მოახერხეს, ომის დასრულების შემდეგ ცოლად გაჰყვა გრაფ დე შიინს და კინოს ცნობილი მსახიობი გახდა კლოდ ფრანსის სახელით. თუმცა მას მუდმივად აწუხებდა სინდისის ქენჯნა მატა ჰარის სიკვდილის გამო და ბოლოს ვეღარ გაუძლო. 1928 წელს ჰანა ვიტიგმა თავი მოიკლა.

რა იცი საქართველოს დედაქალაქზე

რას ნიშნავს ნავთლუღი, დიდუბე, ნაძალადევი, სამგორი – თბილისის უბნების სახელების ისტორია

თბილისის ტერიტორიის უბნებად და დასახლებებად დაყოფა საუკუნეების წინ, თანდათან დაიწყო. თითოეულ დასახლებას თავისი სახელწოდება და საინტერესო ისტორია თუ ლეგენდა აქვს.

ახლა მხოლოდ რამდენიმე მათგანის შესახებ გვინდა მოგითხროთ და ესენია: ნავთლუღი, დიდუბე, ნაძალადევი, სამგორი, ანუ როგორ დაერქვათ სახელები და როდიდან ფიქსირდება თითოეული ისტორიულ წყაროებში.

ნავთლუღი

ნავთლუღი – თბილისის ძველი უბანია, რომელიც მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ისანი-სამგორის რაიონშია გაშენებული. სახელწოდება თურქულია და ნავთის ადგილს, სანავთეს ნიშნავს (ნავთობის სიმცირის გამო სარეწაო მნიშვნელობა არ ჰქონდა). XVIII საუკუნის 60-იან წლებში მეფე ერეკლე II-მ იქ ციხეგალავანი ააგო და გაპარტახებული ნავთლუღი ხელმეორედ დასახლდა. 1770 წლიდან ნავთლუღს ერეკლეს ციხესაც უწოდებდნენ. ამ ტერიტორიაზე გადიოდა აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზა (ე.წ. კახეთის გზა). ნავთლუღში შემორჩენილია წმინდა ბარბარეს სახელობის 2 ეკლესია; ერთი შუა საუკუნეებისა (ახლანდელი სახე XIX საუკუნეში მიიღო), მეორე — XIX საუკუნის II ნახევრის.

დიდუბე

დიდუბე – თბილისის ერთ-ერთი უბანი და ქალაქის ტერიტორიული ნაწილი. ის 1870-იანი წლებიდან არის. მდებარეობს მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე. მოიცავს წერეთლის გამზირს და მის მიმდებარე ქუჩებს.

დიდუბე წარმოდგა სახელწოდებიდან **“დიდი დუბე”** ე.ი. დიდი ვაკე. ქალაქის ამ მიდამოების უძველესი სახელწოდებაა **“ცხენის ტერფი”** (დაახლ. V საუკუნიდან).

თბილისის განაპირა ადგილის სახელად დიდუბე პირველად XII საუკუნეში გვხვდება, როცა მემატიანე მეფე თამარისა და დავით სოსლანის ქორწინებისა და შამქორის ბრძოლის (1195 წელი) შემდეგ იქ გამართულ სახალხო ზეიმს აღგვიწერს. დიდუბეში იდგა მეფის ერთ-ერთი სასახლე და კარის ეკლესია. იქ არაგვიდან გამოყვანილი იყო რუ, რომელიც წყალს მეფის ზვრებს აწვდიდა. შემდგომ საუკუნეებში დიდუბე გაუკაცრიელდა.

XVII საუკუნეში, ვახტანგ V-ის მეფობის დროს, დიდუბეში ისევ გაჩნდა მოსახლეობა. ამავე პერიოდში ავჭალიდან რუ გამოიყვანეს. XVII-XVIII საუკუნეებში იგი ქალაქისპირა სოფელი იყო და თბილისს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აწვდიდა... XIX საუკუნის დასაწყისში შედგენილი თბილისის გეგმის მიხედვით, დიდუბეში ორი სარწყავი არხი ყოფილა – ავჭალიდან გამოყვანილი რუ და მტკვრიდან გამოყვანილი ე.წ. **“ბაღის არხი”**. 1818 წელს დიდუბის ჩრდილოეთ ნაწილში დაასახლეს გერმანელი კოლონისტები. იმ პერიოდიდან დიდუბის ამ ნაწილს ალექსანდერდორფი ეწოდა.

ნაძალადევი

ნაძალადევი – ქალაქის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში გაშენებული ძველი უბანია, რომელიც საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო. თბილისსა და ფოთს შორის რკინიგზის გახსნის (1872 წელი) შემდეგ დიდუბის ტერიტორიაზე ორ ნაწილად გაიყო; რკინიგზის გაღმა, აღმოსავლეთით, მუშახელი საცხოვრებლად უნებართვოდ იკავებდა მიწებს და სახლდებოდა, ახალ უბანმაც აქედან მიიღო სახელწოდება, ანუ ნაძალადევად სახელდებოდა. ნაძალადევის რკინიგზის სახელოსნოები გახდა თბილისის პროლეტარიატის საბრძოლო სკოლა. 1905 წლის დეკემბერში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის პირველი დღეებიდან, ნაძალადევში ხელისუფლება აჯანყებული პროლეტარიატის ხელში გადავიდა. მუშური ნაძალადევი მოკლე დროით **“რესპუბლიკად”** გამოცხადდა. მუშები იარაღდებოდნენ, გაფიცვა შეიარაღებულ აჯანყებაში უნდა გადაზრდილიყო. მეფის მთავრობამ რეპრესიებს მიმართა – რკინიგზაზე სამხედრო წესები გამოცხადდა. 17 დეკემბერს ჯარმა ნაძალადევს ალყა შემოარტყეს. ხელისუფლებამ ცხენოსანი ნაწილები და არტილერია გამოიყენა. მუშების თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, აჯანყება დამარცხდა. ნაძალადევში რევოლუციური საქმიანობა დაიწყო სტალინმა.

სამგორი

სამგორი – ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ლოჭინის ხევში ცალხელა მოხუცი ცხოვრობდა, რომელსაც ქალაქისთვის მტრის შემოსევის შეტყობინება ევალებოდა, – მაღალ სვეტზე ცეცხლს ანთებდა. ერთხელ მან სიკვდილისაგან იხსნა შვლის ნუკრი და თავის ქოხში წაიყვანა, სადაც თავის შვილებთან ერთად ზრდიდა. მამის გარდაცვალების შემდეგ, მისი საქმიანობა ვაჟებმა განაგრძეს. ერთ დღეს, როცა ამ ადგილებში მტერი გამოჩნდა, უფროსი ძმა სვეტზე ჩირაღდნით ავარდა, მაგრამ მტრის ისარმა გულ-მკერდი გაუგმირა და ჩამოაგდო, მეორე ძმამ სცადა ცეცხლის ატანა, მაგრამ მტრის ისარმა ისიც უსულოდ დასცა მიწაზე. მანამდე ჭაბუკმა მოასწო და ქალაქში შველი აფრინა წერილით კისერზე. ქალაქმა მტრის შემოსევა შეიტყო და ლაშქარი შეიკრიბა. შველი როცა დაბრუნდა და თავისი ძმობილები უსულოდ იხილა, თავი ქვას ახალა და თავადაც სული განუტევა. ბრძოლიდან დაბრუნებულმა ქართველებმა იპოვეს დახოცილები და სამივე ცალ-ცაკლე დაასაფლავეს. შემდეგ მეომრებმა მათ საფლავებს სათითაოდ დააყარეს თითო მუჭა მიწა. მას მერე წესად შემოიღეს, ყოველი ბრძოლის შემდეგ აქ მოდიოდნენ და საფლავებს მუჭით მიწას აყრიდნენ. ასე წამოიზარდა იმ ადგილას სამი გორა, რის გამოც იმ ადგილს სამგორი ეწოდა.

ლალი ფაცია

რატომ გადაასვენეს გალაკტიონი პირდაპირ მწერალთა სახლში?

არაერთხელ ყოფილა – გალაკტიონი და მე სტუმრად ვიყავით, ზღაპრული სუფრა გაიშალა, ბიძაჩემმა თქვა: ჩემს ნოდარს ლიმონათი მიართვით! ამას შეგნებულად აკეთებდა, რადგან აბჯართმტვირთველი არ უნდა დამთვრალიყო. რა მევალებოდა? გალაკტიონი უნდა წამეყვანა სახლში, მეორე სართულზე ამეყვანა, საძინებელში მომეთავსებინა, მომევლო და ა.შ". – ასე დაიწყო ჩვენი საუბარი. პოეტის ძმისშვილი, **ნოდარ ტაბიძე** *და მე, ბატონი ნოდარის კაბინეტში ვსხედვართ. მაგიდაზე გალაკტიონის წიგნი დევს.*

– ბატონო ნოდარ, ალბათ, დღე არ გავა, გალაკტიონს რომ არ გადახედოთ?

– რა თქმა უნდა, გალაკტიონის წიგნი ყოველთვის მაგიდაზე მიდევს. ეს წიგნი უნიჭიერესი კაცის, მურმან ლებანიძის გამოცემულია. ერთხელ ვახტანგ ჯავახაძესთან მურმანი და კიდევ რამდენიმე პოეტი ვქეიფობდით. ქეიფის დასასრულ მურმანმა მითხრა, – უნდა გაგაცილოო. – მურმან, ძვირფასო აქვე ვცხოვრობ, რა გაცილება მინდა-მეთქი? – არაო, დაიჟინა. გზაში მითხრა: ბოლო ხანს გალაკტიონი ძალიან ხშირად მესიზმრება და მსაყვედურობს, რატომ მიმატოვეთ უყურადღებოდო? არ ვიცი რა ვქნა, სანთელი მინდა ავუნთოო. ჭყვიშში ჩამოსვლა შევთავაზე, ძალიან გაუხარდა. მართლაც, ბატონმა მურმანმა ქუთაისში ცხვარი იყიდა და სათანადოდ **"შემკული"** ჩამოვიდა. ოთხი დღის მანძილზე ჩემი ბებია-ბაბუის საფლავზე გავდიოდით და ხან ის თამადობდა, ხან – მე. მურმანს გალაკტიონი უზომოდ უყვარდა.

– თქვენ არ გესიზმრებათ ხოლმე?

– იშვიათად. ზოგჯერ, მავანთა მიერ, სიზმრის აღწერა მოჩვენებითია, ამიტომ ამაზე ხაზგასმა არ მიყვარს.

– მარჯანიშვილის ქუჩაზე როცა ცხოვრობდით, ის პერიოდი გაიხსენეთ.

– გალაკტიონთან არავინ მოდიოდა, ჩაკეტილად ცხოვრობდა, მეგობარი არ ჰყოლია. ერთადერთხელ არჩილ სულაკაური მეგობართან ერთად მოვიდა, ალმანახი **"პირველი სხივი"** მოუტანეს. კალე ბობოხიძე გვერდით სახლში ცხოვრობდა. მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როცა ის დაპატიჟა და პატარა სუფრა შუაბანდში გაუშალა. ეს იყო და ეს. გალაკტიონი სულ პაპიროსს ეწეოდა. კაბინეტი მუდამ დაულაგებელი ჰქონდა. ერთხელ ვკითხე: – საქართველოში ვინ არის თქვენ შემდეგ დიდებული პოეტი? ისეთი პიროვნება დაასახელა, რომ ჩემი სახე ღიმილმა დაფარა. მიხვდა თავადაც, რომ არაზუსტი პასუხი გამცა და დაამატა: – არაჩვეულებრივად პატიოსანი კაცია, ნადი კომუნისტიო. პოეტ გიორგი ქუჩიშვილს ახლობლად თვლიდა. ეს იმითაც აიხსნება, რომ ორივეს ერთნაირი გატაცებები ჰქონდათ. ისინი ერთმანეთს არა მარტო პოეზიის, არამედ მშფოთვარე ბოჰემური ცხოვრებითაც უახლოვდებოდნენ. ორივე ერთ სახლში ცხოვრობდა. ჩვენ მეორეზე სართულზე, ქუჩიშვილი – მეოთხეზე, ამიტომ ყოველთვის ერთად იყვნენ. გალაკტიონს არასოდეს მის პოეზიაზე სიტყვა არ დაუძრავს, მაგრამ უბრწყინვალეს მოქალაქედ და თუ გნებავთ, კარგ **"ლოთად"** თვლიდა. ჩვენს ქუჩაზე ტრამვაი დადიოდა. ვერიდან ჩამოუხვევდა, მარჯანიშვილის ქუჩაზე გამოუხვევდა და მერე პლეხანოვზე მიდიოდა. 1937 წელი იყო, გალაკტიონი ტრამვაიდან ჩამოდიოდა. თავის სახლს გახედა, სადარბაზოსთან სამი კაცი იდგა. მიხვდა, დაჭერას უპირებდნენ და მორჩა, გალაკტიონი გაქრა. კიბის საფეხურთან შეჩერდა და აყვირდა: – ხალხო, უშველეთ საქართველოს სახალხო პოეტს, მოსაკლავად მოსდევენ! იმწამსვე ვიღაც ახალგაზრდები მასთან გაჩნდნენ და ის სამი კაცი უცებ გაუჩინარდა. მისი მონაყოლია.

– გალაკტიონის ფოტოებზე ვისაუბროთ, მასთან ერთად გადაღებულ სურათებზე.

– აბა წავიდეთ, გავისეირნოთო, იტყოდა და მივდიოდით. მისი უკანასკნელი ფოტოს ისტორია ასეთია: გავისეირნეთ და ვორონცოვის მოედანს მივუახლოვდით. მოდი, ერთი სურათი გადავიღოთო. იქვე, ფოტოატელიეში შევედით. ხელი გადამხვია და სურათი გადავიღეთ. გარეთ გამოვედით – ახლა, შენ შენი გზით წადი და მე ჩემი გზით წავალო, მითხრა. გავოცდი, ი შვიათად ხდებოდა ასე, რადგან მუდამ თან უნდა ვხლებოდი. ეს ფოტო გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე გადავიღეთ და მისი დაკრძალვის შემდეგ გამოვიტანე. ცოტა ადრინდელი ფოტოა სამაიას ბაღში, შადრევანთან გადაღებული. კარგ ხასიათზე იყო, ხარხარებდა. თბილისში არცერთი დიდი ფოტოგრაფი არ დარჩენილა, ვის ატელიეშიც სურათი არ გადაუღია და ყოველთვის დასძენდა ხოლმე: – ძამიკო, ეს ფოტო გამოაკარი! ისინიც თხოვნას უსრულებდნენ. სურათებს ძირითადად მარტო იღებდა.

– სითბოს როგორ გამოხატავდა, იცოდა მოფერება?

– მოფერება არ იყო მისთვის ნიშანდობლივი, ვერ გადაგეხვეოდა. ერთი რამ იცოდა, თუ რამე აწუხებდა ან რამის თქმა უნდოდა, პირველ რიგში, ჩემთან მოდიოდა. ჩემი პატარა ოთახის კარს შემოაღებდა და სასთუმალთან ჩამომიჯდებოდა. ერთხელ მომიყვა: გაიგე, მწერალთა კავშირში რა მომხდარა? თურმე, ღამის ათ საათზე შუქი ჩაქრა და მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს თელასში დაურეკავს. – რა ხდება? აქ, მწერლები ვმუშაობთ, თქვენ კი შუქს გვირთავთ. ეს რას ჰგავსო? იქიდან უპასუხეს – რუსთაველის დროს ელექტროენერგია არ იყო, მაგრამ **"ვეფხისტყაოსანი"** დაწერაო. გალაკტიონი ხარხარებდა, პასუხი ძალიან მოეწონა. ამ ამბავს ხშირად იმეორებდა.

– თქვენ გადაგიშლიათ მისთვის გული?

– მასთან გულის გადაშლა როგორ შეიძლებოდა? გალაკტიონს უნდა მოფერებოდი, მიჰყოლოდი, მისთვის ყველაფერი უნდა გაგეკეთებინა და თან, მუდამ უნდა გეგრძნო, რომ შენ მეფის წინაშე ვალდებული ხარ. ეს თავიდანვე გაცნობიერებული მქონდა და ჩვენი ურთიერთობაც ამ კუთხით ვითარდებოდა.

– როდის რთულდებოდა ურთიერთობა?

– როცა ლოთობის ხანა იწყებოდა, გამუდმებული სმა დილიდან საღამომდე ამაზრზენ სახეს იღებდა. ვეხვეწებოდი, – ბიძაჩემო, **"ლეჩკომბინატში"** წავიდეთ-მეთქი, მაგრამ არ მომყვებოდა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ძლივს დავაწვინეთ. მაშინ უნდოდა გალაკტიონს ყურადღება, ლოთობის ზარხოშიდან გამოსვლა ურთულესია – ადამიანმა შეიძლება სისულელე ჩაიდინოს. ჩემი ვარიანტი ასეთია: გალაკტიონს თავი არ მოუკლავს. დაუკვირდით, ფანჯარასთან სკამი დგას, ზედ დაკეცილი ხალათია გადადებული. ის ფანჯრიდან იყურებოდა, ეგონა, რომ ქვემოთ ზღვა ლივლივებდა და გადაეშვა. ნახევარი საათის შემდეგ დამირეკეს, – გალაკტიონი დაიღუპაო. გავიქეცი, დირექტორის კაბინეტში შევედი. იქ უნივერსიტეტის პრორექტორი, სერგო ჯორბენაძე იჯდა. დამაეჭვა მისმა იქ ყოფნამ. მითხრა – ისე შემოვიარეო. სინამდვილეში, ფაქტის იურიდიულად გასაფორმებლად გამოიძახეს. ბიძაჩემი მხოლოდ რაღაც დროის შემდეგ მაჩვენეს. რატომ? გასაგებია. როცა ის დაეცა, გამოფხიზლდა და ტანჯვა სახეზე აესახა. გარკვეული პროცედურების შემდეგ ის ანგელოზივით იწვა. გალაკტიონი სახლში არ წავასვენე. ვერავის ავუხსნიდი, რომ სახლი ანგრეულ-დანგრეული და მოსაწესრიგებელი იყო, ამიტომ პირდაპირ მწერალთა სახლში გადავასვენეთ, შემდეგ დიდებულ სავანეს – მთაწმინდას მიაბარეს.

– მისი ცხოვრების ყველა წვრილმანი იცით. რამე ისეთი დეტალი არის, რაც გაოცებდათ?

– ერთი ფაქტი როცა აღმოვაჩინე, შევშფოთდი: გალაკტიონი 12 წლის იყო და დეიდასთან დასასვენებლად წავიდა. გალაკტიონის დედა დას სწერდა – **"ყურადღებით იყავი, ლოთობა დაიწყო"**. ძალზე საგულისხმო ფაქტია. 12 წლისა ალკოჰოლისადმი გარკვეულ მიდრეკილებას ამჟღავნებდა. ე.ი. თავიდანვე, ღვინო და არაყი მისთვის ერთგვარი შვება, მოთხოვნა და სხვა სამყაროში გადასვლა იყო. სხვათა შორის, წყენის დამახსოვრება იცოდა. 20-იან წლებში რაჟდენ კალაძემ (კარლო კალაძის მამა) გალაკტიონის წინააღმდეგ მძაფრი კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა. ერთხელ მწერალთა კავშირიდან გამოვედით. კალაძე მაჩაბლის ქუჩაზე ცხოვრობდა. უცებ გალაკტიონმა კარლო შენიშნა, რომელმაც გვერდის ავლა სცადა. გალაკტიონმა უთხრა: ძამიკო კალე, საით მიდიხარ, მოდი აქ! რაღას იზამდა? მოვიდა. გალაკტიონმა ქამარში ხელი ჩაავლო: – ნოდარ, იცი ვინ არის ამისი მამა? – მომიბრუნდა მე. – როგორ არა, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რაჟდენ კალაძე, – ვუპასუხე. – ეს ჩვენი რაჟდენი შუა ზაფხულში ვირზე შეჯდებოდა, ქოლგას დაიხურავდა და ვირს მიაჩაქჩაქებდაო, – გალაკტიონმა გადაიხარხარა, ამგვარად დასცინა წარსულის გამო. კარლომ ძლივს გაითავისუფლა თავი და გაიქცა. მისი უცნაურობის ბევრი დეტალი მახსოვს.

– გალაკტიონის წიგნების ყველა გამოცემა გაქვთ, რომელია თქვენთვის განსაკუთრებული?

– 1919 წელს **"არტისტული ყვავილები"** გამოვიდა. ეს იყო მოვლენა ქართულ პოეზიაში, ამ წიგნის გამო აირჩიეს პოეტთა მეფედ. ყველაზე საუკეთესო გამოცემაა 1927 წლის რჩეული **"ზარნიშიანი წიგნი"**. შემდეგ წლებში უამრავი ტომეული და კრებული გამოვიდა, მაგრამ გალაკტიონი ამ წიგნს ყველაზე მეტად აფასებდა.

– გალაკტიონის მთავარი სიყვარული ოლია ოკუჯავა, კიდევ ვინ იყო?

– გალაკტიონს ოთხი ცოლი ჰყავდა. მისი არაოფიციალური ცოლი, დიდებული ქალი ლიდია მეგრელიძე იყო, თუმცა მას ქმარიც ჰყავდა. ქალი თავის დღიურებში წერდა, როგორ უყვარდა გალაკტიონი და მას ქმარს ეძახდა. **"ის გარეწარი, ლოთი მოვკლათ"?** არის ასეთი ჩანაწერიც, ლიდიას ნათესავებს ეკუთვნით ეს ფრაზა. მათი სიყვარულის ამბავი საკმაოდ გახმაურებული იყო. ყოველთვის, როდესაც გალაკტიონობა იმართება, რასაც შემდეგ პატარა სერობა მოყვება ხოლმე, როგორც თამადა, ამგვარ სადღეგრძელოს ვამბობ: ამ ოჯახის მთავარ დიასახლისს, ოლია ოკუჯავას გაუმარჯოს! ვისაც ამ წყვილის წერილები, ერთმანეთთან მიმოწერა წაკითხული აქვს, ის გაოცდება მათი ზეციური და ამაღლებული სიყვარულით.

– არსებობს ისეთი ლექსის ხელნაწერი, რომელიც არასოდეს დაბეჭდილა?

– ძნელი სათქმელია, გალაკტიონი ყველაფერს ბეჭდავდა. მე რა ხელნაწერებიც მაქვს, ყველა გამოქვეყნებულია.

– მის ლექსებზე უამრავი სიმღერა დაწერილა...

– გალაკტიონის ლექსი თავად მუსიკაა, ამიტომ ბუნებრივია, იგი უნდა ჟღერდეს. კიდევ ბევრი საუკეთესო სიმღერა დაიწერება მის ლექსებზე.

– ჭყვიშში სახლ-მუზეუმი რა მდგომარეობაშია?

– სახელმწიფო ყურადღებას აქცევს. გალაკტიონის სახლის გვერდით საკმაოდ დიდი სახლ-მუზეუმია, დაახლოებით 15 კაცი მუშაობს. სახლის რიკულები დაძველდა და ამას წინათ გამოცვალეს. ძველი სახლი საინტერესოა ტრადიციული ქართული აივნით და ოთახით, რომელსაც ფიცრული იატაკი და ჭერი აქვს.

საქინფორმი: „ვარდების რევოლუციიდან" 11 წლის შემდეგ, სწორედ 15 ნოემბერს – სახელმწიფო გადატრიალების მიზნით „ნაცმოძრაობის" პირველი მასობრივი აქციის დღეს – საქართველოში ჯორჯ სოროსი ჩამოვა, თავისი დაკრძალვის ფულის გამოსამუშავებლად...

ოფიციალურად ცნობილი პოლიტტექნოლოგიმილიარდერი, რომელიც მთელ მსოფლიოში ხელისუფლების ცვლას ასპონსორებს, საქართველოში თავისი ფონდის ფილიალის 20-წლიან იუბილეზე ჩამოდის, რომელსაც **„დია საზოგადოება – საქართველო"** ჰქვია. ბოლოს ჯორჯ სოროსი საქართველოს კერძო ვიზიტად 2012 წლის დეკემბერში ესტუმრა, როცა ბიძინა ივანიშვილს შეხვდა, ასევე სოროსი დავოსში შეხვდა ირაკლი ღარიბაშვილს და დღეს უკვე საგარეო საქმეთა ექსმინისტრ მაია ფანჯიკიძეს, რომლის მიმართაც, როგორც ამბობენ, გულგრილი არ არის...

საქინფორმის მკითხველს შევახსენებთ, რომ სოროსის ფონდის წარმომადგენლები მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობენ. 20 წლის წინ – 1994 წელს – სოროსმა საქართველოში თავისი ფონდის ფილიალი გახსნა, მაშინ ქართველებმა და არაქართველებმა პირველად გაიგეს მუქთა ფულის შესახებ, რომელსაც გრანტი ეწოდება; არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც ენ-ჯე-ო-ები ეწოდება, და ტრენინგების შესახებ, სადაც პროექტების წერას ასწავლიან... 10 წლის განმავლობაში – 1994-დან 2004 წლამდე სოროსმა საქართველოში საზოგადოება მოამზადა გადატრიალებისთვის, სახელმწოდებით **„ვარდების რევოლუცია"**, რომლის შედეგადაც ხელისუფლებაში მოვიდა მისი ხალხი, სააკაშვილით სათავეში, და სოროსმა სამეულთან ერთად, **„რევოლუციაში"** ჩადებული ხარჯები ამოიღო...

გადიოდა წლები, ჩამოწვა მწუხრი, სააკაშვილი გაქცეული სისხლის სამართლის დამნაშავე და ბომჟია... ამიტომ კიდევ 11 წლის შემდეგ – 2014 წელს – მოუსვენარმა ფილანტროპმა გადაწყვიტა საქართველოში კიდევ ერთი რევოლუციის მოწყობა, **„მაიდანის"** მსგავსად, და მასზე თავისი დასასაფლავებელი ფულის გამომუშავება...

რუსეთის ჯავახკის დიასპორის მიმართვა

ძვირფასო თანამემამულეებო!

საქართველო საფრთხეშია! ჩვენ საჯაროდ და არაერთხელ ვაფრთხილებდით საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დაშლის საფრთხის შესახებ. და აი უკვე სახეზეა ამის ზოგიერთი ღია გამოვლინება. ყველასათვის ნათელია, რომ ჩვენი საყვარელი საქართველოს მტრების მიერ შემუშავებულია ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის ინიცირებისა და ხელისუფლების შეცვლის თაობაზე მოქმედებების გეგმა. საქართველოში ახალი რევოლუცია მწიფდება, ან გულახდილად რომ ვთქვათ – სახელმწიფო გადატრიალება, რაც აპრიორი ქვეყანას მის საბოლოო გაქრობამდე მიიყვანს.

ამასთან დაკავშირებით, მოგიწოდებთ:

1. ყველა საშუალებითა და ხერხით მხარი დავუჭიროთ საქართველოს მთავრობას, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილით სათავეში;

2. არ ავყვეთ პროვოკაციულ მოწოდებებს და უარი ვთქვათ გამყიდველი ადგილობრივი ანდა უცხოური დესტრუქციული ძალების მიერ ინსინუირებული ნებისმიერი სახის მასობრივ შეკრებებსა და საპროტესტო აქციებში მონაწილეობაზე;

3. საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების შემთხვევაში, გამოცხადდეს სამცხე-ჯავახეთის მხარის ტერიტორია რომელიმე სახელმწიფოს გარეთ არსებულ სუვერენულ ტერიტორიად;

– შეიქმნას მხარის დროებითი აღმასრულებელი ხელისუფლება ახალი ლეგიტიმური ხელისუფლების ორგანოების ფორმირებამდე;

– უარი ვთქვათ დასავლეთის მიერ თავსმოხვეულ და იძულებით ე. წ. კოაბიტაციაზე და გავაუქმოთ მხარის ყველა პოლიტიკური პარტია;

4. სასწრაფოდ ჩატარდეს ლუსტრაცია და მკაცრ პასუხისგებაში მიეცეს ყველა პირი, რომელიც ქვეყნის რღვევაში მონაწილეობს.

რუსეთის ჯავახკის დიასპორა
რუსეთის ფედერაცია, 2014 წლის 7 ნოემბერი
საქინფორმი

“ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲐ”

“მთელი ის პერიოდი, რაც მიხეილ საკაშვილი აღარ არის პრეზიდენტი, მან უამრავი დრო და ენერგია დახარჯა იმისათვის, რომ დასავლეთის თვალში ერთადერთი და შეუცვლელი პროდასავლელი ქართველი ლიდერი პოლიტიკოსის იმიჯი გაეძლიერებინა”

“ადამიანებს დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ ხვალინდელ ქათამს, თუნდაც ეს ქათამი ევროპულად იყოს შემწვარი ძნელია კაცს, რომელსაც შინ ნორმალურ სადილს დანატრებული შვილები ელოდებიან, დასავლური სისტემური მოწყობის ისტორიულ უპირატესობაზე ესაუბრო”

როგორ განვითარდება მოვლენები მას შემდეგ, რაც ირაკლი ალასანია და მისი პოლიტიკური გუნდი უმრავლესობიდან ოპოზიციაში გადავიდა, რა შეიცვლება ქართულ პოლიტიკურ რეალობაში და ვის გაუწევენ კონკურენციას თავისუფალი დემოკრატები, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა პოლიტიკის და სამართლის ცენტრის თავმჯდომარეს **ამირან გიგუაშვილს** ვთხოვეთ.

— ბატონო ამირან, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ირაკლი ალასანია თავდაცვის მინისტრად რჩებოდა, ამბობდით, რომ მმართველ კოალიციაში პოლიტიკური გადარჩევის პროცესი დაიწყო, რომელიც ნაციონალური მოძრაობის, როგორც ძირითადი პროდასავლური ოპოზიციური ძალის ჩანაცვლებას გამოიწვევდა და ამ როლს თავისუფალი დემოკრატები შეასრულებდნენ. დღევანდელი გადასახედიდან საინტერესოა, რამდენად მოახერხებენ თავისუფალი დემოკრატები წამყვანი პროდასავლური ოპოზიციური ნიშის დაკავებას. ეყოფათ თუ არა მათ გამოცდილება და ელექტორატის მხარდაჭერა ასეთი ამბიციური მიზნების მისაღწევად?

— მე არასოდეს მითქვამს, რომ ივანიშვილი, დარიბაშვილი და ალასანია დასხდნენ და ეს პროცესი წინასწარ დაგეგმეს, მაგრამ ამავე დროს მოვლენათა ბუნებრივი განვითარება ამგვარი შედეგი წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობას იძლეოდა. მმართველი კოალიციის, როგორც ერთიანი ორგანიზმის შექმნის და გამაერთიანებელი ფაქტორი ნაციონალური მოძრაობის დამარცხება იყო და მას შემდეგ რაც განვლილ სხვადასხვა დონის არჩევნებზე მათ ამ ამოცანას მეტ-ნაკლები წარმატებით გაართვეს თავი, ბუნებრივად დაიწყო კოალიციის დაშლის პროცესი. ვფიქრობ თავისუფალი დემოკრატები უკანასკნელნი არ იქნებიან, ვინც კოალიციას დატოვებს და ამ კატაკლიზმებით აღსავსე პროცესის მოწმენი კიდევ დიდხანს ვიქნებით, მინიმუმ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე. რაც შეეხება თავისუფალი დემოკრატების შანსებს. ეს მთლიანად მათზეა დამოკიდებული. ირაკლი ალასანიას, ისევე როგორც გასულ წლებში ამჟამადაც შესანიშნავი სასტარტო პირობები აქვს და კიდევ უფრო უკეთესი ექნებოდა, თავად რომ არ შეესუსტებინა ის მუხტი, რომელიც თანამდებობიდან მოხსნისას ასწია. მან თავიდან ეს პროცესები ქვეყნის ევროპულ არჩევანთან ბრძოლას დაუკავშირა, ხოლო შემდეგ ყოველივე მხოლოდ პროკრატურის მიერ მისი გუნდის წინააღმდეგ დაკავშირებულ გამოძიებამდე დაიყვანა, რაც ვფიქრობ მინიმუმ დამაბნეველია მისივე პოტენციური ელექტორატისათვის. მეორეს მხრივ, შესაძლოა ასე უკეთესი იყოს კიდეც, რათა მიეცეს საშუალება ნაკლები პოლიტიკური წნეხის ქვეშ მოახერხოს გადაჯგუფება და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. რაც შეეხება თავისუფალი დემოკრატების მზაობას და გამოცდილებას. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მათში დიპლომატია სჭარბობს პოლიტიკოსობას, ვფიქრობ ისინი კიდევ დიდხანს ითამაშებენ წამყვან პოზიციებზე. თუმცა უახლოეს მომავალში შანსები ცალკე აღებულ არც ერთ პროდასავლურ ძალას არ ექნება და მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მათ აუცილებლად მოუწევთ გაერთიანება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი განწირულნი არიან დიდი მარცხისათვის.

— რა გაძლევთ ასეთი პესიმისტური პროგნოზის გაკეთების საფუძველს. ქართული ოცნება და მასში შემავალი პარტიები აცხადებენ, რომ ისინი ქვეყნის დასავლური კურსის ერთგულები რჩებიან.

— იმედი მაქვს პრემიერ მინისტრ დარიბაშვილის მკვეთრი განცხადებები მათ უცვლელ კურსზე ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით მხოლოდ დეკლარაციად არ დარჩება. ძალიან კარგია, რომ ასეთი განცხადება მაშინვე გაკეთდა, როდესაც ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა და მისი გუნდის სხვა წევრებმა ეს საკითხი წინ წამოსწიეს. ამავე კონტექსტში დროულია პრეზიდენტ მარგველაშვილის მოწოდება გაიმართოს საჯარო განხილვა ქვეყნის ევრო-ატლანტიკური მიმართულებით არსებული გამოწვევების შესახებ. ამასთან მხოლოდ თუნდაც პროდასავლური მმართველი ძალის ყოფნა მომავალ პარლამენტში, სულაც არ ნიშნავს, რომ ეს საკმარისია კურსის მდგრადობისა და უცვლელობისათვის. ჩვენ პარლამენტში პოზიციაშიც და ოპოზიციაშიც პროდასავლური ძალები გვჭირდება. საზოგადოების დღევანდელი განწყობა კი აშკარად მიუთითებს იმედგაცრუებაზე ამ მხრივ. ადამიანებს დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ ხვალინდელ ქათამს, თუნდაც ეს ქათამი ევროპულად იყოს შემწვარი. ყოველდღიურობით პრობლემებით დაღლილ ჩვენს მოქალაქეებს, რომელთა უმეტესობასაც ელემენტარულად თვითგადარჩენის პრობლემები აქვთ, მაღალ მატერიებზე და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე ფიქრისთვის უბრალოდ დრო არ რჩებათ. ძნელია კაცს, რომელსაც შინ ნორმალურ სადილს დანატრებული შვილები ელოდებიან, დასავლური სისტემური მოწყობის ისტორიულ უპირატესობაზე ესაუბრო. რეალობა ასეთია და ამ რეალობით კარგად სარგებლობენ ლატენტური ჯგუფები, რომელთა კუმირიც მოძალადე რეჟიმებია და არა თეთრხელთათმანიანი ევროპარლამენტარები.

— რამდენად რეალურად გესახებათ პროდასავლური ძალების ერთობა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ირაკლი ალასანიამ წითელი ხაზი გაავლო ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობის კუთხით და საზოგადოებაც არა მგონია ამას აპლოდისმენტებით შეხვდეს?

— პოლიტიკაში სტატიკური არაფერია, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ ასეთი თანამშრომლობის სურვილი ამ ეტაპზე თავად ნაციონალურ მოძრაობასაც არ ექნება. უფრო სწორად კი მის ლიდერებს და კონკრეტულად მიხეილ საკაშვილს. პირველივე შეფასებები, რაც მან გააკეთა იყო ის, რომ ამ პროცესს ივანიშვილის თამაშები უწოდა. გარდა ამისა, მთელი ის პერიოდი, რაც მიხეილ საკაშვილი აღარ არის პრეზიდენტი, მან უამრავი დრო და ენერგია დახარჯა იმისათვის, რომ დასავლეთის თვალში ერთადერთი და შეუცვლელი პროდასავლელი ქართველი ლიდერი პოლიტიკოსის იმიჯი გაეძლიერებინა. ამიტომაც ცხადია, მისთვის ამ თვალსაზრისით მთავარი პრობლემა დღეს ირაკლი ალასანიაა, რომელმაც სწორედ მის სეგმენტში უნდა ითამაშოს. ვინ გამოვა ამ კონკურენციაში გამარჯვებული ამას დრო გვანახებს. მიხეილ საკაშვილს უდავოდ დიდი ფორა აქვს, მაგრამ ამავე დროს მისი რადიკალიზმი და ავანტურიზმი, შესაძლოა გადამწყვეტი ხელშემშლელი ფაქტორიც აღმოჩნდეს ირაკლი ალასანიას დიპლომატიურობასა და გაწონასწორებულობასთან შედარებით ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეებისათვის. ვნახოთ, უახლოესი მომავალი ყველაფერს ნათელს გახდის.

Ვ.ᲗᲐᲕᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ “ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲖᲔ”:

ირაკლი დარიბაშვილი: პოლიტიკა არ არის კეკლუცობა და გაპრანჭული საუბარი

“მე ზოგადად მიყვარს პირდაპირ საუბარი. საჯაროდ მე ტყუილი არ მითქვამს. მეორე საკითხია, უნდა მეთქვა თუ არ უნდა მეთქვა. მეც არ მომეწონა ის სიტყვები რაც ვთქვი, მაგრამ თუ შეფასებებში ვიდავებთ, შემიძლია ნებისმიერ ადამიანს შევეკამათო. ის რაც მოვისმინეთ, მაგალითად, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრისგან, თურმე მე უნდა გადავმდგარიყავი, აი თურმე რა ჰქონიათ ჩაფიქრებული, რომ ამას ჩემი გადადგომა მოყოლოდა. ეს ძალიან არასერიოზული შეფასებებია მათი მხრიდან. კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ ეს ადამიანები არ იყვნენ მოწოდებული ემსახურონ სახელმწიფოს. მათ სრულად ჩამოიხსნეს ნიღაბი. თვითლუსტრირება მოახდინეს. ამ ორი წლის განმავლობაში მე რეალურად სხვა ადამიანს ვიყურებდი.

მინდა შედარება გავაკეთო. რაც ალასანაიმ ვერ გააკეთა ორი წლის განმავლობაში, ამ კაცმა (თავდაცვის ახალმა მინისტრმა ჯანელიძემ) და ლექსო ჭიკაიძემ გააკეთეს ერთ წელიწადში. კვება ვერ მოაწესრიგა ორი წლის განმავლობაში და 880 სამხედრო, ჩვენი გმირი მოიწამლა. რაზეა საუბარი და რაზე მელაპარაკებით საერთოდ. პოლიტიკა არ არის პოდიუმებზე სიარული, რადაც კეკლუცობა და გაპრანჭული საუბარი. ჩვენ არ გვცალია, ჩვენ არ გვაქვს დრო იმისათვის, რომ ვასიამოვნოთ ვიღაც ვიღაცეებს.”

“ყველა ადამიანი თავისუფალია თავის ქმედებაში. ჩვენ მივესალმებით ყველა ოპოზიციურ პარტიას. მათ კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს, რომ ისინი არიან და იქნებიან ლოიალური **“ნაციონალური მოძრაობის”** მიმართ, რაც ძალიან კარგია. ეს მათი არჩევანია. ჩვენ ყველა ოპოზიციური პარტიის გააქტიურებას მივესალმებით, უფრო საინტერესო იქნება პოლიტიკური ცხოვრება. ერთი ავანტიურისტი და უჭკუო მინისტრი, ამბიციური, ჩამოგვშორდა. ამით ისეთი არაფერი არ მომხდარა”.

„მოღალატე, ავანტიურისტი, უჭკუო და ამბიციური მინისტრები, რომლებისგანაც გავთავისუფლდი! ალასანია ღიად ლობირებდა და მფარველობდა ნაციონალებს — ბოკერიას, უგულავას, მალე საზოგადოებას ელოდება სიურპრიზები, მისი თანამოაზრეები მასზე სამარცხვინო ფაქტებს შეიტყობენ! ის, რაც გააკეთა ალასანიამ, რა თქმა უნდა, ჩემთვის პირადად არის 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის გამარჯვების ღალატი და ქართველი ხალხის მოტყუების მორიგი მცდელობა, რაც მას არაერთხელ გაუკეთებია. მათი აბსოლუტურად უპასუხისმგებლო, არაადეკვატური, აბსურდული განცხადებები და **„ნაციონალური მოძრაობის“** სტილის სიცრუე იყო და არის დამაზიანებელი ჩვენი ქვეყნისთვის. ბოლო ორი დღის განმავლობაში რამდენიმე საჯარო განმარტების გაკეთება მომიწია იმისთვის, რომ ბოლომდე გაგვექარწყლებინა შესაძლო ეჭვები, რაც მათ აბსურდულ განცხადებებს უკავშირდებოდა. თუნდაც ის, რომ მაია ფანჯიკიძეს ჰქონდა დემონსტრაციულად მოადგილეების გაყოლების მცდელობა, ადასტურებს მათ უპასუხისმგებლობას და უპატივცემულობას ჩვენი გუნდის წინაშე. ეს ადამიანები 3 წლის განმავლობაში ყოველდღე ჩვენთან ერთად იყვნენ. როგორ შეიძლება, ეს ყველაფერი ერთი ხელის მოსმით დაივიწყონ და უარი უთხრან იმ გამარჯვებას, რომელსაც მივაღწიეთ ბატონ ბიძინა ივანიშვილთან ერთად. ეს ძალიან სამწუხაროა ჩემთვის. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები, დავით ზალკალიანის გარდა, თანამდებობებზე რჩებიან, ვინაიდან მათ დაიკავეს სახელმწიფოებრივი პოზიცია. მიმდინარე კვირას საქართველოს ორი საგარეო საქმეთა მინისტრი სტუმრობს და სამარცხვინო იქნებოდა, თუ მათ საგარეო უწყებაში არავინ დახვდებოდა”!

გაზეთ “ᲘᲚᲝᲠᲘᲡ” კომენტარი: როგორც ცნობილია, ბელურები შორ მანძილზე ვერ ფრენენ და ერთ გაფრენაზე მხოლოდ რამდენიმე ასეული მეტრის დაფარვა შეუძლიათ. ჩვენი აზრით, ალასანიასა და მისი გუნდის ჭეშმარიტი მიზნების გამოააშკარავების შემდეგ მათ მიერ განხორციელებული წიაღსვლა გახლავთ “ბელურების პოლიტიკური გადაფრენა”, რადგან ისინი შორს არ წასულან და იქვე დაეშვნენ — ნაციონალების ბოსტანში. ანალიტიკოსები ადრეც ვარაუდობდნენ, რომ ალასანიას გუნდსა და ნაციონალებს კუდები ერთმანეთზე ჰქონდათ გადანასკვული, მაგრამ თუ “თავისუფალი დემოკრატები” და მათი ლიდერი ასე ხელერთპირად ჩამოიძრობდნენ ნიღაბს და გამოააშკარავებდნენ თავიანთ დაფარულ მზაკვრულ მიზნებს, ეს ნამდვილად არავის ეგონა.

მაგრამ, ხომ გაგიგონიათ: “შუბი ხალთაში არ დაიმალება”!

ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤ ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲗᲐ XI ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲜᲐᲠᲓᲨᲘ

საზოგადოებრივ-პატრიოტული ორგანიზაცის **“ერთობა”**-ს ინიციატივით საზეიმო ვითარებაში ჩატარდა დევნილობაში მყოფ ოჩამჩირის მკვიდრთა მორიგი — XI ჩემპიონატი ნარდში, რომლის ისტორია იწყება 2001 წლიდან და, როგორც წესი, ყოველ ჩემპიონატის ჩატარება ეძღვნებოდა რომელიმე გამორჩეულ თანამოქალაქეს. ასეთი პიროვნებები იყვნენ თბილისის **“დინამო”**-სა და სსრკ ნაკრების თვალსაჩინო წევრები, ფეხბურთელები ა. ტყებუჩავა, ვ. სანაია, ვ. მარღანია, გ. ნორაკიძე, ვ. დარასელია და სხვები. განსაკუთრებით აღინიშნება ისეთი პიროვნების ღვაწლი, როგორიც იყო საბჭოთა კავშირის გმირი მელიტონ ქანთარია, რომლმაც გამარჯვების დროშა აღმართა რაიხსტაგის გუმბათზე — 1945 წლის 9 მაისს.

ოჩამჩირს დირსეული მკვიდრია გიორგი ფიფია, რომელიც წლების განმავლობაში ღირსეულად უძღვებოდა ქვეყნის უშიშროების ერთ-ერთ წამყვან და საკვანძო სტრუქტურას. ამჟამად მიმდინარეობს მზადება მოსკოვის ბაკულევის სახელობის კარდიოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელის ლეო ბოკეეიას 75 წლის აღსანიშნავად.

რაც შეეხება განვლილ ჩემპიონატს, იგი ჩატარდა 2014 წლის 1-2 ნოემბერს და მასში მონაწილეობდა 32 პიროვნება. ორდღიანი დაძაბული ბრძოლის შედეგად გაიმარჯვა თადარიგის პოლკოვნიკმა ვლადიმერ უბირიამ, რომელიც პირველი ჩემპიონი გახდა 2001 წელს. მეორე ადგილზე გავიდა იურისტი ვახტანგ გოგუა, მესამეზე კი ისტორიკოსი ნოდარ კემულარია. სამივე პრიზიორი დაჯილდოვდა მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით. ჩემპიონატს უნარიანად უძღვებოდა სპორტის ოსტატი თენგიზ ნორაკიძე, რომელსაც აქტიურად ეხმარებოდნენ გივი ჩხეტია, არჩილ გიგავა, რეზო ჩხეტია, გია შანავა და სხვები. დიდი დახმარება გაგვიწიეს ოჩამჩირელებმა, მათ შორის ფინანასურიც. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს ენერგეტიკოსმა სოსო კაკულიამ, საქართველოს დამსახურებულმა მელიორატორმა ლორენცო შარანგიამ, საბანკო საქმის სპეციალისტმა თამაზ ჩიქობავამ, ჩენპიონატს სტუმრობდნენ იური დოჩია, როლანდ ჯობავა, ვლადიმერ უბირია და სხვები.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲜᲝᲠᲐᲙᲘᲫᲔ,
Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

უბედურებად ქცეული მომავლის იმედი

“ქართველი მანქანა – გურამ გუგენაშვილი”

ამ სათაურით, კლუბ “მ-1 გლობალის” ვებ-გვერდმა mixfight.ru-მ მძიმეწონოსან ქართველ მებრძოლს, – 1 ჩელენჯის ჩემპიონის ქამრის მფლობელ გურამ გუგენაშვილს საინტერესო სტატია უძღვნა. სამწუხაროა, რომ ამ მხიარულ და გამამხნევებელ სტატიას იმედისმომცემ ქართველ ვაჟკაცზე, რომლის სპორტულმა წარმატებებმა ლამის მთელი მსოფლიო აალაპარაკა, მის ნეკროლოგად ვიყენებთ, რადგან საქართველოში დასასვენებლად ჩამოსული სპორტსმენი მოულოდნელმა ავტოავარიამ იმსხვერპლა, როცა იგი მეგობრებთან ერთად სანადიროდ იყო წასული.

ფრიად სამწუხაროა, რომ ბეჭდაუდებელი ვაჟკაცი ასეთ ბრმა შემთხვევას ეწირება და აობლებს ოჯახს, მეგობრებს, მსოფლიო სპორტს.

არავინ იცის, კიდევ როდის გაგვეზრდება ქართველებს გურამ გუგენაშვილისთანა ნიჭიერი დაუმარცხებელი ფალავანი, რომელიც რამდენიმე წელიწადში იქცა გულშემატკივართა კერპად.

კარგი ყმა მამულს უკვდებაო – უთქვამს მოულოდნელი დანაკარგით თავზარდაცემულ ჩვენს წინაპარს. სამწუხაროდ, ასეა – გურამ გუგენაშვილი არა მხოლოდ მის ოჯახსა და სამეგობროს, არამედ მამულს მოუკვდა!

ნათელში ამყოფოს ღმერთმა!

აღნიშნულ წერილში გურამი საკუთარ საბრძოლო ტექნიკასა და მომავალ ბრძოლაზე საუბრობს, რომელიც **აშშ**-ში 2915 წლის 8 ივლისს იგეგმებოდა. ქართველის მეტოქე ამერიკელი მებრძოლი პეტ ბენეტი (4-2) იქნებოდა.

– საქართველოდან ნიუ იორკამდე მანძილი დაახლოებით 7.500 კმ-ია. ეს სიშორე ქვეყნებსა და კულტურებს ერთმანეთისგან დიდად განასხვავებს, თუმცა მანძილი არ ადარდებს მ-1 ჩელენჯის მძიმეწონოსან ჩემპიონს გურამ გუგენიშვილს (11-0), რომელიც მზადაა ქამარი ნებისმიერი მეტოქისგან დაიცვას. გურამი ივლისში ამერიკის დასაპყრობად ემზადება.

გუგენაშვილისთვის ოკეანის გადაღმა ბრძოლა საღებიუტო იქნება

“ეს აშშ-ში ჩემი პირველი ბრძოლა იქნება, ამ დღის დადგომას განსაკუთრებით მოველი, თუმცა სრულებით არ ვნერვიულობ. ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, რომელ ქვეყანაში მომიწევს ბრძოლა. გამონაკლისი მხოლოდ საქართველოა – იქ გამოსვლა უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებს”.

საერთოდ, ქართველები საბრძოლო ხელოვნებას ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ. სხვათა შორის, ამბობენ, რომ ჯერ კიდევ რომის იმპერიის ზეობის ხანაში რომაელი მეომრები სავარჯიშო გამოცდილებას ქართველებისგან იღებდნენ. სწორედ ამ ქვეყნის შვილია გურამ გუგენიშვილი, რომელიც თბილისიდან უკრაინაში “ – 1 უკრაინას” მიწვევით გადაბარგდა, ახლა კი კიევსა და დონეცკში ვარჯიშობს.

გუგენიშვილი სავარჯიშო პირობებით აღფრთოვანებულია:

“მე აქ ყველაფერი მაქვს, რაც საჭიროა: თანამედროვე დარბაზი, ახალი ტრენაჟორები, კარგი რინგი და ტატამი”.

ცოტა ხნის წინ მან კლუბი და საწვრთნელო ბაზა გამოიცვალა, თუმცა მზადების პროცესის უმთავრესი პირობა უცვლელია:

“ჩემი მთავარი მწვრთნელი იყო და ყოველთვის იქნება იოსებ კობერიძე. ჩემ სავარჯიშო მეთოდიკაში რაიმე საიდუმლო არ იმალება: ის პრაქტიკასა და მუხლჩაუხრელ შრომაზეა აგებული”.

არცთუ დიდი ხნის წინ ვებგვერდმა loody Elbow-მა MMA-ში მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა მძიმეწონოსნად სწორედ გურამი დაასახელა. მასზე საუბრისას ყველა მახასიათებელი ერთ სიტყვაში ერთიანდება – პოტენციალი.

გურამის სიმაღლე 195 სმ-ია, წონა 100-ზე მეტი. ის სულ 24 წლისაა. მიქს ფაიტში მისი დებიუტი ორი წლის წინ შედგა. გურამმა ზედიზედ 11 ბრძოლა მოიგო.

“ბრძოლისას თავისუფალი ჭიდაობისა და საბრძოლო სამბოს ილეთებს ვიყენებ, რაც კარგი კომბინაციაა ბრძოლაში მომგებიანი პოზიციის მისაღებად. ყოველთვის არ ვეშურები მეტოქის მოგუდვას, არამედ გამარჯვებისთვის აუცილებელ სტრატეგიულ მოქმედებებს მივმართავ. უბრალოდ, ხშირად ისე ხდება ხოლმე, რომ ამ ძალისხმევის შემდეგ მოგუდული მეტოქე მნებდება”.

გუგენიშვილის ერთადერთ ნაკლოვანებად ბრძოლის დროს მის საწყის მდგომარეობას ასახელებენ, თუმცა მრავალი ათლეტისგან განსხვავებით, რომლებიც შენიშვნებს უყურადღებოდ ტოვებენ, გურამი მუდმივად განვითარებასა და დახვეწას საჭიროდ მიიჩნევს.

ახალგაზრდა ქართველის სწორედ ეს თვისება აღფრთოვანებს მის მწვრთნელს იოსებ კობერიძეს:

“მწვრთნელს არ შეუძლია სპორტსმენს შრომისმოყვარეობა და მიზანსწრაფულობა ასწავლოს. ეს ინსტიქტებია, რომელიც ადამიანის ქვეცნობიერში ან არის, ან არა. გურამის შემთხვევაში, ეს მისი ყველაზე ძლიერი თვისებაა. ყველაფერთან ერთად ის საკმაოდ გონიერია და საკუთარი თავის ყველაზე დიდი კრიტიკოსია”.

სპორტსმენისთვის ერთერთი უმთავრესი თვისება ხომ ნებისყოფა და გამძლეობაა. გურამი ამ მხრივაც გამორჩეულია. აი, ასე აღწერს ის საკუთარ სტილს:

“კარგად გავითავისე, რომ ბრძოლის დროს არამხოლოდ მე ვკარგავ ენერგიას, იგივე ემართება მეტოქესაც. რა თქმა უნდა, ორივე ვიღლებით, მაგრამ საკუთარ თავს შთავაგონებ, რომ სწორედ ახლაა აუცილებელი ძალისხმევა და შეტევა. საჭიროა მეტოქეზე მეტი გამძლეობის გამოვლენა.

შესაძლოა ეს ყველაფერი სასაცილოდაც ჟღერდეს, თუმცა მინდა ჩემი ბავშვობის ამბავი მოვყვე. პატარაობისას პიტბული მყავდა, რომელიც ძალიან მიყვარდა და მასთან დიდ დროს ვატარებდი. გაწვრთნისას ვაკვირდებოდი მის მოქმედებებს და ანალიზს ვუკეთებდი მის შეუპოვრობას.

სიტუაციის შეფასება ფხიზელი გონებითაა საჭირო, ბრძოლა კი მთელი შემართებით უნდა წარმართო. ბრძოლის დროს ფსიქოლოგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს: რინგზე ყოველთვის თავდაჯერებული გავდივარ. არავითარი **“შესაძლოა”** ან **“ვაითუ”**... გონებაში ტრიალებს მხოლოდ **“გამარჯვება”** და **“ეს უნდა შეძლო”**.

სწორედ ამ თვისებების გამო ახერხებს გურამ გუგენიშვილი ბრძოლის დროს ისეთი სახიფათო მდგომარეობებიდან თავის დაძვრენას და გამარჯვებამდე მისვლას, სხვა რომ ფარ-ხმალს დაყრიდა.

მიუხედავად იმისა, რომ მიქს ფაიტი, როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში შორსაა იმ დონისგან, რომელიც ამერიკაშია, გუგენაშვილი სამშობლოში ვარსკლავის სტატუსს ნელნელა, მაგრამ იძენს.

“ჩვენ რინგზე ორი ქვეყნის დროშით გამოვდივართ: ქართულით და უკრაინულით. გურამი საქართველოს მოქალაქეა და თავისი ქვეყნის პატრიოტია. თუმცა, მისთვის დიდი პატივია იბრძოლოს როგორც საქართველოს, ისე უკრაინის სახელით.

ბოლო ბრძოლის შემდეგ ჩვენ ტელეჟურნალისტებთან ნაყოფიერად ვიმუშავეთ და ახლა საქართველოში იციან, ვინაა გურამი და რას საქმიანობს: “ – 1 გლობალი”.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ “ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

– ლეილა, საყვარელო, გამოიყვანე ბავშვი ბაღიდან?

– კი!

– აგი არაა ჩემი ბავშვი!

– არც ისაა შენი...

* * *

არაფერი ისე არ ამაღლებს პოტენციას, როგორც მსუბუქი შეხება გაშიშვლებულ მავთულთან.

* * *

– შენი კატა რატომ დადის ჭერზე?

– ზედა მეზობლებს მაგარი “პილესოსი” აქვთ.

* * *

ბენზინგასამართ სადგურთან კაცი პაპიროსს ეწევა. კახელი ეუბნება:

– ჩააქრე ჩქარა, თორემ თუ დააბათქუნა, ორმოცამდე ძირს არ ჩამოგაგდებს.

* * *

ადამიანს თუ ყველაფერს მისცემ, რაც უნდა, ისიც მოუნდება, რაც მანამდე არ უნდოდა.

* * *

– ჩემი ძროხა ისეთი დაღლილი მოვიდა ნახირიდან, ვედრო რომ შევუდგი, ზედ ჩამოჯდა.

* * *

სვანი დგას ავტობუსის გაჩერებასთან, მივიდა მეორე სვანი და ეკითხება:

– შენ რა ნომერს უცდი?

– მე 2 ნომერს, შენ?

– მე 5 ნომერს.

მოვიდა 25 ნომერი ავტობუსი და ორივე ავიდა.

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაცია დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ბატონი ჯონსონ კვარაცხელია

ადამიანი, რომელმაც შეიფარა ე.წ. მსოფლიო ახალი წესრიგის მესვეურთა აგენტის ედ. შევარდნაძის ბანდებისაგან დევნილი, ჩვენი სამშობლოს პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია...

უფალმა ნათელში ამყოფოს მიცვალებულის სული

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაკირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარედ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**
ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოდრიშვილი**
გაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ქობალია** 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge